ძველი აღთქმის საღმრთო ისტორია

(გაგფგეგისათგის)

ნაწილი I

(მეორე შესწორებული გამოცემა)

თბილისი 2007

უაკ (UDC) 087.5:221
ძ493

იაკობ გოგებაშვილის „საღმრთო ისტორიის“ მიხედვით წიგნი
გამოსაცემად მოამზადა თბილისის სასულიერო აკადემიის
პედაგოგმა, ვაჟა-ფშაველას სახელობის ქ. თბილისის
87-ე საჯარო სკოლის რელიგიისა და კულტურის
ისტორიის მასწავლებელმა
ლევან ბუკია

**წიგნი დაიბეჭდა საქართველოს საპატრიარქოს
სასწავლო კომიტეტის ნებართვით**

ISBN 978-99940-0-533-8 (ყველა ნაწილის)
ISBN 978-9941-0-0082-9 (პირველი ნაწილის)

წინასიტყვაობა

ძველი აღთქმის საღმრთო ისტორიის პირველი ნაწილის ხელახალი გამოცემა ძირითადად, ემყარება იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილ „საღმრთო ისტორიას“, რომელიც 1990 წელს გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა“.

წლების მანძილზე ბავშვებთან პრაქტიკული ურთიერთობის გამოცდილებამ გადაგვაწყვეტინა აღნიშნული წიგნის ამ ფორმით გადამუშავება, რათა უფრო ადვილად გასაგები და შესასწავლი გამხდარიყო ყმაწვილთათვის.

წინამდებარე გამოცემაში შესული ტექსტები შეჯერდა საქართველოს საპატრიარქოს მიერ 1989 წელს გამოცემულ „ბიბლიასთან“, ასევე საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული, „ბიბლიის“ თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნის ჯგუფის მიერ მომზადებულ თარგმანთან, რომელიც ჟურნალ „რწმენა და ცოდნაში“ ქვეყნდებოდა.

გადამუშავებულ გამოცემაში შეიცვალა დიალექტური ფორმები, დაემატა და შეიცვალა ზოგიერთი საკუთარი და გეოგრაფიული სახელი, ზოგი ბიბლიური სიუჟეტის სიმბოლური მნიშვნელობის განმარტება, თითოეულ გაკვეთილს დაერთვის შესავსები ცხრილები, კითხვები, სულისათვის სასარგებლო რჩევები-შეგონებები, მოკლე ლოცვები, რამდენიმე ბიბლიური ადგილის ფოტო, ლექსიკონი, საკუთარი და გეოგრაფიული სახელების საძიებელი და სხვადასხვა დავალებები. წიგნისთვის ილუსტრაციები უსასყიდლოდ დაგვითმო მხატვარმა სიდონია გაჩეჩილაძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

წიგნის გამოცემისთვის გაწეული მხარდაჭერისა და დახმარებისათვის მადლობას ვუხდით საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარეს, სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარს, პროტოპრესვიტერ გიორგი გამრეკელს, ვაჟა-ფშაველას სახელობის ქ. თბილისის 87-ე საჯარო სკოლის დირექტორს ბატონ დავით ჭეიშვილს, მასწავლებლებს: ნათია მუმლაძეს, ირმა ხუფენიას, ამავე სკოლის მოსწავლეებს, საყურადღებო შენიშვნებისათვის ბატონ ექვთიმე კოჭლამაზაშვილს.

უღრმეს მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, ვინც თავისი შენიშვნებით, მოსაზრებებითა თუ კეთილი სურვილებით შეგვეწია. კვლავ მადლიერებით მივიღებთ ყველა შენიშვნას, მოსაზრებას თუ რჩევას, რასაც აუცილებლად გავითვალისწინებთ შემდგომ მუშაობაში.

ლევან ბუკია

„ბიბლიის“ შესახებ

„ბიბლია“ - რომელიც ბერძნულ ენაზე ნიშნავს „წიგნებს“- არის ღმრთის სიტყვა. იგი არის წიგნი ღმერთის გამოცხადებაზე, სამყაროზე და ადამიანზე, კაცობრიობაზე და მის მომავალზე, მის საბოლოო ბედ-იღბალზე, მის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაზე. დღევანდელ მსოფლიოში იგი ყველაზე მეტად გავრცელებული წიგნია. ბიბლიის ნებისმიერი მკითხველი იმდენ საზრდოს მიიღებს მისგან, რამდენის ათვისებაც მას შეუძლია.

„ბიბლია“ შექმნის დროის მიხედვით იყოფა ორ ნაწილად: ძველი აღთქმა და ახალი აღთქმა. ძველი აღთქმის წიგნები იწერებოდა ძველი წელთაღრიცხვის XIII-I საუკუნეებში. ხოლო ახალი აღთქმა შეიქმნა I საუკუნის II ნახევარში. თავისი არსით ეს ორივე ნაწილი ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ეს თავად ამ წიგნის სახელწოდებიდანაც ჩანს: “აღთქმა”- ებრაული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს კავშირს, შეთანხმებას. ამდენად, ღმერთი კრავს კავშირს ადამიანთან, ისეთ არსებასთან, რომელიც ატარებს ღმრთის ხატებას და მოწოდებულია ღმრთის მსგავსების მისაღებად.

ქრისტიანობის მთელ ქვეყანაზე გავრცელების წყალობით, ბიბლიას სულ უფრო და უფრო მეტი მკითხველი ჰყავს. იგი თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. ქართველი ხალხი ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ერია, რომელსაც მშობლიურ ენაზე მოეპოვება ძველი და ახალი აღთქმის უძველესი თარგმანები.

ვფიქრობთ, რომ წინამდებარე გამოცემა კეთილ სამსახურს გაუწევს ბიბლიის შესწავლით დაინტერესებულ ნორჩ მკითხველს.

ბიბლია სიცოცხლის წიგნია, ბიბლია, „სინათლეა ზეცით მონიჭებული. ბიბლია, ადამიანურ განცდათა მთელი სამყაროა; იგი ერთადერთი გზაა ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი, ბიბლია, მშვიდობა და შერიგებაა ადამიანისა უფალთან, ბიბლია, სიყვარულია ღმერთისა კაცთათვის განცხადებული.

ჩვენო საყვარელო სულიერო შვილებო, ამ საოცარ სამყაროს თუ ბავშვობიდანვე გაეცნობით და შეისისხლხორცებთ უფლის წყალობა და მფარველობა არ მოგაკლდებათ მთელი სიცოცხლის მანძილზე და ადვილად დაძლევთ სხვა და სხვა წინააღმდეგობებს, რადგან ღმერთი იქნება თქვენი შემწე და განმაძლიერებელი.

მაშ, კარგად შეისწავლეთ ბიბლია, შეიყვარეთ უფალი მთელი გულით, დაიცვით მცნებები მისი და თქვენ იქნებით ჭეშმარიტად ბედნიერნი ორსავე სოფელსა შინა.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი, ილია II

ღმერთის შესახებ

ღმერთი არის მარადიული, უზენაესი არსება. ის ყოველთვის იყო, არის და იქნება. მას არა აქვს არც დასაბამი, არც დასასრული.

ღმერთმა სამყარო არაფრისგან შექმნა, თავისი სიტყვით. მას შეუძლია ყოველივე იმის აღსრულება, რასაც მოისურვებს.

თავდაპირველად ღმერთის შესახებ ცოდნა თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა.შემდეგ კი მოხდა მისი ჩაწერა, რამაც შეადგინა წმინდა წიგნების კრებული, რასაც ჩვენ ბიბლიას ვუწოდებთ.

ვაქოთ, ვადიდოთ ვინაო?
ღმერთი მაღალთა შინაო,
ვინცა შეამკო ქვეყანა,
ღამე დღედ განაბრნყინაო;

ზღვით, ხმელით, ხითურთ,
ბალახით
მთა ბორკვი აღმოფინაო,
ყოველი ნივთისაგანი
მასშიგან განაჩინაო.

დავით გურამიშვილი

სამყაროს შექმნა

ჩვენ ვიცით, რომ ყველა ადამიანი დედ-მამისაგან იბადება. აგრეთვე ვხედავთ, რომ ცხოველები ცხოველებისგან ჩნდებიან, მცენარეები მცენარეებისგან მრავლდებიან. მაგრამ, პირველი დედ-მამა როგორღა დაიბადა? პირველი ცხოველები და მცენარეები როგორღა გაჩნდნენ ქვეყანაზე? – ისინი შექმნა ღმერთმა.

ღმერთი არის ყოვლის შემოქმედი, ყველაფრის დამბადებელი, უზენაესი არსება. მან გააჩინა ცა, მან შექმნა დედამიწა და მან დაბადა ყოველი სულიერი და უსულო არსება, რასაც კი ქვეყანაზე ვხედავთ. თვითონ ღმერთი კი არავისგან არ შექმნილა და არავისგან არ დაბადებულა; იგი ყოველთვის იყო, არის და იქნება. ამიტომ ღმერთს ჩვენ ვუწოდებთ საუკუნო არსებას.

კაცი როცა რაიმე ნივთს აკეთებს, მასალას იყენებს. ღმერთმა კი ქვეყანა არაფრისგან შექმნა. კაცი საქმის დროს შრომობს. ხელებს და ფეხებს, მთელ სხეულს ამუშავებს. უფალმა კი მთელი სამყარო არაფრისგან შექმნა, თავისი სიტყვებით, ამიტომ ღმერთს ვუწოდებთ ყოვლისშემძლეს. მას შეეძლო, ყველაფერი ერთ წამში გაეჩინა, მაგრამ სხვაგვარად ინება: ცისა და დედამიწის შექმნას ღმერთმა ექვსი დღე მოანდომა.

ქმნილებათა რიგი

თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცისა და დედამიწის მასალა. ეს მასალა არეული იყო ერთმანეთში და ამ არეულ მასალაზე იწვა საშინელი სიბნელე. მაშინ უფალმა პირველ დღეს ბრძანა: იქმნას ნათელი. და იმწამსვე გამობრწყინდა ნათელი. ნათელი გაყო სიბნელისაგან, პირველს უწოდა დღე და მეორეს – ღამე. მეორე დღეს უფალმა ბრძანა: გაჩნდეს ცა. და მაშინვე გაჩნდა ხილული ცა და გადაეკრა დედამიწას

მოლურჯო გუმბათივით. მესამე დღეს ღმრთის ბრძანებით წყალი გაიყო ხმელეთისაგან და შეგროვდა მდინარეებად და ზღვებად, ხოლო ხმელეთმა აღმოაცენა ბალახი, ხეხილი და ყველა მცენარე. მეოთხე დღეს უფალმა გააჩინა ცის მნათობნი: მზე, მთვარე და ვარსკვლავები. მეხუთე დღეს შექმნა თევზები წყალში და ფრინველები – ჰაერში. მეექვსე დღეს უფალმა გააჩინა ყველა ცხოველი, ხმელეთზე მცხოვრებნი, და უკანასკნელად შექმნა ადამიანი.

ადამიანის შექმნა

ყველა სხვა ქმნილება ღმერთმა გააჩინა სიტყვით ანუ ბრძანებით. ადამიანის შექმნა კი სხვაგვარად ინება. ჯერ თქვა: შევქმნათ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა. მერე გამოსახა ღმერთმა კაცი მიწის მტვრისგან და შთაბერა მას სიცოცხლის სული. ასე დაიბადა ქვეყნად პირველი კაცი, რომელსაც ღმერთმა დაარქვა სახელად ადამი, რაც ნიშნავს მიწიდან ამოღებულს. იგი ღმერთმა დააბინავა მშვენიერ ბაღში – სამოთხეში.

ადამმა დაათვალიერა ღმრთისგან გაჩენილი ყველა ცხოველი, კარგად დააკვირდა მათ, მაგრამ ვერ ჰპოვა მათ შორის თავისი მსგავსი, თავისი თანასწორი. ადამისთანა გონიერი და მეტყველი არსება იმათში არცერთი არ ერია და ამიტომ ადამს არ შეეძლო მოეძებნა შემწე, თავისი მსგავსი, აზრი ვინმესთვის ეთქვა, გრძნობა გაეზიარებინა, სიხარული სხვისთვის შეეტყობინებინა. მაშინ ადამმა მარტოობა იგრძნო და მოიწყინა.

ღმერთმა ეს რომ შენიშნა, თქვა: არ არის კარგი კაცის მარტო ყოფნა, შევუქმნათ მას შემწე, მისი მსგავსი. მოჰგვარა უფალმა ადამს გაოგნება და დააძინა, გამოუღო გვერდიდან ერთი ნეკნი და შეუქმნა მას მეგობარი – ცოლი, რომელსაც ადამმა ევა დაარქვა. ბოლოს უფალმა აკურთხა, დალოცა ისინი და უთხრა: გამრავლდით, აავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ

მას და იმთავრეთ.

ეს მოხდა მეექვსე დღეს. დადგა მეშვიდე დღე და უფალმა დაისვენა ყველა თავისი საქმისაგან.

/დაბ. 1,1-26; 2,2-7; 18,20-21; 3,20/

დავალება:

შეავსეთ ცხრილი: „ღმერთის მიერ სამყაროს შექმნა“

დღე პირველი	
დღე მეორე	
დღე მესამე	
დღე მეოთხე	
დღე მეხუთე	
დღე მეექვსე	
დღე მეშვიდე	

ლექსიკონი:

სამყარო - დედამიწისა და სხვა ციური სხეულების ერთიანი სისტემა.

საუკუნო - სამუდამო, სამარადისო, მუდმივი.

ედემი - სამოთხე, თვალწარმტაცი, ყველაფრით შემკობილი ადგილი.

<u>შეგონება:</u> **„ბევრითად იკითხე საღმრთო წერილი, იმიტომ, რომ ამით ისწავლი სიბრძნეს.“** *წმინდა ეფრემ ასური*

ევას შექმნა

სამოთხე

ადამისა და ევას საცხოვრებლად ღმერთმა მოამზადა ერთი უმშვენიერესი ბაღი, რომელსაც ერქვა სამოთხე.შეიყვანა შიგ ისინი და დაასახლა. ოთხი მდინარე მოედინებოდა ამ ბაღში, რომლებითაც ირწყვებოდა ეს ბაღი, ეს მდინარეები იყო: ფისონი, გეონი, ტიგროსი და ევფრატი. მთელი სამოთხე სავსე იყო ათასნაირი მშვენიერი ყვავილითა და ხეხილით, საამური იყო მათი ცქერა, კიდევ უფრო სასიამოვნო იყო მათი მეტად გემრიელი ხილის ჭამა.

მაგრამ სხვაზე უფრო შესანიშნავი იყო აქ ორი ხე, რომლებიც იდგნენ შუა სამოთხეში. ერთს ერქვა ხე ცხოვრებისა, მეორეს - ხე ცნობისა კეთილისა და ბოროტისა. პირველი ხის ნაყოფს საკვირველი ძალა ჰქონდა; ვინც მის ნაყოფს შეჭამდა, თავის დღეში არც ავად გახდებოდა და არც მოკვდებოდა. მეორე ხეხილზე კი. აი, რა უბრძანა უფალმა ადამს: „ნება გაქვს, სჭამო სამოთხის ყველა ხის ნაყოფი, მაგრამ ამ ხილის ჭამა შენთვის ამიკრძალავს. თუ ჩემს ამ მცნებას დაარღვევ და შეჭამ აკრძალულ ხილს, იმავ დღეს სიკვდილით მოკვდებიო“.

ნეტარი ცხოვრება ჰქონდათ ადამსა და ევას სამოთხეში. გარშემო ეხვიათ ყვავილების სუნით შეზავებული ჰაერი; საჭმელად ჰქონდათ ათასნაირი ხილი, ერთი-მეორეზე უტკბილესი; დარდი იმათ არ იცოდნენ და მუდამ სიხარულში იყვნენ, გონება მათი გართული იყო ახლადშექმნილი მშვენიერი ქვეყნის შესწავლით, გული ჰქონდათ სავსე ღმრთის, ერთმანეთისა და ყოველი ქმნილების სიყვარულით, ისინი იყვნენ უცოდველნი, უმანკონი და მათ წმინდა სინდისს არაფერი აწუხებდა. ღმერთს ადამი და ევა უყვარდა, როგორც თავისი შვილები, და ისინიც ისე შეჰხაროდნენ ღმერთს, როგორც თავიანთ კეთილ მამას. უფალი მალი-მალ მიდიოდა მათთან სამოთხეში, ესაუბრებოდა და უხსნიდა ყველაფერს, რასაც ისინი თავიანთი გონებით

ვერა სწვდებოდნენ. ადამსა და ევას სასიამოვნო საქმეც ჰქონდათ: ისინი ერთგულად უვლიდნენ თავიანთ მშვენიერ საცხოვრებელს - სამოთხეს.

მაგრამ, საუბედუროდ, ეს ნეტარება დიდხანს არ შერჩათ მათ და მალე სრულიად დაკარგეს.

/დაბ. 2, 8-17/

ეშმაკის შური

ადამსა და ევას ჰყავდათ ერთი დაუძინებელი მტერი. ამ მტერს უნდოდა ცოდვაში ჩაეგდო ისინი, დაეშორებინა ღმერთისაგან, დაეკარგვინებინა ნეტარი ცხოვრება და გაეუბედურებინა საუკუნოდ. ეს მტერი იყო ეშმაკი.

ვინ იყო ეშმაკი, საიდან გაჩნდა და როდის იყო შექმნილი?

ეშმაკი იყო თავდაპირველად უბრწყინვალესი ანგელოზი. ანგელოზები ღმერთმა ხილული ქვეყნის შექმნამდე შექმნა. ანგელოზები არიან სულნი უსხეულონი, უხილავნი, წმინდანი, გონიერნი, თავისუფალნი და ემსახურებიან ქვეყნის შემოქმედს. ასეთივე იყო თავდაპირველად ეშმაკიც. მაგრამ შემდგომ გაამპარტავანდა, მოინდომა მაღალ ღმერთთან თანასწორობა, აღარ ისურვა ღმრთის მორჩილება, ზოგი სხვა ანგელოზიც მიიმხრო და წინ აღუდგა უფალს. ამის გამო უფალმა იგი თავისი მომხრეებითურთ დაწყევლა და ციდან უფსკრულში ჩაჰყარა.

ამის შემდეგ ეშმაკი გახდა სული ბოროტი, რომელიც ღმრთის ყველა ქმნილებას ემტერება; დაუძინებლივ იმას ცდილობს, რომ ადამიანს ცუდი აზრები დაუბადოს გონებაში, ბოროტი განზრახვა ჩაუდოს გულში, მავნე საქმეები ჩაადენინოს და გააუბედუროს.

ეშმაკს შურდა ადამისა და ევას ნეტარება და ამიტომ მოინდომა, შეეცდინა ისინი, ცოდვაში ჩაეგდო, ღმერთი გაერისხებინა მათზე და დაეღუპა ისინი. თავისი ბოროტი

განზრახვის შესასრულებლად ის შეძვრა გველში და შევიდა სამოთხეში. გველმა, რომელშიც ეშმაკი იყო,იპოვა სამოთხეში აკრძალული ხე და მის გვერდით ხეზე ავიდა.

დავალება:

1. ამოვიწეროთ:

პირთა სახელები	გეოგრაფიული სახელები

საკუთარი სახელები ორგვარია: პირთა (ადამიანთა) სახელები და გეოგრაფიული სახელები (ქვეყნების, მთების, ზღვების, მდინარეების ტბების სახელები).

2. დავწეროთ კითხვები.

ლექსიკონი:

ნეტარი - სანატრელი.
უცოდველი - ვისაც ცოდვა არ ჩაუდენია. უდანაშაულო ალალმართალი.
უმანკო - უბიწო, უზადო, წმინდა (ითქმის ადამიანზე).
ცოდვა - ღმრთის წინაშე ჩადენილი დანაშაული.
ამპარტავანი - გადაჭარბებით ამაყი, ქედმაღალი, მედიდური.
უფსკრული - მეტისმეტად ღრმა, თვალუწვდენელი ხევი.

შეგონება: „ყოველი ცოდვა საძაგელია უფლის წინაშე, მაგრამ ყველაზე უსაძაგლესია ამპარტავნება“.

წმინდა ანტონი დიდი

ადამისა და ევას შეცოდება

ერთხელ ევა სამოთხეში მარტო დასეირნობდა და აკრძალულ ხეს მიუახლოვდა. ამ დროს მახლობელ ხეზე დაინახა გველი და შეჩერდა. გველმა მაშინვე ტკბილი ხმით გადმოსძახა: „რატომ თქვა ღმერთმა: არ ჭამოთ სამოთხის ყველა ხიდან?“ ევა კარგად ხედავდა, რომ მას უბრალო გველი არ ელაპარაკებოდა, მაგრამ თვალი და ყური მაინც არ მოარიდა, პირიქით, გამოელაპარაკა კიდეც: „სამოთხის ყველა ხის ნაყოფიდან ვჭამთ, ხოლო ხის ნაყოფიდან, რომელიც არის სამოთხის შუაში, - თქვა ღმერთმა, არ ჭამოთ მისგან, არც შეეხოთ მას, რომ არ მოკვდეთ“.

და უთხრა გველმა დედაკაცს: „სიკვდილით არ მოკვდებით; რადგან იცოდა ღმერთმა, რომ რომელ დღესაც შეჭამთ მისგან, აგეხილებათ თქვენ თვალები და იქნებით ღმერთივით, შემცნობელნი კეთილისა და ბოროტისა“.

ევა დააცქერდა აკრძალულ ხილს, საამო იყო სახილველად და თვალში ძლიერ მოუვიდა. მივიდა ახლოს, მოწყვიტა ნაყოფი და ჭამა. მეორე ნაყოფიც მოგლიჯა მერე, მიუტანა ქმარს, უქო და იმანაც ჭამა.

მოხდა თუ არა ეს, ადამმა და ევამ იგრძნეს საშინელი ცვლილება. აქამდე ისინი იყვნენ მხიარულნი, ახლა კი გულზედ დააწვათ რაღაც მძიმე ვარამი; აქამდის ისინი მოუთმენლად ელოდნენ ხოლმე უფლის მოსვლას სამოთხეში, ახლა კი ამ მოსვლისა შეეშინდათ და ძაგძაგებდნენ. თვალები მათ მართლა აეხილათ, მაგრამ კეთილისა და ბოროტის ცოდნის მაგიერ მათ დაინახეს თავიანთი სიშიშვლე. აქამდის ისინი იყვნენ ნათლით შემოსილი და ამიტომ არ გრძნობდნენ თავიანთ სიშიშვლეს და არც სირცხვილი იცოდნენ. ახლა კი ნათელი მოშორდათ, დაინახეს ერთმანეთი და შერცხვათ.

მათ დაგლიჯეს დიდი ფოთლები ლეღვისა, აასხეს ერთმანეთზე და ტანზე აიფარეს.

/დაბ. 3, 1-7/

დასჯა ცოდვისათვის

საღამო ხანს სამოთხეში მოვიდა ღმერთი. მან, რასაკვირველია, კარგად იცოდა ადამისა და ევას შეცოდება. უწინ რომ შეიტყობდნენ ხოლმე უფლის მისვლას სამოთხეში, ადამი და ევა სიხარულით მიეგებებოდნენ მას. ახლა კი შიშისაგან ძაგძაგი დაიწყეს და არ იცოდნენ, სად დაკარგულიყვნენ. დაივიწყეს, რომ ყოვლისმხილავ ღმერთს კაცი ვერსად დაემალება და შეიმალნენ ხეებს შუა. სახიერ ღმერთს უნდოდა, რომ ადამსა და ევას მოენანიებინათ მის წინაშე ცოდვა და სასჯელი თავიდან აეცილებინათ. ამიტომ დაუძახა: „ადამ, ადამ, სადა ხარ?“ ადამმა სირცხვილისა და შიშისაგან ჯერ ხმა არ გასცა, მაგრამ, როცა უფალმა მეორედაც დაუძახა, უპასუხა: „შენი ხმა გავიგონე, როცა დადიოდი სამოთხეში და შემეშინდა, რადგანაც შიშველი ვარ, და დავიმალე“.

„ვინ გითხრა შენ, რომ შიშველი ხარ, თუ არ ჭამე იმ ხიდან, რომელზეც გიბრძანე შენ, რომ მხოლოდ მისგან არ გეჭამა?“ - უთხრა უფალმა.

ადამს რომ ამ დროს წრფელი გულით ეღიარებინა თავისი ცოდვა, შეენანებინა იგი და მიტევება ეთხოვა უფლისათვის, ადვილად გადარჩებოდა. მაგრამ, საუბედუროდ, სინანულის მაგივრად თავის მართლება დაიწყო და თითქმის თვით ღმერთს აბრალებდა თავის ცოდვას: „დედაკაცმა, რომელიც მომეცი მე, მან მომცა მე ხიდან და ვჭამე“.

ღმერთი მიუბრუნდა ევას და ჰკითხა: „ეს რა ჰქენი?“

ევამაც სინანულის მაგივრად თავის მართლება დაიწყო: „გველმა მაცდუნა მე, და ვჭამე“.

მაშინ უფალმა უთხრა გველს: „რადგან გააკეთე ეს, წყეული იყავ შენ ქვეყნის ყველა პირუტყვს შორის და ყველა მხეცს შორის, შენ მკერდზე და მუცელზე ივლი და მიწას შეჭამ შენი ცხოვრების ყოველ დღეს და მტრობას ჩამოვაგდებ შენსა

და დედაკაცს შორის, და შენს თესლსა და მის შორის; იგი ჩაუსაფრდება შენს თავს, და შენ ჩაუსაფრდები მის ტერფს.“.

და დედაკაცს უთხრა უფალმა: „გამრავლებით გავამრავლებ შენს მწუხარებას და შენს ოხვრას, მწუხარებით შობ შვილებს; და შენი ქმრისკენ მიბრუნდები შენ, და იგი შენზე იბატონებს“

ხოლო ადამს უთხრა: „რადგან შენ ისმინე შენი ცოლის ხმისა და შეჭამე ხიდან, რომელზეც გიბრძანე შენ, რომ მხოლოდ მისგან არ გეჭამა, წყეული იყოს მიწა შენი საქმეებით; მწუხარებით შეჭამ მას შენი ცხოვრების ყოველ დღეს; შენი პირის ოფლით შეჭამ შენს პურს, ვიდრე მიუბრუნდები შენს მიწას, რომლისგანაც ხარ აღებული; რადგან მიწა ხარ და მიწას დაუბრუნდები. და უწოდა ადამმა სახელი თავის ცოლს - ცხოვრება, რადგან იგია დედა ყოველი მცხოვრებისა.“

„და გაუკეთა უფალმა ღმერთმა ადამს და მის ცოლს ტყავის სამოსი და შემოსა ისინი. გაიყვანა ისინი ღმერთმა განცხრომის სამოთხიდან მიწის დასამუშავებლად, რომლიდანაც იყო აღებული, და განდევნა ისინი სამოთხიდან და დაასახლა

მის პირდაპირ. სამოთხის მცველად დაადგინა ქერუბიმი - (ანგელოზი) და ცეცხლოვანი მბრუნავი მახვილი ცხოვრების ხის გზის დასაცავად“.

/დაბ. 3, 8-24/

დავალება:

1. როგორ გესმით გამოთქმა: „შინაგანი ძაგძაგი დაიწყეს“.
2. დავწეროთ კითხვები.
3. ამოვიწეროთ როგორ დასაჯა ღმერთმა ადამი, ევა და გველი.

ლექსიკონი:

სახიერი - კეთილი, მოწყალე, სათნო.

ყოვლისმხილველი - ყველაფრის მხილველი (იგულისხმება ღმერთი).

შეგონება: **„მთელი უბედურება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ შენ დაეცი, არამედ იმაში, რომ დაცემის შემდგომ არ დგები; იმაში კი არა, რომ შესცოდე, არამედ იმაში, რომ ცოდვას არ განეშორები“. წმინდა იოანე ოქროპირი**

კაენი და აბელი

ადამი და ევა დასახლდნენ სამოთხის ახლოს. მათთვის დაიწყო ის მწარე, ტანჯვითა და წვალებით სავსე ცხოვრება, რომელიც მათ სასჯელად დაუნიშნა უფალმა. დარდი, ვარამი, ავადმყოფობა, ოფლისღვრით შრომა, სიღარიბე სულ ერთად დაატყდათ თავზე. მალი-მალ იგონებდნენ ისინი უწინდელ ბედნიერ ცხოვრებას, მწარედ ნანობდნენ თავიანთ შეცდომას და მდუღარე ცრემლს ღვრიდნენ. ამ უბედურებაში მათ ჰქონდათ ერთადერთი იმედი: ისინი იგონებდნენ ღმრთის აღთქმას, რომ დედაკაცის შთამომავალი დათრგუნავდა ეშმაკს და გამოიხსნიდა მათ ცოდვისა და ტანჯვისაგან. ისინი მოელოდნენ გამომხსნელს, მაცხოვარს.

ევას ეყოლა ორი ვაჟიშვილი: კაენი და აბელი, რომელთაც დაბადებისთანავე დაჰყვათ პირველყოფილი ცოდვა. კაენი იყო მხვნელ-მთესველი, აბელი – მეცხვარე.

ერთხელ მათ უფალს მსხვერპლი შესწირეს. კაენმა შესწირა ჭირნახული, აბელმა – პირველშობილი კრავი. მსხვერპლის

შეწირვა ასე მოახდინეს: დააგროვეს ცალ-ცალკე შეშა, დადეს ზედ მსხვერპლი და წაუკიდეს ცეცხლი. კაენის ცეცხლის ბოლი მიწას გაეკრა, აბელის მსხვერპლის ალი კი პირდაპირ ზეცას წავიდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ უფალმა მიიღო მსხვერპლი უმცროსი ძმისა, ხოლო უფროსისა კი უარყო.

რატომ? იმიტომ, რომ აბელმა წმინდა გულით, სარწმუნოებით და მოწიწებით მიართვა შესაწირავი უფალს, კაენის გული კი ამ დროს უწმინდური და ღვარძლით სავსე იყო.

კაენი შურით აივსო, გაბრაზდა და სახეზე შეიშალა ბოროტებისაგან. გულთამხილავმა ღმერთმა ყველაფერი იცის, რაც კი კაცის გულში იბადება, ხედავდა კაენის ცუდ განზრახვასაც და უნდოდა, გაეფრთხილებინა იგი. გამოეცხადა მას და უთხრა: „რად ხარ კაენ, გაჯავრებული? და რად გაქვს სახე შეშლილი და აღშფოთებული? გაფრთხილდი, თორემ ცოდვა კარზე გადგას, ნუ დაემონები მას, პირიქით, ეცადე, თვითონ დაჯაბნო იგი“.

მაგრამ, საუბედუროდ, კაენს ღრმად ჰქონდა ჩარჩენილი გულში შური და სიძულვილი ძმისა და არ შეისმინა ღმრთის სიტყვა. ჯავრის ამოსაყრელად კაენმა გაიტყუა მინდვრად აბელი, მივარდა უცებ, დაარტყა თავში კეტი და მოკლა.

/დაბ. 4, 1–8/

კაენის დასჯა და სეითის შობა

საშინელი ცოდვა ჩაიდინა კაენმა, მაგრამ ყოვლადმოწყალე ღმერთს არ უნდოდა სამუდამოდ დაღუპვა ასეთი ბოროტი კაცისაც კი, მას სურდა, სინანულში ჩაეგდო კაენი, ამიტომ გამოეცხადა და ჰკითხა: „კაენ, სად არის შენი ძმა აბელი?“ კაენმა სინანულის მაგივრად ბრიყვულად და ამაყად მიუგო: „რა ვიცი, განა ჩემი ძმის მცველი ვარ მე?“

მაშინ უფალმა მრისხანედ უთხრა: „ეს რა ჰქენი? შენი

ძმის სისხლის ხმა შემომღაღადებს მე მიწიდან. შევიწროებული და შეძრწუნებული იქნები ქვეყანაზე".

საშინელ ვაებაში ჩავარდნენ საწყალი ადამი და ევა. აბელი მოუკლეს, კაენი შეიქნა ძმის მკვლელი და დაწყევლილი ღმრთისაგან, გაანება დედ-მამას თავი, სადღაც შორს გადაიხვეწა და იქ დასახლდა. დარჩა უბედური დედ-მამა უნუგეშოდ.

მაშინ ღმერთმა შეიბრალა ისინი და ნუგეშად მისცა მათ მესამე შვილი, სეითი, რომელიც იყო ღმრთისმოყვარე, მორჩილი, სათნო და წყნარი.

დავალება:

1. უპასუხეთ კითხვებს:

ა) როგორი ცხოვრება დაიწყო ადამისა და ევასათვის სამოთხის გარეთ?

ბ) რა დაჰყვათ კაენს და აბელს დაბადებიდანვე?

გ) როგორი შვილი იყო სეითი?

დ) ამოვიწეროთ საკუთარი სახელები.

2. დავწეროთ კითხვები

ლექსიკონი:

მსხვერპლი - რომელიმე ღვთაებისათვის შეწირული ნივთი, ან ცოცხალი არსება.

ჭირნახული - ვინც ჭირი, გაჭირვება ნახა.

ღვარძლი - სარეველა ბალახი, მარცვლოვანთა ოჯახისა.

შური - მწუხარება სხვისი კეთილდღეობის გამო.

გულთამხილავი - გულში ნადების, დაფარულის მხედველი, გამომცნობი (იგულისხმება ღმერთი).
ჯავრი - დარდი, საფიქრალი.
მრისხანე - შიშის მომგვრელი, თავზარდამცემი, მკაცრი, სასტიკი.
ვაება - გოდება, წუხილი.
უნუგეშო - უიმედო, სასოწარკვეთილი.

<u>შეგონება:</u> „ყველამ გაიღოს გულის კარნახით, არა მწუხარებითა და ძალდატანებით, რადგან ღმერთს უყვარს ის, ვინც სიხარულით გასცემს.“

წმინდა პავლე მოციქული

კაენისა და სეითის შთამომავალნი

კაენისა და სეითისაგან მეტად ჩქარა გამრავლდა ხალხი ქვეყანაზე. ეს სწრაფი გამრავლება მოხდა იმიტომ, რომ მაშინ ადამიანები იყვნენ მეტად დღეგრძელნი. ბევრი მათგანი ცხრაას წელიწადზე მეტს ცოცხლობდა. სეითის შთამომავალნი იყვნენ სათნონი და კეთილნი. მათ დაერქვათ სახელად „ძენი ღმრთისანი" იმიტომ, რომ ღმერთი მუდამ ახსოვდათ, ერთგულად თაყვანს სცემდნენ მას და ასრულებდნენ მის ნებას. აგრეთვე, დიდი სიყვარული და ხათრი ჰქონდათ ერთმანეთის და ყოველ ბოროტ საქმეს ერიდებოდნენ. მამები და პაპები შვილებსა და შვილიშვილებს ყველაფერ კეთილს ასწავლიდნენ და კეთილ მაგალითს უჩვენებდნენ. ერთმა მათგანმა, სახელად ენოქმა, ისე აამა უფალს თავისი წმინდა ცხოვრებით, რომ მან სიკვდილს წაართვა მასზედ ძალა და ზეცაში ცოცხალი აიტაცა.

კაენის შთამომავალნი კი მასვე დაემსგავსნენ და იყვნენ ბოროტნი. მათ სრულიად დაივიწყეს ღმერთი, სძულდათ ერთმანეთი, ახსოვდათ მარტო საკუთარი თავი და ბიწიერი ცხოვრება ჰქონდათ. მათ შორის გავრცელდა: შური, სიცრუე, ცილისწამება, გარყვნილება, შფოთი, მკვლელობა და სხვა ბოროტება, ამიტომ მათ სახელად დაერქვათ „ძენი კაცისანი".

/დაბ. 5, 3-32/

კაცთა მოდგმის გარყვნა

ჯერ სეითის შთამომავალნი ცალკე ცხოვრობდნენ, ერიდებოდნენ კაენის შთამომავალთ. არ ჰქონდათ მათთან მისვლა-მოსვლა, ნაცნობობა ან სხვა რაიმე კავშირი. მაგრამ შემდგომში, როცა გამრავლდა კაცთა მოდგმა და დასახლებული ადგილებით დაუახლოვდნენ ერთმანეთს, კაენისა და სეითის შთამომავალებმა ერთმანეთში დაიწყეს მეგობრობა, მეზობლობა, მისვლა-

მოსვლა და მოყვრობა. სეითის შთამომავალნი თხოულობდნენ ცოლებს კაენის შთამომავალთაგან და მათგან სწავლობდნენ ცუდ ხასიათსა და ბიწიერ ცხოვრებას. მალე სეითის შთამომავალნი ძალიან დაემსგავსნენ კაენის შთამომავალთ და გაირყვნენ სრულიად. ღმერთი აღარავის ახსოვდა, კეთილი სძულდათ, ბოროტი უყვარდათ, სირცხვილი და შიში აღარაფრის ჰქონდათ. მათ შორის გამოჩნდნენ ფიზიკურად ძლიერები, რომლებიც ყველა სუსტ და უღონო კაცს ჩაგრავდნენ, სისხლს უშრობდნენ და სიცოცხლეს უმწარებდნენ. აივსო ქვეყანა ბოროტებითა და ცოდვით. ყველამ დაკარგა ადამიანის ნიშანწყალი და მთელი კაცობრიობა დაემსგავსა მხეცების გროვას.

დავალება:

1. შეავსეთ ცხრილი:

რა უწოდეს კაენის მოდგმას?	
რატომ?	

რა უწოდეს სეითის მოდგმას?	
რატომ?	

2. ამოვიწეროთ სახელები
3. დავწეროთ კითხვები

ლექსიკონი:

დღეგრძელი – ხანგრძლივი სიცოცხლის მქონე.
ხათრი – პატივისცემა, თავაზი.
ბიწი - ჭუჭყი, სიბინძურე.
ბიწიერი – ბინძური (გადატ. მნიშვნელობით ავხორცი, გარყვნილი).
სიცრუე – რაც სინამდვილეს განზრახ დამახინჯებულად წარმოადგენს.
ცილისწამება – უმართებულოდ ვინმესათვის რაიმეს დაბრალება.
გარყვნილება – უზნეო, უწესო ყოფაქცევა.
შფოთი – ალიაქოთი, არეულობა, აურზაური.

<u>შეგონება:</u> „ნუ ვიფიქრებთ, რომ ეს ცხოვრება სალხინოდ და თავის შესაქცევად მოგვეცა, არამედ ვიცოდეთ, რომ ამ ქვეყნად ჩვენი ცხოვრება შრომა, მოთმინება, ხშირად ჭირი და მრავალი განსაცდელია.“

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი

მართალი ნოე

მთელ მაშინდელ კაცობრიობაში მხოლოდ ერთი კაცილა ერია კეთილმსახური და ღმრთისმოყვარე. ეს იყო მართალი ნოე, სეითის შთამომავლთაგანი, შვილიშვილის შვილი ენოქისა.

როცა ღმერთმა ნახა, რომ მთელი კაცობრიობა გაირყვნა, გადაწყვიტა მისი დაღუპვა წარღვნით ნოეს გარდა. მაგრამ თავისი ქმნილების ასე სასტიკი დასჯა ეძნელებოდა და ამიტომ უნდოდა, ნოეს შუამავლობით მოექცია ისინი კეთილ გზაზე. გამოუცხადა, რომ ასოცი წელიწადი კიდევ ვუცდი თქვენს მოქცევას, და თუ ამ ვადის გასვლამდის არ შეინანეთ თქვენი ცოდვები და არ დაადექით კეთილ გზას, უთუოდ წარღვნით გავაწყობ თქვენს სახსენებელს დედამიწის ზურგზეო.

მაგრამ ღმრთის მუქარას ყურიც არ ათხოვეს, უფრო უარესს ჩადიოდნენ და, ნოეს კიდევაც დასცინოდნენ.

მაშინ ნოეს უბრძანა უფალმა: „გააკეთე შენთვის დიდი კიდობანი ფისიანი ხისა, სიგრძით სამასი წყრთა, სიგანით-ორმოცდაათი წყრთა და სიმაღლით ოცდაათი წყრთა. შედი შიგ მთელი შენი სახლობით, შეიყვანე თითო წყვილი უწმინდური ცხოველებისა და შვიდ-შვიდი წყვილი წმინდა, საჭმელად სახმარი ცხოველებისა, რამეთუ მე მოვავლენ წარღვნას და მოვწმენდ პირსა ქვეყნისა ადამიანთა გარყვნილი ტომისაგან.“

ნოემ აასრულა ღმრთის ნება, გააკეთა კიდობანი, შევიდა თვითონ შიგ, შეიყვანა ცოლი, სამი შვილი მათი ცოლებით და შეიყვანა ცხოველები. ამ დროს ნოე იყო ექვსასი წლის.

დაბ. 6, 3, 7-8; 23-27; 7, 1-9/

ნოეს გენიალოგია



დავალება:

1. ამოვიწეროთ კიდობნის ზომები.

სიგრძე	
სიგანე	
სიმაღლე	

ლექსიკონი:

ღმრთისმოყვარე – ვისაც ღმერთი უყვარს.
წყრთა - ძველებური სიგრძის საზომი ერთეული, უდრის ხელის ნაწილს იდაყვიდან შუათითის წვერამდე.

<u>შეგონება:</u> „ჩაუფიქრდი უფლის ბრძანებებს და დღენიადაგ სწავლობდე მის მცნებებს. ის განამტკიცებს შენს გულს და სიბრძნის წყურვილი მოგეცემა.“

სიბრძნე ზირაქისა

წარღვნა

გაზაფხული იყო, როცა ნოე შევიდა კიდობანში. დაიხურა თუ არა კიდობნის კარი, იგრიალა საშინელმა წვიმამ და დაეშვა დედამიწაზე. ორმოცი დღე-ღამე იდინა შეუწყვეტლივ ნიაღვარმა. ზღვები, ტბები, წყაროები და მდინარეები გადმოვიდა ნაპირებიდან და მთლად წალეკეს დედამიწა. წყალი თანდათან მაღლა ადიოდა და ბოლოს დაფარა თვით უმაღლესი მთების მწვერვალებიც. მთელი კაცობრიობა და ყველა სულდგმული დაიხრჩო წყალში. გადარჩა მარტო ნოე და ყველა, კიდობანში მყოფი, კიდობანი კი, მაღლა მოტივტივებული, უვნებლად დაცურავდა წყალზე.

გავიდა ხუთი თვე წარღვნის დაწყებიდან. ღმერთმა მოავლინა ქარი, რომელმაც ღრუბლები სრულიად მიმოფანტა, შეწყდა წვიმა და დედამიწიდან წყალმა დაიწყო დენა ზღვებში და მდინარეებში. წყალმა თანდათან ძირს დაიწია. მალე მთის წვერები გამოჩნდა. ნოეს კიდობანი წყალმა მიიტანა მაღალი მთის, არარატის წვერზე და ზედ გააჩერა. ნოემ იგრძნო შიგნით, რომ კიდობანი გაჩერდა. ამის შემდეგ დაიცადა ორმოცი დღე და გამოუშვა ყორანი, - უნდოდა, შეეტყო, მოშორდა წყალი მიწას თუ არა, მაგრამ ყორანი უკან აღარ დაბრუნდა. მეორედ გამოუშვა მტრედი. მტრედმა ბევრი იფრინა, მაგრამ მშრალი ადგილი ვერსად ნახა და უკან დაბრუნდა. შვიდი დღის შემდეგ ხელმეორედ გაუშვა მტრედი. ახლა კი მტრედი ცარიელი არ დაბრუნებულა: ნისკარტით მოიტანა ზეთისხილის რტო, ახალი ფოთლებით შემოსილი. კიდევ გავიდა შვიდი დღე და ნოემ მესამედ გამოუშვა მტრედი, მაგრამ იგი აღარ დაბრუნდა კიდობანში.

მაშინ ნოემ ახადა თავი კიდობანს, გადმოიხედა ძირს და ნახა, რომ მიწას სრულიად მოშორებოდა წყალი, მაგრამ ჯერ

მაინც არ გადმოვიდა კიდობნიდან, ღმრთის ბრძანებას დაელოდა.

როცა დედამიწა სრულიად გაშრა, ღმერთმა უბრძანა ნოეს, გადმოსულიყო კიდობნიდან და გადმოესხა ყველა შიგ მყოფი. სწორედ ერთი წელიწადი დაჰყო ნოემ კიდობანში და გამოვიდა მეორე წლის თავს. მაშინვე ნოემ სამადლობელი მსხვერპლი შესწირა უფალს. ღმერთმა კეთილად მიიღო ნოეს მსხვერპლი და აღუთქვა, რომ ამის შემდეგ წარღვნას აღარასოდეს მოავლენდა. ამ აღთქმის ასრულების ნიშნად უჩვენა მას ცაში შვიდფეროვანი ცისარტყელა.

ნოე მოასწავებდა განკაცებულ ღმერთს, იესო ქრისტეს, ქვეყნის მხსნელს. კიდობანი - ქრისტეს ეკლესიას, რომელშიც ცხონდებიან ქრისტეს მორწმუნენი.

/დაბ. 7, 7-24; 8,1-22; 9,11-24/

დავალება:

ვინ და რამდენი კაცი გადაურჩა წარღვნას?	
რამდენი წელი მისცა ღმერთმა ადამიანებს გამოსწორებისათვის?	
როდის შევიდა ნოე კიდობანში?	
რამდენი დღე და ღამე წვიმდა?	
რამდენი დღე იცადა ნოემ კიდობნის გაჩერებიდან?	
რა გამოუშვა ნოემ კიდობნიდან პირველად?	
მეორედ რა გამოუშვა ნოემ კიდობნიდან და რამდენჯერ?	
მეორედ დაბრუნებისას რა მოიტანა მტრედმა?	
წარღვნის დასრულების ნიშნად რა გაჩნდა ცაზე?	
სად გაჩერდა ნოეს კიდობანი?	

ლექსიკონი:

მოასწავებს - რაიმეს მიანიშნებს.
მოსწავება - მინიშნება.

შეგონება: „მათრახი ცხენისთვის არის, ლაგამი ვირისთვის, ჯოხი კი ბრიყვთა ზურგისთვის.“

იგავნი სოლომონისა

ნოეს შვილები

ნოეს სამი შვილისაგან გამრავლდა ყველა ხალხი. ნოეს უფროს შვილს ერქვა სემი, შუათანას - ქამი, და უმცროსს - იაფეთი. მათშიაც ერთი ცუდი კაცი გამოდგა.

წარღვნის შემდეგ ნოემ ისწავლა ვაზის დარგვა. გააშენა ვენახი, როცა ყურძენი დამწიფდა, მისი წვენიდან სასმელი გააკეთა. ნოემ არ იცოდა, რომ ეს სასმელი მათრობელა იყო და ერთხელ ჭარბად დალია. ხამად ღვინომ ძალიან მოკიდება იცის, ამიტომ ნოე დათვრა და კარავში დაეძინა. ძილის დროს მას ტანისამოსი გადაეხადა.

ამ ყოფაში ნახა იგი მისმა შვილმა ქამმა. ყველა კეთილ შვილს ეწყინებოდა მამის ამგვარი მდგომარეობა, აიღებდა ტანისამოსს, მამას მოკრძალებით დაახურავდა და არ გაამ-ჟღავნდება ამ შემთხვევას. ქამს კი გაუხარდა, გაიქცა და ბოროტი დაცინვით უამბო ძმებს ეს ამბავი.

სემმა და იაფეთმა ამ დაცინვაში მონაწილეობა არ მიიღეს, მაშინვე წყნარად შევიდნენ კარავში და დაახურეს მამას ტანისამოსი ისე, რომ მისი სიშიშვლე არ დაუნახავთ.

როცა ნოემ გაიღვიძა და შეიტყო ქამის უმსგავსობა და დანარჩენი ორი შვილის მშვენიერი მოქცევა, შეაჩვენა პირველი და უთხრა, რომ მისი შთამომავლობა იქნებოდა უკანასკნელი; ხოლო სემი და იაფეთი კი აკურთხა და იწინასწარმეტყველა, რომ იაფეთის შთამომავალი იქნებოდა უმრავლესი, ხოლო სემის შთამომავლობიდან მაცხოვარი დაიბადებოდა.

/დაბ. 9. 17-27/

ბაბილონის გოდოლი

ნოეს სამივე შვილის შთამომავალნი თავდაპირველად ერთად ცხოვრობდნენ, ერთი ქვეყანა ეჭირათ, ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ და ერთ ხალხს შეადგენდნენ, მაგრამ, რადგანაც მაშინ ადამიანები მეტად დღეგრძელნი იყვნენ, ხალხი ძლიერ გამრავლდა და

ერთად აღარ ეტეოდა. დღეს თუ ხვალ უნდა დაყოფილიყვნენ ცალ-ცალკე თემებად და აქეთ იქით გაფანტულიყვნენ საცხოვრებლად.

მაშინ მათ ერთად მოიყარეს თავი და თქვეს: მოდით ავაშენოთ ჩვენთვის ქალაქი და გოდოლი, რომლის თავი იქნება ცამდე, და შევიქმნათ ჩვენ სახელი ვიდრე განვსახლდებით მთელი ქვეყნის ზედაპირზე. და როცა მას შეხედავენ ჩვენი შთამომავალნი, განცვიფრებით თქვან ჩვენზე: რა მრავალნი, მძლავრნი და ხელოვანნი ყოფილანო.“

თქვეს და ასრულებასაც შეუდგნენ. გამოწვეს უთვალავი აგური და დაიწყო ბაბილონის ქალაქში აშენება ერთი უშველებელი სვეტის ანუ გოდოლისა, რომელსაც, მათი განზრახვით, ცაში უნდა მიებჯინა წვერი.

მაგრამ ღმერთს არ მოეწონა მათი განზრახვა და საქმე. უფალს ძალიან სძულს უგუნური და ყველასათვის უსარგებლო შრომა, და მეტადრე, ამაყობა ამგვარი გამოუსადეგარი შრომით. ამიტომ მან აურია მშენებლებს ენა; უცებ სხვადასხვა ენაზე დაიწყეს მათ ლაპარაკი, ერთმანეთის აღარ ესმოდათ რა

და იძულებულნი გახდნენ, ხელი აეღოთ გოდოლის მშენებლობაზე.

ამის შემდეგ ისინი დაიყვენ თემებად, აქეთ იქით გაიფანტნენ, ცალ-ცალკე ადგილები ამოირჩიეს საცხოვრებლად და შეადგინეს სხვადასხვა ხალხები.

ასე გააჩინა უფალმა სხვადასხვა ენა და ამით ყოველ კაცს აჩვენა, რომ მას უნდა უყვარდეს თავისი დედა-ენა, როგორც უფლისაგან მონიჭებული საუნჯე და ძვირად უნდა აფასებდეს მას.

დავალება:

1. დაგწეროთ კითხვები.
2. როგორ გესმით გამოთქმა: „ყოველ კაცს უნდა უყვარდეს დედა-ენა და ძვირად უნდა აფასებდეს მას.“
3. ამოვიწეროთ საკუთარი სახელები.

ლექსიკონი:

ჭარბად – ზომაზე მეტად, მომეტებულად.
ხამად – გაუმაძღრად, მეტად ბევრის სურვილით გაკეთება.
მოკიდება (მოეკიდა ღვინო) – დათრობა.
მაცხოვარი – უფალი ჩვენი იესო ქრისტე.
ბაბილონი – (ებრ.) აღრევა.

შეგონება: „ამსოფლიური საქმენი კაცმა ისე უნდა დაიწყოს, რომ ყოველივე ერთ უმაღლეს საქმეს - სულის ცხონებას ემსახურებოდეს“. *წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი*

კერპთაყვანისცემა

რაკი ადამიანები გაიფანტნენ დედამიწის ზურგზე სხვადასხვა კუთხისაკენ და მოსპეს ერთმანეთში კავშირი და მისვლამოსვლა, თანდათან დაივიწყეს მათ, რაც გაეგონათ და ესწავლათ ღმერთზე თავიანთი წინაპრებისაგან. ჭეშმარიტი ღმერთის მაგივრად მათ დაუწყეს თაყვანისცემა სხვადასხვა ზეციურ და ქვეყნიერ ქმნილებებს. ზოგმა ღმერთად აირჩია ცის მნათობები: მზე, მთვარე და ვარსკვლავები. ზოგმა თაყვანისცემა დაუწყო ცხოველებს: ხარს, გველს, მაიმუნსა და სხვებს. ტბებს, ცეცხლს, ქარსა და კიდევ სხვა მრავალ საგანს თუ ბუნებრივ მოვლენას.

ხშირად რომ მოეგონებინათ თავიანთი ღმერთები, ადამიანებმა იწყეს მათი გამოხატვა ხეებზე, გამოქანდაკება ქვაზე, სპილენძზე, ვერცხლზე და ოქროზე და დაუწყეს ამ ქანდაკებებს თაყვანისცემა, როგორც ღმერთებს. რადგანაც ამნაირ ქანდაკებას ჰქვია კერპი, ამიტომ მისადმი ლოცვასა და ვედრებას სახელად დაერქვა კერპთაყვანისცემა.

როცა კერპთაყვანისცემა მოედო მთელი დედამიწის ზურგს და ყველა ხალხმა დაივიწყა ჭეშმარიტი ღმერთი, უფალმა ინება, რომ ქვეყანაზე ყოფილიყო ერთი ხალხი მაინც, რომელსაც ეცოდინებოდა იგი, თაყვანს სცემდა მას, ეხსომებოდა აღთქმა მაცხოვრის მოსვლაზე და შემდგომში ჭეშმარიტ სარწმუნოებას გაავრცელებდა კერპთაყვანისმცემლებშიც. ღმერთმა გადაწყვიტა, გაემრავლებინა ამისთანა ხალხი ერთი ღმრთისნიერი და კეთილმსახური კაცისაგან, რომელსაც აბრამი ერქვა.

აბრამის მოწოდება

აბრამი დაიბადა და ცხოვრობდა ქალდეველთა ქვეყანაში. ამ ქვეყნის მცხოვრებლებიც დიდიდან-პატარამდის კერპთაყვანისმცემლები იყვნენ. თვით აბრამის მამაც, რომელსაც ერქვა თარა, კერპებს ემსახურებოდა. მარტო აბრამსღა ახსოვდა

ჭეშმარიტი ღმერთი და ადიდებდა მას.

ისიც რომ არ შერყეულიყო თავის სარწმუნოებაზე ნათესავების წაბაძვით, ღმერთმა მოინდომა მისი გადასახლება სხვა ქვეყანაში. ამიტომ ერთხელ გამოეცხადა მას და უბრძანა: „დატოვე შენი სამშობლო ქვეყანა, დაანებე თავი შენს ნათესავებს, შენ სახლ-კარს, წადი იმ ქვეყანაში, რომელსაც მე შენ გიჩვენებ; მე შენგან გავამრავლებ დიდ ხალხს, გაკურთხებ და მოგანიჭებ დიდებას. ვაკურთხებ მათ, ვინც შენ გაკურთხებენ, და დავწყევლი იმას, ვინც შენ დაგწყევლის. ერთი შენი შთამომავლით კურთხეულ იქნება მთელი სამყარო.“

აბრამი დამორჩილდა ღმრთის ბრძანებას, წავიდა თავის სამშობლოდან და გაემგზავრა სამხრეთისაკენ, იმიტომ რომ ქანაანის ქვეყანა, რომელიც მას უფალმა მისცა საცხოვრებლად, იყო ქალდეველთა ქვეყნიდან სამხრეთისაკენ, თან წაიყვანა აბრაამმა თავისი ცოლი სარა და ძმისწული ლოთი მისი სახლობით. ამ დროს აბრამი იყო სამოცდათხუთმეტი წლისა.

/დაბ.11,27-28,31; 12, 1-5/

დავალება:

1. შეავსეთ ცხრილი.

სად ცხოვრობდა აბრამი?	
რა ერქვა აბრამის მამას?	
რა ერქვა აბრამის ცოლს?	
რა ერქვა აბრამის ძმისწულს?	
ვინ გამოეცხადა აბრამს?	
რა უთხრა ღმერთმა აბრამს?	
სად გადასახლდა აბრამი?	
რას გაეძცა აბრამი?	
ვინ წაიყვანა თან აბრამმა?	
რამდენი წლის გადასახლდა აბრამი?	

2. უპასუხეთ კითხვას: რა არის კერპთყვანისცემა?
3. ამოიწერეთ საკუთარი და გეოგრაფიული სახელები.

ლექსიკონი:

კერპი - წარმართული ღვთაების ქანდაკება, რომელსაც თაყვანს სცემენ კერპთმსახურნი.
კერპთაყვანისცემა – წარმართული სარწმუნოება, რომელიც კერპების მსახურებას, თაყვანისცემას მოითხოვს.
ჭეშმარიტი – მართალი, ნამდვილი, უტყუარი.
გამოქანდაკება – ვისამე, რისამე, ქანდაკების გაკეთება.

<u>შეგონება:</u> „სალმრთო წერილის კითხვა არის თვით საიმედო მცველი და მფარველი ცოდვებისაგან, ხოლო უცოდინარობა წერილისა არის საშიში, ციცაბო და ღრმა უფსკრული.“ *წმინდა იოანე ოქროპირი*

აბრამისა და ლოთის გაყრა

გადასახლების შემდეგ აბრამსა და ლოთს დიდხანს არ უცხოვრიათ ერთად, მათ მალე მოუხდათ გაყრა და ერთმანეთთან განშორება. ამის მიზეზი გახდა შემდეგი შემთხვევა: ლოთს საკუთარი კარვები ჰქონდა და ჰყავდა აუარებელი საქონელი. აბრამიც აგრეთვე მდიდარი იყო ძროხით, ცხენითა და ცხვრით. ამდენი საქონელი არ თავსდებოდა გარშემო იალაღებზე და ამის გამო განხეთქილება ჩამოვარდა აბრამისა და ლოთის მწყემსებს შორის, ამიტომ მოუწოდა თავის ძმისწულს და უთხრა: „ნუ იქნება უთანხმოება შენსა და ჩემს შორის, შენსა და ჩემს მწყემსებს შორის იმიტომ, რომ ჩვენ ერთმანეთის ძმები ვართ. უკეთესია, ერთმანეთს გავეყაროთ და ცალ-ცალკე ვიცხოვროთ. ჩვენს წინ მდებარე ქვეყანა დიდია, რომელი მხარეც გინდა ის ამოირჩიე. თუ მარცხნივ ირჩევ, მე მარჯვნივ წავალ; თუ მარჯვნივ ამჯობინებ მე მარცხნივ გავემგზავრები“.

ლოთს ჭკუაში მოუვიდა აბრამის სიტყვები და საცხოვრებლად ამოირჩია ერთი ფართო ველი, დაფენილი მშვენიერი იალაღებით, რომელიც ირწყვებოდა მდინარე იორდანით. იგი გაემგზავრა იქითკენ და კარვები დასცა ერთი ქალაქის გვერდით, რომელსაც სახელად ერქვა სოდომი.

/დაბ. 13, 1-12/

აბრამის სარწმუნოება

რადგანაც უფალს განსაკუთრებით უყვარდა აბრამი მტკიცე სარწმუნოებისათვის, ამიტომ მრავალჯერ ეცხადებოდა ძილში, სიფხიზლეში და ესუბრებოდა მას, როგორც კეთილი მამა; უმეორებდა თავის აღთქმას მრავალ მოწყალებათა შესახებ, რომელიც გაუმზადა მას, და არწმუნებდა, რომ იგი გახდებოდა

მამა დიდი შთამომავლობისა.

ერთხელ სიზმარში აბრამს მოესმა ღმრთის ხმა: „ნუ გეშინია, აბრამ, მე ვარ შენი მფარველი და დიდი ჯილდოც მოგელის ჩემგან“.

აბრამმა უპასუხა: „უფალო, რაცა მაქვს, ისიც არ მახარებს, იმიტომ რომ უშვილო ვარ და მთელი ჩემი სარჩო ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს მონას უნდა დარჩეს“.

მაშინ უფლის ხმამ დაარწმუნა აბრამი, რომ უმემკვიდრეოდ არ დარჩებოდა. შემდეგ გამოიყვანა ტრიალ მინდორზე და უთხრა: „აბა, აიხედე ცაში და დათვალე ვარსკვლავები ცაზე, თუ შეძლებ მათ დათვლას. ასევე უთვალავნი იქნება შენი შთამომავლობა, რომელსაც მე დავუმკვიდრებ ქვეყანას, სადაც ახლა შენ ცხოვრობ.“

მაგრამ გავიდა დიდი ხანი და უფლის აღთქმა ჯერ კიდევ არ აღსრულებულიყო. აბრაამი გადადგა მეასე წელიწადში, სარა – ოთხმოცდამეათეში და შვილი კიდევ არ მისცემოდათ. მაშინ უფალი კვლავ გამოეცხადა აბრამს და უთხრა: „მე ვარ შენი ღმერთი, კეთილად მემსახურე და იყავი უბიწო. მე დავდებ შენთან აღთქმას და გადაგაქცევ დიდ ხალხად. შენი ცოლი სარა შობს შვილს და მისგან წარმოდგება ხალხი, რომელიც იქნება ერი ღმრთისა. მე ვიქნები ღმერთი შენი შვილისა და მისი შთამომავლობისა.“ (აღთქმის დადების ნიშნად უფალმა აბრამს უწოდა აბრაამი, ხოლო მის ცოლს სარას – სარრა. ამიერიდან ისინი ასე იწოდებოდნენ).

მეტი სიხარულით აბრაამს გაეცნა და ღმერთმა უბრძანა მას, რომ სახსოვრად ამ სიხარულისა შვილისათვის დაერქვა ისააკი, რაც ქართულად ნიშნავს სიცილს.

/დაბ. 13, 14-17; 15, 17,19/

დავალება:

1. ამოვიწეროთ პირთა და გეოგრაფიულ ადგილთა სახელები.
2. დავწეროთ კითხვები.
3. უპასუხეთ კითხვას: რას ნიშნავს სახელი ისააკი?

ლექსიკონი:

აუარებელი – ძალიან ბევრი, დიდძალი, უამრავი

<u>შეგონება:</u> „ენა შენი, დაე, ყოველთვის გონების კარნახს ემორჩილებოდეს, რადგან გონიერებას მოკლებული სიტყვები ბასრ ეკლებად გექცევა შენვე.“

წმინდა ანტონი დიდი

ლოთის ტყვეობიდან დახსნა

ლოთის მიერ საცხოვრებლად ამორჩეული ადგილი ვერ გამოდგა სახეირო. არ გასულა დიდი ხანი მას შემდეგ, რაც იგი განშორდა აბრაამს, რომ მას შეემთხვა დიდი უბედურება. სოდომს და სხვა ახლო ქალაქებს ჯარით დაესხნენ უცხო მეფენი, სძლიეს სოდომის მცხოვრებლებს, დაარბიეს და წაასხეს ტყვეებად. ტყვეებში ერია თვით ლოთიც.

შეიტყო თუ არა აბრაამმა ძმისწულის უბედურება, მაშინათვე შეკრიბა თავისი სამასთვრამეტი სახლისწული (მსახური), მოიწვია საშველად ზოგიერთი მეზობელი, გამოუდგა გამარჯვებულებს, დაეწია და უცებ დაესხა თავს. შეეწია ღმერთი აბრაამს და დაამარცხა მტრები, აბრაამმა მათ დააყარევინა არა მარტო ტყვეები, რომელთა შორის ლოთიც იყო, არამედ მთელი დავლაც (მოტაცებული სარჩო).

როცა აბრაამი შინისაკენ დაბრუნდა, გზაზე მას გამოეგება მეფე, ქანაანის ერთი ქალაქისა, სალომისა, სახელად მელქისედეკი. ამ მეფეს სწამდა ჭეშმარიტი ღმერთი და ემსახურებოდა მას. მას გაგებული ჰქონდა აბრაამის სათნო ცხოვრება და, ნიშნად პატივისცემისა, მიაგება პური და ღვინო და აკურთხა იგი. თავის მხრივ, აბრაამმაც მიართვა მას მეათე ნაწილი დავლისა.

არ ვიცით, ვინ იყო მელქისედეკის დედ-მამა, ან რომელი ტომისგან წარმოსდგებოდა იგი. „უმამო, უდედო, ნათესავ მოუხსენებელი.“ მელქისედეკი მოასწავებდა იესო ქრისტეს.

აბრაამმა დაუბრუნა სოდომის მეფეს ყველა ტყვე და მთელი მათი სარჩო. მეფემ დაუწყო თხოვნა აბრაამს, რომ მას მარტო ტყევობიდან გამოხსნილი ხალხი დაებრუნებინა და მათი სარჩო კი თავისთვის დაეტოვებინა, მაგრამ აბრაამმა ცივი უარი უთხრა. კეთილი საქმისთვის ჯილდოს ანუ ფასის მიღება მას არ უნდოდა, რადგანაც უანგარო კაცი იყო. მას ამგვარად უპასუხა: „აღვაპყრობ ჩემს ხელს მაღალი ღმერთის მიმართ



და შემოგფიცავ, რომ ერთ ბეწვსაც არ ვინდომებ მათი ქონებიდან. რათა არ თქვან ჩემზედ, რომ იგი სხვისი მონაგარით გამდიდრდაო.“

ამის შემდეგ ლოთი ისევ ქალაქ სოდომთან ცხოვრობდა, მაგრამ კინაღამ სრულიად არ დაიღუპა საშინელი უბედურებისაგან, რომელიც ამ ქალაქს ეწია.

სოდომის და ახლო ქალაქების მაცხოვრებლები მეტად ბოროტნი, ბიწიერნი და საშინლად გარყვნილები იყვნენ. უფალი ხედავდა, რომ მათგან მოულოდნელი იყო სინანული და სწორ გზაზე მოქცევა. ხოლო მათი ცოდვები ისეთი მძიმე იყო, რომ მათი ქვეყანაზე დარჩენა საშიში იყო: სხვებიც მათ მაგალითს წაბაძავდნენ და მთელი ქვეყანა გაირყვნებოდა. ამიტომ უფალმა გადაწყვიტა, სამაგალითოდ დაესაჯა ისინი. თუ რა იყო ეს საშინელი სასჯელი, გამოჩნდება შემდეგი ორი მოთხრობიდან.

/დაბ. 14, 1-23/

დავალება:

1. უპასუხეთ კითხვას: რა უპასუხა აბრაამმა სოდომის მეფეს ნადავლის აღების თაობაზე?
2. ამოიწერეთ საკუთარი და გეოგრაფიული სახელები.
3. როგორ გესმით სიტყვები: „უფალმა გადაწყვიტა სამაგალითოდ დაესაჯა ისინი“ (სოდომელები).

ლექსიკონი:

სახიერი – კეთილი, მოწყალე, სათნო.
წაასხეს – წაიყვანეს.
ანგარება - მომხვეჭელობა, გამორჩენის სიყვარული.
უანგარო – კაცი, რომელსაც გამორჩენის სიყვარული, მომხვეჭელობა არ ამოქმედებს.
დავლა – ომში ნაშოვნი ქონება, იარაღი და სხვა ნაძარცვი, ნაყაჩაღარი.
მონაგარი - გარჯით ნაშოვნი ქონება, ფული.
წაასხავს - წაიყვანს.

შეგონება: „კაცი უცებ ვერ გახდება კეთილმსახური და ბრძენი; ეს ღრმა განსჯით, მეცადინეობით, ხანგრძლივი ღვაწლით და, რაც უმთავრესია, კეთილ საქმეთა აღსრულების გზით მიიღწევა.“

წმინდა ანტონი დიდი

უფალი ესტუმრა აბრაამს

აბრაამი და მისი ცოლი სარრა გახდნენ ღირსი მეტად დიდი და გაუგონარი პატივისა: როდესაც მათ ჰქონდათ კარვები დაცემული მამრეს დიდ მუხასთან, მათ თავიანთ სადგომში სტუმრად მიიღეს უფალი ღმერთი. იგი გამოეცხადა მათ შემდეგი უბრალო სახით:

შუადღე იყო და აბრაამი იჯდა კარვის კარებთან. ა[illegible]და მაღლა და მახლობლად დაინახა სამი მოგზაური. წამოდგა მაშინვე, მიეგება მათ, წინ დაუკრა თავი და თხოვნით მიმართა იმას, რომელიც უფროსს ჰგავდა: „უფალო, თუ ღირსი ვარ შენი მოწყალებისა, ნუ ამიქცევ გზას, მიკადრეთ, მობრძანდით, დაისვენეთ ამ ხის ძირში და ცოტაოდენი დანაყრდით“.

მოგზაურები დათანხმდნენ და მივიდნენ ჩრდილქვეშ. აბრაამი გაეშურა კარავში და უთხრა სარრას: „ჩქარა მოზილე და გამოაცხვე ხმიადები“. მერე გაიქცა საქონლის ფარაში, თავისი ხელით ამოარჩია საუკეთესო ხბო და უბრძანა, საჩქაროდ



მოემზადებინათ.

როცა ყველაფერი დამზადდა, აბრაამმა მიართვა სტუმრებს პური, რძე, კარაქი და ხბოს ხორცი. თვითონაც თავს დაადგა, სთავაზობდა საჭმელს და ემსახურებოდა სტუმრებს. მაშინ ერთმა სტუმართაგანმა უთხრა აბრაამს: „მერმის სწორედ ამავე დროს გეწვევი შენ და შენს ცოლს მაშინ შვილი ეყოლება“.

სარრა ამ დროს კარებში იდგა და, რომ გაიგონა ეს სიტყვები, გულში ჩაიცინა. მაშინ სტუმარმა თქვა: „რად გაიცინა სარრამ და რად გაიფიქრა გულში, სიბერის დროს შვილი როგორღა მეყოლოსო? განა ღმრთისთვის არის რამე ძნელი, რისი აღსრულებაც მას არ შეეძლოს?“

სარრამ და აბრაამმა ცხადად დაინახეს, რომ სტუმარმა ისიც იცოდა, რასაც კაცი გულში იფიქრებდა და უწყოდა მომავალი. მაშინ იმათ გაიგეს, ვინ იყვნენ მათი სტუმრები. ერთი მათგანი იყო თვით უფალი, ორნი – ანგელოზები.

სადილის შემდეგ უცნაური სტუმრები ადგნენ და წავიდნენ სოდომისაკენ. გახარებული აბრაამი გასაცილებლად თან გაყვა მგზავრებს. ორნი ჩქარა დაწინაურდნენ, უფროსი კი აბრაამთან დარჩა. მაშინ უფალმა გამოუცხადა აბრაამს, სოდომელების ცოდვები ზეცას შემოჰღაღადებენ და მე გადავწყვიტე, მათი სახსენებელი ამოვაგდო ქვეყანაზეო.

აბრაამს შეეშინდა, ჩემი ძმისწულიც სხვებთან ერთად არ დაიღუპოსო და დაუწყო ვედრება უფალს, დაეფარა უსჯულო ქალაქი, თუ იქ რამდენიმე მართალი კაცი მაინც იქნებოდა: „უფალო, შენ ხარ მართლმსაჯული და ნუთუ მართლებსაც ბიწიერებთან ერთად დაღუპავ? თუ იქ ორმოცდაათი მართალი კაცი იქნება, ნუთუ მათთვის არ დაიფარავ მთელ ქალაქს?“

უფალმა უპასუხა, რომ იგი ყველას აპატიებდა, თუ ამდენი მართალი კაცი მათ შორის აღმოჩნდებოდა.

აბრაამმა კიდევ გაბედა და ჰკითხა: „იქნებ ორმოცდახუთი იყოს? ნუთუ მთელ ქალაქს დაღუპავ ხუთი მართლის დაკლებისათვის?“

უფალმა მიუგო, რომ არც მაშინ დასჯიდა ქალაქს.

მოწყალე პასუხით წაქეზებულმა აბრაამმა თანდათან დააკლო მართალთა რიცხვს: „თუ ორმოცი იქნება? თუ ოცდაათი? თუ ოცი? თუნდაც ათი რომ იყოს?“

უფალმა ბოლოს უპასუხა: „არ დავღუპავ ქალაქს, ათი მართალი კაციც რომ იყოსო“.

/დაბ. 18, 1-32/

დავალება:

1. დავწეროთ კითხვები.
2. როგორ გესმით სიტყვები: „სოდომელების ცოდვები ზეცას შემოჰღაღადებენ“
3. ვისაუბაროთ სტუმართმოყვარეობაზე.

ლექსიკონი:

ხმიადები – უსაფუვროდ გამომცხვარი პური.
მერმისი – მომავალი.
მართლმსაჯული – სამართლიანი, სიმართლიანი, ის ვინც სიმართლით განსჯის, განმსჯელი.

<u>შეგონება:</u> „შეუძლებელია, სრულიად შეუძლებელი, რომ მოწყალების გარეშე მიაღწიო სამოთხის კარამდე. მოწყალების გარეშე ლოცვაც უნაყოფოა.“

წმინდა იოანე ოქროპირი

სოდომის დასჯა

საღამო იყო, როცა ორი ანგელოზი შევიდა სოდომში. ლოთი, ერთადერთი მართალი კაცი მთელ იმ ქალაქში, წინ მიეგება მათ და გულით სთხოვა, რომ სწვეოდნენ მას და ღამეც მასთან გაეთიათ. ანგელოზები დათანხმდნენ და მივიდნენ ლოთის სახლში, სადაც მათ მშვენივრად გაუმასპინძლდნენ.

ამ დროს მათ კარს მოადგნენ ბიწიერი და აბეზარი სოდომელები და მოითხოვეს ლოთისაგან, რომ მას მიეცა მათთვის თავისი სტუმრები წასაბილწად. ლოთმა დაუწყო ხვეწნა: „ძმებო, ნუ უზამთ მათ ბოროტს“. მაგრამ სოდომელები დაემუქრნენ: „როგორ? შენ უცხო კაცი ხარ, საიდანღაც მოთრეული, და ჩვენ უნდა გვასწავლო ჭკუა? ჩვენ გაჩვენებთ შენ!“ თქვეს ეს და გაექანნენ ლოთისაკენ, მაგრამ ანგელოზები მიეშველნენ, ლოთი გამოაცალეს ხელიდან ხალხს, შინ შეიყვანეს და მოკეტეს კარები. სოდომელებს უნდოდათ, კარები შეემტვრიათ, მაგრამ ანგელოზებმა მათ სიბრმავე დამართეს; დაბრმავებულმა ხალხმა ვეღარაფერი გაიგო, კარებს ვეღარ მიაგნო და წავიდ-წამოვიდა.

ამის შემდეგ ანგელოზებმა გამოუცხადეს ლოთს: „ჩვენ გამოგზავნილნი ვართ ღმრთისაგან ამ უსჯულო და გარყვნილი

ქალაქის გასანადგურებლად. თუ შენ აქ ნათესავები გყვანან, ჩქარა გაიყვანე ქალაქიდან“.

ლოთს სოდომში ჰყავდა დანიშნული სასიძონი თავისი ქალებისათვის. შეატყობინა მათ ეს ამბავი და სთხოვა, რომ დაეტოვებინათ ქალაქი და გაქცეულიყვნენ, მაგრამ მათ არ დაუჯერეს სასიმამროს და მასხრადაც აიგდეს.

მეორე დილის სისხამზე, მზის ამოსვლამდის ანგელოზებმა უბრძანეს ლოთს, რომ ცოლითა და ქალებით საჩქაროდ გაქცეულიყო ქალაქიდან. რადგანაც ლოთი იგვიანებდა, ამიტომ ანგელოზებმა წაავლეს ხელი, გამოიყვანეს იგი სახლობით სოდომიდან და უთხრეს: „ჩქარა უშველე თავს, გასწი, უკან ნულარ მოიხედავ და ნუ გაჩერდები ამ მინდორზე, თორემ დაიღუპები“. ლოთმა გაუგონა ანგელოზებს და გაიქცა თავისი სახლობით.

ამოვიდა თუ არა მზე, აი რა საშინელი სასჯელი მოუვლინა უფალმა სოდომსა და მის ახლო ქალაქებს: ციდან წამოვიდა ცეცხლის წვიმა, მოედო ქალაქებს და მათ გარშემო არემარეს და მთლად გადაბუგა. შემდეგ გასკდა დედამიწა, ჩავარდა ძირს და მის ადგილზე გაჩნდა საშინლად მტუტე და მწარე ზღვა. ამ ზღვას დაერქვა სახელად მკვდარი ზღვა, იმიტომ, რომ თვითონ მასშიც და მის გარშემოც ცოცხალი არსება ძნელი სანახავია.

ლოთის ცოლმა არ აასრულა ღმრთის ბრძანება; წინააღმდეგ ანგელოზის დარიგებისა, იგი გზაზე გაჩერდა, მიიხედა უკან და თითქოს ნანობდა სოდომის დატოვებას. ამისათვის მასაც საშინელი სასჯელი მიადგა: მისი სხეული უცებ გადაიქცა მარილის სვეტად.

აბრაამმა თავისი ბინიდან დაინახა უშველებელი სვეტი კვამლისა, რომელიც სოდომიდან მაღლა ადიოდა, და ამით გაიგო, რომ მართლმსაჯულ უფალს ამ წაბილწულ ქალაქში ვერ უპოვია ის ათი მართალი კაციც, რომელთა გულისათვის მას მთელი ქალაქის გადარჩენა აღუთქვა.

მკვდარი ზღვა

დავალება:

1. ამოვიწეროთ გეოგრაფიული სახელები.
2. დავწეროთ კითხვები

ლექსიკონი:

აბეზარი – მომაბეზრებელი, შემაწუხებელი, მოთმინებიდან გამომყვანი.

შეგონება: „ყოველ ცოდვას ადამიანისთვის ხორციელი და სულიერი უბედურება მოსდევს.ყველაზე საშინელი შედეგი ცოდვისა ისაა, რომ იგი ადამიანს ღმრთის მადლს მოაკლებს.“ *წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი*

ისაკის დაბადება და მისი მსხვერპლად შეწირვა

ბოლოს აღსრულდა უფლის აღთქმა. სარრას, აბრაამის ცოლს შეეძინა ძე, რომელსაც, თანახმად ღმრთის ნებისა, დაარქვეს სახელად ისაკი. ეს მოხდა სწორედ უფლისაგან დანიშნულ დროს. მაშინ აბრაამი იყო სრული ასი წლის, სარრა ოთხმოცდაათის. გამოუთქმელ სიხარულს მისცა მოხუცი დედ-მამა ღმრთის ამ მოწყალებამ. ახლშობილ ძეს ისინი შეჰხაროდნენ, როგორც უძვირფასეს საუნჯეს, ზრდიდნენ მას დიდი სიფრთხილით და ასწავლიდნენ კეთილმსახურებას, ღმრთის მორჩილებას, კაცთმოყვარეობასა და დედ-მამის პატივისცემას. თვით ისაკიც იყო მეტად საყვარელი ბავშვი: წყნარი, ხათრიანი, მორჩილი, უწყინარი და მეცადინე. მაგრამ ერთხელ უფალი გამოეცხადა აბრაამს და გამოსაცდელად მოსთხოვა მსხვერპლი: „აბრაამ! წაიყვანე ძე შენი საყვარელი, დედისერთა ისაკი, ადი ერთ მთაზე, რომელსაც მე გიჩვენებ, და იქ შემომწირე იგი მსხვერპლად“. აბრაამს ისე მტკიცედ უყვარდა ღმერთი, რომ ერთ წუთსაც არ შეყოყმანებულა მოულოდნელი ბრძანების აღსასრულებლად. მეორე დილითვე ადგა აბრაამი, შეკაზმა სახედარი, გაიყოლა თან ორი მონა, წაიყვანა ისაკი და გაუდგა გზას. მესამე დღეს მივიდნენ მთასთან, რომელიც უფალმა უჩვენა აბრაამს. მან ორივე მონა და სახედარი მთის ძირში დატოვა, ისაკს კი აჰკიდა ზურგზე მსხვერპლის დასაწვავი შეშა, თვითონ აიღო ხელში დანა და ცეცხლი და შეუდგა მთას.

გზაზე ისაკმა ჰკითხა: „მამილო, მარტო ეს ცეცხლი და დანა რომ მიგვაქვს, სამსხვერპლო ბატკანი სადღაა?“ „ღმერთი თვითონ გვიჩვენებს, შვილო, შესაწირავ ბატკანს,“ - უთხრა მამამ.

ბოლოს ავიდნენ მთის წვერზე. აბრაამმა ააშენა სამსხვერ-პლო, დააწყო ზედ შეშა, მერე შეკრა ისაკი და დადო შეშაზე.

მშვიდი კრავივით ისაკი მამას ყველაფრის ნებას აძლევდა. აბრაამმა აიაღო ხელში დანა და ის იყო, უნდა დაეცა შვილისათვის, რომ ამ დროს ზეციდან მოისმა ანგელოზის ხმა: „აბრაამ! ნუ შეახებ ხელს ყმასა მაგას, ნურას დაუშავებ მას: ახლა ცხადად გამოჩნდა, რამდენად გიყვარს შენ ღმერთი, რადგანაც არ დაიშურე მისთვის ერთადერთი საყვარელი ძე შენი“.

ისაკის მსხვერპლად შეწირვა მოასწავებდა იესო ქრისტეს ჯვარცმას, სიკვდილს და აღდგომას.

აბრაამი სიხარულით ცას ეწია და მაშინვე ახსნა ისაკი.

მიიხედა აბრაამმა და დაინახა იქვე ახლოს ცხვარი, რომელიც რქებით გახლართულიყო ჯაგებში. აიყვანა ეს ცხვარი აბრაამმა და შესწირა მსხვერპლად უფალს ისაკის ნაცვლად და ამასთან მხურვალე მადლობა გადაუხადა უფალს, რომელმაც ისაკის დაბრუნებით დიდი მოწყალება გამოიჩინა.

როგორი დიდი იყო სარწმუნოება და სიყვარული აბრაამისა ღმრთისადმი, ასევე დიდ ჯილდოს ელირსა იგი ღმრთისაგან. აი, რა ხმა მოესმა ზეციდან აბრაამს მსხვერპლის შეწირვის შემდეგ: „რადგანაც შენ არ დაიშურე ჩემთვის შვილი შენი საყვარელი, ამიტომ გაკურთხებ შენ დიდითა კურთხევითა და ისე გავამრავლებ შენს შთამომავლობას, როგორც მრავალნი არიან ვარსკვლავნი ცისანი და ქვიშანი ზღვისანი და ერთი შენი შთამომავლის მეოხებით მიიღებს უფლის კურთხევას ყოველი ქვეყნის ხალხი“.

/დაბ. 21, 1-3; 22, 1-18/

დავალება:

უპასუხეთ კითხვებს:

1. როგორ ზრდიდნენ აბრაამი და სარრა ისაკს?
2. როგორი ბავშვი იყო ისაკი?
3. როგორ აკურთხა ღმერთმა აბრაამი?
4. იმსჯელეთ! „გამოუთქმელ სიხარულს მიეცა“.

ლექსიკონი:

საუნჯე – ძვირფასი ნივთები, ფასეულობა, განძი, სიმდიდრე.

<u>შეგონება:</u> „შენს ვაჟიშვილს დაუტოვე არა სიმდიდრე, ოქრო და ვერცხლი, არამედ ქრისტიანული სიბრძნე, არა მდიდრული სახლი, არამედ კეთილი და მორწმუნე მეგობრები.“

წმინდა იოანე ოქროპირი

სარრას სიკვდილი და ისაკის მიერ ცოლის შერთვა

უფალმა აბრაამსა და სარრას დღეგრძელი ცხოვრება მიანიჭა. სარრამ იცოცხლა ასოცდაშვიდი წელიწადი და მოკვდა ღრმა მოხუცებულებაში. აბრაამმა რომ გამოიტირა თავისი ერთგული მეუღლე, დაასაფლავა მახპელას გამოქვაბულში, იმ ადგილის მახლობლად, სადაც მან სტუმრად მიიღო უფალი სამი მოგზაური ანგელოზის სახით. ეს გამოქვაბული გარშემო ადგილებით ეკუთვნოდა ახლო ქალაქის, ქებრონის ერთ მცხოვრებს. აბრაამმა ეს ადგილი იყიდა პატრონისაგან და დანიშნა (დააწესა) საოჯახო სასაფლაოდ.

სარრას სიკვდილის შემდეგ აბრაამმა დააჩქარა ისაკის ცოლის შერთვა. რადგანაც ქანაანელნი წარმართნი იყვნენ, ამიტომ მათგან ქალის თხოვა არ ინდომა. მოუწოდა თავის ერთგულ უფროს მონას, ელეაზარს და გაგზავნა იგი შუამდინარეთში, სადაც ცხოვრობდნენ შვილნი და შვილიშვილნი აბრაამის ძმისა, და უბრძანა, რომ ამ გვარეულობიდან ამოერჩია ისაკისათვის საცოლე. მონამ აღასრულა ბატონის ბრძანება, შეკაზმა აქლემები და გაუდგა გზას.

კარგა ხნის მოგზაურობის შემდეგ საღამო ჟამს, იგი მიუახლოვდა ქალაქ ნაქორს, სადაც ცხოვრობდა ნათესაობა აბრაამისა. ქალაქის გარეთ ელეაზარმა ნახა ჭა, სადაც წყლისათვის საღამოს ქალაქის ქალები გამოდიოდნენ. ჩამოხტა ელეაზარი ამ ჭასთან და თავის გულში ღმერთს შეევედრა: "უფალო ღმერთო, მოწყალე თვალით გადმოხედე ჩემს ბატონს. მიჩვენე მე ის ქალი, რომელიც ისაკისათვის საცოლედ დაგინიშნავს ამ სახით, მე ვთხოვო მას წყლის დალევინება და მან ასე მიპასუხოს:" შენც დალიე და შენს აქლემებსაც დავალევინე".

დაამთავრა თუ არა ეს ლოცვა ელეაზარმა, ჭას მიუახლოვდა ერთი ახალგაზრდა ქალი და წყლის ამოღება დააპირა.

ელეაზარი მივიდა მასთან და სთხოვა: "შვილო, დამალევინე წყალი შენი სარწყულიდან." ამაზე ქალმა მიუგო: „შენც მიირთვი, ბატონო ჩემო, და შენს აქლემებსაც დაალევინე."

ელეაზარი განცვიფრდა, რა სწრაფად ამისრულა უფალმა თხოვნაო. ქალს საჩქაროდ მისცა ოქროს საყურეები და ძვირფასი სამაჯურები და ჰკითხა, ვისი ქალი ხარო. ქალმა უპასუხა: „მე ვარ ასული ბათოელისა, ნაქორის შვილისა."

ხოლო ნაქორი იყო აბრაამის ძმა. ელეაზარმაც უთხრა ქალს თავისი ვინაობა. მხურვალე მადლობა შესწირა ღმერთს ელეაზარმა, რომ მან პირდაპირ მოიყვანა აბრაამის ნათესავებთან და ცხადად უჩვენა ისაკის საცოლე.

რებეკა გაიქცა შინ გახარებული და დედას უთხრა, აბრაამის მონა ვნახე და ეს საჩუქრები მომცაო. მაშინვე რებეკას ძმა გაეგება ელეაზარს და მიიწვია სახლში. ელეაზარმა დაწვრილებით უამბო, თუ რისთვის იყო გამოგზავნილი და როგორ უჩვენა უფალმა რებეკა, როგორც მისგან არჩეული საცოლე ისაკისათვის. ბოლოს ჰკითხა; „თანახმანი ხართ, გამოუშვათ ჩემთან რებეკა, რათა გახდეს ცოლი ისაკისა?"

დედ-მამა მაშინვე დათანხმდა, თვითონ რებეკამაც გამოაცხადა ამაზე თავისი სურვილი. ამის შემდეგ დედ-მამამ დალოცა, აკურთხა შვილი და გაისტუმრა შორ გზაზე. როცა ქანაანის ქვეყანაში მოვიდნენ, რებეკა გახდა ცოლი ისაკისა.

მის შემდეგ აბრაამმა ცოტა ხანიღა იცოცხლა და გარდაიცვალა ასსამოცდათხუთმეტი წლისა. იგი ისაკმა დამარხა მახპელას გამოქვაბულში, სადაც განისვენებდა სარას გვამი.

/დაბ.23,1-20; 24,1-67; 25,1-10/

დავალება:

1. ამოვიწეროთ პირთა და გეოგრაფიულ ადგილთა სახელები.
2. შეავსეთ ცხრილი:

რამდენი ხანი იცოცხლა:

აბრაამმა	
სარრამ	

3. როგორ გესმით გამოთქმა - **„მხურვალე მადლობა შესწირა“.**
4. მოამზადეთ დამოუკიდებელი სამუშაოსათვის თემა: **„აბრაამის ისტორია“.**

ლექსიკონი:

დღეგრძელი – ხანგრძლივი სიცოცხლის მქონე.
სარწყული - ღვინის ან მარცვლეულის საწყაო (შესანახი).

<u>შეგონება:</u> **„ბრძენკაცებთან მოსიარულე თავად დაბრძენდება, ბრიყვთა მეგობარი კი გაუბედურდება.“**

იგავნი სოლომონისა

ესავი და იაკობი

ისაკი იყო ისეთივე კეთილმსახური კაცი, როგორც აბრაამი. ღმერთს იგი მისი მამასავით მფარველობის ქვეშ ჰყავდა და უმეორებდა იმ აღთქმებს, რომელნიც სხვადასხვა დროს მისცა აბრაამს. მაგრამ ისაკი მამასავით დიდხანს დარჩა უშვილო. ორმოცი წლისა იყო, როცა რებეკა შეირთო და მამა მხოლოდ მაშინ შეიქნა, როდესაც სამოცი წლის გახდა. ამ დროს რებეკას მიეცა ტყუპი ვაჟი. რომელიც პირველად იშვა მას ესავი დაარქვეს, მეორედ ნაშობს კი უწოდეს იაკობი.

ესავი როცა მოიზარდა, მონადირეობა აირჩია ხელობად, იაკობმა კი არ დააგდო კვალი მამა-პაპისა და მწყემსი გახდა.

ესავი იყო ანჩხლი, გულჩქარი და ბრიყვული თვისების. ხოლო იაკობს ჰქონდა მშვიდი, ხათრიანი და უწყინარი ხასიათი. პირველი შვილი მამას მომეტებულად უყვარდა, რადგანაც ნადირის ხორცით ხშირად ასიამოვნებდა ხოლმე, მეორე კი დედას უფრო უყვარდა.

ერთხელ ესავი დიდი ხნის ნადირობის შემდეგ მოვიდა შინ საშინლად დაღლილი და მშიერი. ამ დროს იაკობს წინ ედგა სავსე ჯამი ოსპის შეჭამანდით. „მოიტა, გამაძღე ერთი მაგ შენი შეჭამანდით," - უთხრა ესავმა იაკობს. „შენი უფროსობა ეხლავე მე დამითმე და ბატონო ბრძანდები", უპასუხა იაკობმა. „რა თავში ვიხლი უფროსობას, როდესაც შიმშილით ვკვდები", - მოუფიქრებალად მიუგო ესავმა. ასე წინდაუხედავად დაუთმო მან უფროსობა უმცროს ძმას და შეჰფიცა კიდეც, რომ თავის დღეში აღარ შეეცილებოდა. ესავს, როგორც დაუდევარ კაცს, მალე დაავიწყდა ეს შემთხვევა და მოინდომა თავისი უფროსობის დალოცვა. მაგრამ ეს დალოცვა ერგო მასზედ უფრო ღირსეულს – იაკობს. საქმე იაკობს გაურიგა რებეკამ, რომელსაც იგი უფროს შვილზე მომეტებულად

უყვარდა.

რებეკამ შეიტყო, რომ ისაკი აპირებდა ესავის დალოცვას, ადგა და გაგზავნა იაკობი მამასთან კურთხევის მისაღებად მაშინ, როდესაც ესავი სანადიროდ გაიგულა. ისაკი ამ დროს ძალიან მოხუცებული იყო და ველარ ხედავდა. როცა იაკობი შევიდა დასალოცად ისაკს ეგონა ესავიაო, აკურთხა იგი და დაულოცა უფროსობა ძმაზე.

ესავი მალე დაბრუნდა ნადირობიდან და, რომ შეიტყო მამისაგან ძმის ოინი, საშინელი ყვირილი და ტირილი მორთო და ხვეწნა დაუწყო ისაკს, რომ მას თავისი ლოცვა-კურთხევა მისთვის მიეცა, მაგრამ ისაკმა დალოცვის შეცვლა აღარ მოინდომა, რადგან იფიქრა: უთუოდ ღმერთთს ნებავდა, რომ იაკობს მისცემოდა უფროსობაო.

ესავი საშინლად გაცეცხლდა და იმუქრებოდა, რომ მოკვდებოდა თუ არა ისაკი, იაკობს ერთ დღესაც არ აცოცხლებდა. რებეკამ გაიგონა ეს მუქარა, შეეშინდა საყვარელი შვილის დაკარგვისა და უთხრა იაკობს, რომ გაქცეულიყო მის ძმასთან, ლაბანთან, შუამდინარეთში და იქ ეცხოვრა, მანამ ესავი გულს მოიბრუნებდა მასზე. იაკობი დათანხმდა.

როცა მოხუცებული მამა ემშვიდობებოდა იაკობს, უბრძანა, რომ ცოლი შუამდინარეთში შეერთო და ბოლოს უთხრა: „მოგანიჭოს ყოვლადძლიერმა ღმერთმა შენ და შენთა შთამომავალთ ის ლოცვა-კურთხევა, რომელიც მან მისცა აბრაამს, მამასა ჩემსა“.

იაკობმა ახსენა ღმერთი და გაუდგა გზას.

/დაბ. 25,20-34; 27,1- 46; 28,1-5/

დავალება:

1. ამოვიწეროთ პირთა და გეოგრაფიულ ადგილთა სახელები
2. შეავსეთ ცხრილი

	ესავი	იაკობი
როგორი იყო?		
რა საქმიანობას ეწეოდა?		

3. როგორ გესმით გამოთქმები:

ა) „არ დააგდო კვალი მამა-პაპისა“;

ბ) „რა თავში ვიხლი უფროსობას“.

ლექსიკონი:

ოსპი – დაბალი, ერთწლოვანი პარკოსანი მცენარე, იკეთებს მარცვლოვან პარკებს.

შეჭამანდი – სათანადოდ მომზადებული წვნიანი საჭმელი.

გაურიგა – შუამავლობა გაუწია.

გაიგულა – სხვაგან წასულად მიიჩნია.

ოინი – ხრიკი, ფანდი, თვალთმაქცობა.

<u>შეგონება:</u> **„მოსწავლე! ეს ისწავლე, ფრთხილ იყავ სიტყვაში, რომელთაც შენ წარმოსთქვამ, შეიყვარე კეთილი, რომ სული შენი განსძღეს ნეტარებით.“**

წმინდა იოანე ოქროპირი

იაკობის მოგზაურობა

იაკობმა გასწია ჩრდილოეთისაკენ, რადგანაც შუამდინარეთი ამ მხარეს იყო ქანაანის ქვეყნიდან. პირველსავე დღეს კარგა გზა გაიარა, ღამემ ტრიალ მინდორზე მოუსწრო. დაღლილმა იაკობმა დაიდო ქვა და დაიძინა მინდორში ღმრთის ანაბარად.

მან ძილში ნახა საკვირველი სიზმარი: ვითომც, დედამიწაზე ამართული იყო მაღალი, თვალუწვდენელი კიბე და თავი ცაში ჰქონდა მიბჯენილი. ამ კიბეზე მრავალი ანგელოზი ჩადიოდ-ადიოდა მაღლა. კიბის თავზე, კი იდგა თვით უფალი და ეუბნებოდა იაკობს: „მე ვარ ღმერთი აბრაამისა და ისაკისა: ნუ გეშინია! მაგ ქვეყანას, სადაც ახლა შენ წევხარ, დაგიმკვიდრებ შენ და შენს შთამომავალობას, რომელთაც გავამრავლებ, როგორც ქვიშას ზღვაში. ერთი შენი შთამომავლის (მაცხოვრის) შუამავლობით ვაკურთხებ მე ქვეყანის ყველა მცხოვრებს. არასდროს თავს არ დაგანებებ, დაგიცავ ყველგან, სადაც კი წახვალ, და მშვიდობით დაგაბრუნებ ამავე ქვეყანაში.“

იაკობმა რომ გამოიღვიძა, თქვა: „საშიში არის ეს ადგილი; აქ არის სახლი უფლისა, აქ არის კარი ცისა“. გადაუხადა უფალს მადლობა და გასწია თავის გზაზე.

კიბე, რომელიც იაკობმა იხილა, მოასწავებდა ღმრთისმშობელს, რომლისგანაც იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. მან შეაერთა ცა და ქვეყანა, ცოდვით განშორებული კაცი შეარიგა ღმერთთან. ანგელოზების ასვლა-ჩამოსვლა კიბეზე ნიშნავდა ღმრთის განგებულებას, ღმერთის მზრუნველობას ქვეყანაზე.

კარგა ხნის მოგზაურობის შემდეგ, იაკობი მივიდა ქარანში, თავის დედის ძმასთან, ლაბანთან. იაკობს ნათესავები სიხარულით მიეგებნენ და დააბინავეს. რადგანაც ლაბანს ბევრი საქონელი ჰყავდა და იაკობსაც, ამიტომ ბიძამ მეცხვარედ

დაიყენა დისწული. ლაბანი ფულის მაგივრად გასამრჯელოს ცხვრებით იხდიდა.

მოეწონა აქ ყოფნა იაკობს და ცოლიც აქ შეირთო, თანახმად ისაკის სურვილისა.

უფალმა მოუმართა ხელი იაკობს და აკურთხა მისი შრომა და მოთმინება. იაკობი ძალიან გამდიდრდა თავისი წილი ცხვრით. საკუთარი ცხვარი საკვირველად გაუმრავლდა მას და შეადგინა დიდი, უთვალავი ფარა. ამიტომ, ლაბანმა და მისმა შვილებმა შურის თვალით დაუწყეს ყურება იაკობის სიმდიდრეს. იაკობმა რომ ეს შენიშნა, თქვა, მე აქ აღარ მედგომება, დროა, პირი შინისკენ ვქნაო. ადგა და წავიდა მთელი სახლობით, მრავალი მონითა და საქონლით ქანაანის ქვეყანაში, საიდანაც მივიდა ბიძასთან ოცი წლის წინათ.

/დაბ.28, 10-23; 29,1-5; 30,1-43; 31,1-55/

დავალება:

1. ამოვიწეროთ გეოგრაფიული სახელები.
2. დავწეროთ კითხვები.
3. როგორ დახატავდით იაკობის სიზმარს.
4. როგორ გესმით: **„ღმრთის ანაბარად დაიძინა“.**

ლექსიკონი:

თვალუწვდენელი – (ის,) რაც ძალიან დიდ ფართობზეა გადაშლილი.

გასამრჯელო – გაწეული შრომის საფასური, საზღაური

შეგონება: „მოიპოვე ბეჯითობა, ეს დიდი საუნჯე სიბრძნისა და განეშორე სიზარმაცეს, ყოველივე უბედურების შესაკრებელს.“

წმინდა ეფრემ ასური

იაკობის დაბრუნება

იაკობს ერთი მხრით მიუხაროდა ქანაანის ქვეყანაში, მეორე მხრით კი ეშინოდა, ესავს ისევ ბოროტი გული ექნება ჩემზეო. მაგრამ უფალმა ერთი მოვლინებით ცხადად აჩვენა იაკობს, რომ მას შიში არაფრისა უნდა ჰქონოდა. იაკობმა გზაზედ ნახა გუნდად ანგელოზები, რომლებიც მზად იყვნენ, დაეცვათ ყოველივე ბოროტისაგან.

იმედმოცემულმა იაკობმა გაგზავნა ძმასთან რამდენიმე მონა, რომ შეეტყობინებინათ, შენი ძმა დაბრუნდა სამშობლო ქვეყანაშიო. გაგზავნილნი დაბრუნდნენ უკან და ვერაფერი სასიამოვნო ამბავი მოუტანეს იაკობს, მათ უთხრეს: შენი ძმა ესავი თვითონ მოდის შენთან მრავალი შეიარაღებული კაცითო.

იაკობი ძალიან შეშინდა და შესთხოვა ღმერთს შემწეობა ამ ლოცვით: „უფალო, თუმცა ღირსი არა ვარ შენი ამდენი მოწყალებისა და სიკეთისა, მაგრამ მაინც გევედრები, დამიხსნა ჩემი ძმის ხელიდან. მეშინია მეც არ მომკლას და ცოლ-შვილიც არ გამიწყვიტოს.“

თავის მხრივ, იაკობმა მოისაზრა, ეჩვენებინა ძმისთვის თავისი პატივისცემა და სიყვარული და ამით მოეგო მისი გული. საქონელში აარჩია საუკეთესო, ძვირფასი პირუტყვები და გაუგზავნა ესავს ძღვნად ანუ საჩუქრად, მაგრამ იაკობი მაინც კიდევ იჭვნეულობდა ძმაზე და ამიტომ ყველაფერი მოამზადა გასაქცევად იმ შემთხვევისათვის თუ ძმა მტრულად დახვდებოდა მას.

ამ თადარიგის დაჭერის შემდეგ იაკობმა დიდი მღელვარებითა და შფოთით დაუწყო ლოდინი ძმასთან შეხვედრას. უფალმა ახლაც ნუგეში სცა მას და გაამხნევა შემდეგი გასაოცარი გამოცხადებით.

ღამე იყო. იაკობი ბინას გაშორდა და მინდორში გავიდა მარტო. უცებ გამოცხადდა მასთან ერთი ვინმე და დაუწყო

ჭიდაობა. ბრძოლა გაგრძელდა გათენებამდის. როცა განთიადმა მოატანა, უცნაურმა მოჭიდავემ უთხრა იაკობს. ახლა კი გამიშვი, კმარაო. იაკობმა უპასუხა. არ გაგიშვებ სანამ არ მაკურთხებო. მოჭიდავემ მაშინვე ჰკითხა იაკობს სახელი და უთხრა. „ამის შემდეგ შენი სახელი იქნება ისრაელი (ღმერთთან მოჭიდავე) იმიტომ, რომ შენ ამ ღამეს ღმერთთან იჭიდავე, და, მაშასადამე, ყოველ კაცს დასძლევ.“ ბოლოს აკურთხა იაკობი და გაუჩინარდა.

იაკობმა კარგად შეიტყო, ვინ იყო მასთან მოჭიდავე, და ღვთის სიტყვების შემდეგ შიში სრულიად გაუქრა, - ძმისგან აღარ მოელოდა რაიმე ბოროტს და ვნებას.

ამის შემდეგ იაკობს დაერქვა ისრაელი, და მის შთამომავლობას ეწოდა ისრაელი ხალხი. სახსოვრად ამ ბრძოლისა იაკობს ერთი ძარღვი ფეხისა დაუშავდა და მთელი სიცოცხლე ცოტათი კოჭლობდა.

მეორე დღეს იაკობმა დაინახა თავისი ძმა ესავი, რომელიც მის შესახვედრად მოდიოდა მრავალი კაცით. იაკობი რომ მიუახლოვდა, ნიშნად პატივისცემისა შვიდჯერ დაუკრა ძმას თავი მიწაზე. ესავი გაექანა იაკობისკენ, ძმური სიყვარულით მოეხვია ყელზე, კოცნიდა და თან ტიროდა მეტის სიხარულით, რომ მშვიდობით ელირსა ძმის ნახვა. ტიროდა აგრეთვე თვით იაკობიც.

მერე ესავი ალერსიანად მიესალმა იაკობის ცოლ-შვილს და დიდით პატარამდის სიყვარულით მოიკითხა. უწინდელი უკმაყოფილების ხსენებაც არსად ყოფილა. საჩუქრების მიღებაზე, რომელიც იაკობმა წინდაწინ გაუგზავნა, ესავი უარზე იდგა და ეუბნებოდა. „ძმაო, ჩემი დოვლათიც ბევრი მაქვს ღმრთის წყალობით. დაიბრუნე ისევ უკან შენი გამოგზავნილი.“

მაგრამ იაკობმა გულით სთხოვა ესავს, მიეღო საჩუქრები და ამით ეჩვენებინა მისთვის სიყვარული და ძმური მეგობრობა.

მაშინ ესავი დაჰყვა მის ნებას.

როცა წასვლის დრო მოვიდა, ესავი ძმურად გამოესალმა იაკობს და შინისაკენ წავიდა. იგი კარგა ხნის წინ გაჰყროდა მამას და ცალკე ცხოვრობდა, იაკობი კი მოხუცებული მამისაკენ გაეშურა.

გზაზე მან გადაუხვია იმ ადგილას, სადაც კიბე ნახა სიზმარში და შესწირა უფალს სამადლობელი მსხვერპლი მშვიდობით დაბრუნებისათვის. აქ ერთხელ კიდევ გამოეცხადა მას უფალი და გაუმეორა თავისი კურთხევა და აღთქმა.

მოხუცებული ისაკი სიხარულით ცას ეწია, როცა ოცი წლის წასული იაკობი მან მშვიდობით დაბრუნებული ნახა, გამდიდრებული და ცოლ-შვილით გაბედნიერებული.

იაკობი დასახლდა მამასთან და მას სიკვდილამდე არ მოშორებია. როცა ისაკი გარდაიცვალა, იაკობმა დამარხა იგი იმ აკლდამაში, სადაც დაკრძალულნი იყვნენ აბრაამი და სარრა.

/დაბ. 32,1-31; 33,1-16; 35,5-29/

დავალება:

1. უპასუხეთ კითხვას: რა ეწოდა იაკობს?
2. დაწერეთ კითხვები.
3. როგორ გესმით გამოთქმა: „ბოროტი გული ექნება.“

<u>შეგონება:</u> „ვინც ძუნწად თესავს, ძუნწად მოიმკის, ხოლო ვინც უხვად თესავს, უხვად მოიმკის.“

წმინდა პავლე მოციქული

იაკობის შვილები

იაკობს ჰყავდა თორმეტი შვილი. სხვებზე მომეტებულად მას უყვარდა უმცროსი შვილი. სახელად იოსები. ეს იმიტომ, რომ იოსები იყო მეტად კეთილი ბავშვი, მართლის მთქმელი, გულწრფელი და მამას არაფერს უმალავდა. მამაც მას უფრო ალერსიანად ექცეოდა და განსაკუთრებული სიყვარულის ნიშნად ჭრელი პერანგი შეუკერა.

ძმებმა გულში ძვირი ჩაიდეს იოსებზე, შურის თვალით უცქეროდნენ მას და სრულიად შეიძულეს. მათი სიძულვილი იქამდე მივიდა, რომ უმცროს ძმასთან ლაპარაკსაც კი ერიდებოდნენ. მაგრამ თვითონ იოსებს კი არ სძულდა ძმები, უყვარდა ისინი და გულწრფელად ექცეოდა. რადგანაც გულში მას ეშმაკობა სრულიად არ ედო, ამიტომ ძმებისთვის არ დაუმალავს ორი სიზმარი, რომელნიც მოასწავებდნენ, რომ იგი თავის ძმებზე მომეტებული შეიქნებოდა.

აი, ეს რა სიზმრები იყო: „მესიზმრა - ეუბნებოდა იოსები ძმებს, - ვითომც ჩვენ ყველანი ყანაში ვიყავით და ვკრავდით ძნებს; უცებ ჩემი ძნა შუაში დადგა, თქვენი ძნები კი გარს შემოერტყნენ და თავის დაკვრა დაუწყეს.“

„ჩვენს მეფედ გახდომა ხომ არ მოგნდომებია?“ - უთხრეს გაჯავრებით ძმებმა, როცა ეს სიზმარი მისგან მოისმინეს.

შემდგომ იოსები მეორე სიზმარს მოჰყვა: „მესიზმრა, ვითომც შუაში ვიდექი, გარს მეხვევნენ მზე, მთვარე და თერთმეტი ვარსკვლავი და თავს მიკრავდნენ.“

როცა იოსებმა ეს სიზმარი თქვა, მამაც კი გაუჯავრდა: „ნუთუ მეც, დედაშენმაც და შენმა ძმებმაც თაყვანი უნდა გცეთ?“ თუმცა იაკობი გაუჯავრდა იოსებს, მაგრამ ეს სიზმრები კი ღრმად ჩაიმარხა გულში, რადგანაც იფიქრა, უთუოდ მომავალს მოასწავებენო.

რუბენი.

მოხუცებული მამა რომ მოეტყუებინათ, ძმებმა დაკლეს თიკანი, მის სისხლში გასვარეს იოსების ჭრელი პერანგი, მიუტანეს მამას და ჰკითხეს: „ეს შენი შვილის ტანისამოსი ხომ არ არის? მინდორში ვიპოვეთო“.

იაკობმა იცნო საყვარელი შვილის ტანისამოსი, იფიქრა, უთუოდ შეუბრალებელმა ნადირმა გამიგლიჯა გზაზეო, და მორთო საბრალომ მწარე ტირილი და. გოდება. შვილები ცდილობდნენ, ნუგეში ეცათ, მაგრამ იაკობი საშინლად წუხდა, მათ ნუგეშს არც კი უსმენდა და ამბობდა: „სიმწუხარითა ჩემითა ჩავალ საფლავშიო“.

/დაბ. 37,14-35/

დავალება:

1. ამოვიწეროთ პირთა და გეოგრაფიულ ადგილთა სახელები.
2. რამდენად გაყიდეს იოსები?
3. როგორ გესმით: „**გულს ელდა ეცა.**“
4. დავწეროთ კითხვები.

ლექსიკონი:

წაასხეს – წაიყვანეს.
ხარო – ღრმა ორმო.
ბჭობა – მსჯელობა, აზრის გამოთქმა, თათბირი.
გოდება – ხმამაღლა მოთქმა, ტირილი.
ნუგეში – ისეთი, რაც ადამიანს დაამშვიდებს, რისამე რწმენას, იმედს ჩაუნერგავს.

ძმებმა ამის შემდეგ უფრო მომეტებულად შეიძულეს იოსები, მისი დაღუპვა მოინდომეს და კიდეც შეასრულეს თავიანთი ბოროტი განზრახვა.

დავალება:

1. ამოვიწეროთ პირთა სახელები.
2. ამოვიწეროთ: როგორი ბავშვი იყო იოსები?
3. როგორ გესმით: „გულში ძვირი ჩაიდეს."
4. დავწეროთ კითხვები.

ლექსიკონი:

ძნა - მომკილი თავთავის კონა, ასეთი კონები ზვინად დადგმული.

<u>შეგონება:</u> „საყვარელნო, გიყვარდეთ ერთმანეთი; ვინაიდან სიყვარული ღმრთისაგან არის, და ყველა, ვისაც უყვარს, ღმრთისაგან შობილია, და იცნობს ღმერთს. ვისაც არ უყვარს, მან ვერ შეიცნო ღმერთი, იმიტომ, რომ ღმერთი სიყვარულია".

წმიდა იოანე მოციქული

იოსების გაყიდვა

ერთხელ იაკობმა იოსები მინდორში გაგზავნა შვილებთან მათი ამბის გასაგებად. ძმებს საქონელი შორს წაესხათ და რამდენიმე დღე მამამ მათი არა იცოდა რა.

იოსები წავიდა, ბევრი ეძება და ბოლოს მიაგნო ძმებს. ძმებმა შორიდან რომ დაინახეს იოსები, ერთმანეთს უთხრეს: „აგერ, ჩვენი სიზმარმნახველი მოდის. მოდით, მოვკლათ და მამას ვუთხრათ, მხეცმა გაგლიჯა და შეჭამაო. მაშინ ვნახოთ, როგორ ასრულდება მისი სიზმრები“.

მხოლოდ ყველაზე უფროსი ძმა, რუბენი, არ დათანხმდა და სხვა ურჩია ძმებს: „ისა სჯობია, რომ ძმის სისხლში ხელი არ გავისვაროთ და ღრმა ხაროში ჩავაგდოთო.“ მას განზრახვა ჰქონდა, მერე ჩუმად ამოეყვანა იოსები ორმოდან და მამასთან გაეპარებინა.

გაუგონეს უფროს ძმას, გახადეს იოსებს ჭრელი პერანგი და ჩააგდეს ღრმა ხაროში. შემდეგ დასხდნენ და სადილს დაუწყეს ჭამა. ამ დროს მათ დაინახეს აქეთ მომავალი უცხო ქვეყნის ვაჭრები, რომლებიც დატვირთული აქლემებით ეგვიპტეში მიდიოდნენ, და ერთმანეთში ბჭობა დაიწყეს: „რა სარფას მოვიგებთ ძმის მოკვლით? უფრო სჯობია, ამ ვაჭრებს მივყიდოთ, ვიდრე მისი მკვლელები შევიქნეთ, - რაც უნდა იყოს, მაინც ჩვენი ძმაა“. თქვეს და აასრულეს კიდეც. ამოიყვანეს იოსები ხაროდან და მიჰყიდეს უცხო ვაჭრებს ოც ვერცხლად.

ამ დროს უფროსი ძმა სხვაგან იყო წასული და არ იცოდა, რა უყვეს ძმებმა იოსებს. როდესაც მობრუნდა უკან და ხარო ცარიელი დახვდა, გულს ელდა ეცა და დიდი მწუხარებით უთხრა ძმებს: „ბავშვი აქ აღარ არის! ახლა რაღა მეშველება?“ როგორც უფროს შვილს, იაკობი მას მოჰკითხავდა უმცროსი შვილის დაკარგვას და ამიტომ წუხდა

<u>შეგონება:</u> „ვერცხლისმოყვარე კაცი არის თვით უსამართლო, მას არაფერი არ მოუტანია ამ ქვეყნად და იმდენს ზრუნავს ქვეყნიურ საუნჯეზე, რომ თითქოს ყველაფრის წაღება შეეძლოს ამ ქვეყნიდან."

წმინდა ბასილი დიდი

იოსების მიყვანა ეგვიპტეში

ვაჭრებმა მიიყვანეს იოსები ეგვიპტეში და მონად მიჰყიდეს ერთ დიდ კაცს, რომელსაც სახელად ერქვა პეტეფრე. იოსები ამ დროს იყო ჩვიდმეტი წლისა. ღმერთმა მას არ მოაკლო აქ თავისი მოწყალება. რა საქმესაც კი ჩააბარებდნენ, იოსები აკეთებდა სწრაფად, მოხერხებითა და სინდისიანად. ყოველ საქმეში მას ღმერთი ხელს უმართავდა და სხვებისგან ისე გამოირჩეოდა, როგორც დღე გამოირჩევა ღამისაგან.

პეტეფრე რომ დარწმუნდა იოსების მხნეობასა და პატიოსნებაში, მოუწოდა მას თავისთან და ჩააბარა მოურაობა მთელი სახლისა და ქონებისა. ამის შემდეგ ღმერთმა კეთილად წარმართა ყოველი საქმე პეტეფრესი.

მაგრამ, საუბედუროდ, პეტეფრეს ცოლად ჰყავდა მეტად ცუდი, ბოროტი და ღვარძლიანი დედაკაცი. ყველა ცუდ ადამიანს სძულს სინდისიანი ადამიანი იმიტომ, რომ როცა თავის თავს მას ადარებს, თავის საძაგლობას უფრო ცხადად გრძნობს. პეტეფრეს ცოლმაც შეიძულა უმანკო იოსები და მოინდომა მისი გაძევება სახლიდან. დასწამა რაღაც ცილი იოსებს ქმრის წინაშე და ჩააგდებინა იგი საპყრობილეში.

მაგრამ მართალმა და უმანკო იოსებმა მშვენიერი ყოფაქ-ცევით საპყრობილეშიაც მალე მოიპოვა ნდობა და პატივისცემა უფროსისა, რომელმაც იგი დამწყვდეულების ზედამხედველად დააყენა.

ამ დამწყვდეულებში ერია ორი კაცი, რომლებიც ადრე იყვნენ დაახლოებული კარისკაცნი ფარაონისა,ეგვიპტის მეფისა. ერთი იყო მეპურე, მეორე – მეღვინე. ერთხელ იოსებმა ნახა, რომ ორივე ძალიან დაღონებული იყო, და ჰკითხა: „რადა ხართ აგრე მწარედ დაფიქრებულნი?“ მათ მიუგეს: „ჩვენ, ორივემ სიზმრები ვნახეთ და არ ვიცით, რას მოასწავებენ“.

ხოლო იოსებს ღმრთისგან ჰქონდა მიცემული იმისთანა ნიჭი, რომ შეეძლო, გაეგო, ღმრთისგან იყო სიზმარი, თუ არა. და თუ ღმრთისგან იყო, რას მოასწავებდა. იოსებმა სთხოვა მათ, ეთქვათ თავიანთი სიზმრები.

მეღვინემ უთხრა: „მე ვნახე სიზმრად, ვითომ წინ ვიდექი, ხელში მეჭირა სამი მტევანი ყურძნისა, ვწურავდი მათგან წვენს ჯამში და ვასმევდი ხელმწიფეს“.

მეპურემ უთხრა: „მე მეჩვენა, ვითომც თავზე სამი კალათა მედგა, ერთმანეთზე, მაღლა კალათაში ეწყო სხვადასხვა საჭმელი, ფრინველები ასხდებოდნენ და კენკავდნენ.“

როცა იოსებმა მოისმინა ეს სიზმრები, მეღვინეს უთხრა: „შენი სიზმარი კარგ რამეს მოასწავებს – შენ მეფე ისევ დაგაბრუნებს სასახლეში, დაგიახლოვებს და უწინდელსავე თანამდებობას ჩაგაბარებს.“ მეპურეს კი უთხრა: „სამწუხაროდ, შენი სიზმარი დიდ უბედურებას ნიშნავს – სამი დღის შემდეგ შენ მეფის ბრძანებით გაგიყვანენ აქედან, ჩამოგახრჩობენ და ფრინველნი დაუწყებენ შენს სხეულს გლეჯას“.

როცა სიზმრების ახსნა დაამთავრა, იოსები მიუბრუნდა მეღვინეს და სთხოვა: „იმდენი სიკეთე მიყავ, რომ მომიგონე როცა მეფე ისევ დაგიახლოვებს, შეაბრალე მას ჩემი თავი და დამიხსენი აქედან. მე მოპარული ვარ ჩემი ქვეყნიდან და აქაც სრულიად უდანაშაულოდ ვარ დამწყვდეული“.

რაც იოსებმა იწინასწარმეტყველა, ყველაფერი ისე ასრულდა. მეპურე სიკვდილით დასაჯეს, მეღვინეს კი დანაშაული აპატიეს და უწინდელი ადგილი ისევ დაუბრუნეს.

როცა მეღვინე ბედნიერებაში ჩავარდა, იოსები სრულიად დაივიწყა და აღარ ახსოვდა მისი თხოვნა, მაგრამ უფალი არ დაივიწყებს მართალთ არასდროს.

/დაბ. 37,36-39; 37,1-2; 39,4-23; 40,1-23/

დავალება:

1. ამოვიწეროთ პირთა და გეოგრაფიულ ადგილთა სახელები.
2. დავწეროთ კითხვები.
3. როგორ გესმით:
   ა. „ბედნიერებაში ჩავარდა.“
   ბ. „უფალი არ დატოვებს მართალთ.“

ლექსიკონი:

მოურაობა – მოურავად ყოფნა, მოურავის თანამდებობა.
უმანკო – უბიწო, უზადო, წმინდა (ითქმის ადამიანზე).
ცილი – სიცრუე.
მოასწავებს – რაიმეს მიანიშნებს, რისამე წინასწარი ნიშანია.
მოსწავება - მინიშნება
თანამდებობა – სამსახურებრივი მოვალეობა.

<u>შეგონება:</u> „ამქვეყნად ადამიანის ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ თუ მოთმინება არა აქვს, ვერ გაძლებს. ადამიანს მოთმინება ყოველთვის და ყველა საქმეში სჭირდება. მოთმინება უნდა გქონდეს მუშაობისას, სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას, განსაკუთრებით ოჯახში. მაგრამ ყველაზე დიდი მოთმინება ქრისტიანს სჯულის აღსრულებისას სჭირდება.“

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი

იოსები სიზმრებს უხსნის ფარაონს

ორი წელიწადი კიდევ გავიდა და იოსები ჯერ ისევ საპყრობილეში ეწვალებოდა. ამ დროს ფარაონმა ნახა ორი სიზმარი, რომლებიც უბრალო სიზმრებისგან ცხადად გაირჩეოდნენ და თითქო რაღაც დიდ უბედურებას მოსწავებდნენ. ამიტომ ფარაონმა დიდი ყურადღება მიაქცია ამ სიზმრებს და შეყარა მთელი ეგვიპტის მეცნიერნი მათ ასახსნელად. მაგრამ ვერავინ გაიგო, თუ რას მოასწავებდნენ ისინი. მაშინ მეღვინეს მოაგონდა იოსები, წარდგა ფარაონის წინაშე და მოახსენა: „საპყრობილეში გახლავთ ერთი ყმაწვილი კაცი, რომელმაც ორი წლის წინ მე და მეპურეს საკვირველად სწორად აგვიხსნა სიზმრები. რაც გვითხრა, ყველაფერი ისე მოხდა. თქვენი სიზმრების ახსნა იმის მეტს არავის შეუძლია“. მაშინვე გაგზავნეს კაცები საპყრობილეში და წარადგინეს იოსები ფარაონის წინაშე.

ფარაონმა უთხრა იოსებს: „მე ვნახე სიზმრები და მათი ახსნა ვერავინ შეძლო. მე მითხრეს, რომ შენ გაიგონებ თუ არა სიზმარს, მაშინვე ახსნი, თუ რას მოასწავებს.“

იოსებმა მიუგო: „უღმრთოდ ფარაონის პასუხის მიგება შეუძლებელია. მაგრამ არის ღმერთი ცაში, რომელიც თავის ერთგულთ უცხადებს საიდუმლოდ!“

მაშინ ფარაონმა მოუთხრო იოსებს თავისი სიზმრები: „მე ვნახე, ვითომც მდინარის პირას ვიდექი, უცებ წყლიდან ნაპირს გამოვიდა შვიდი მშვენიერი და მსუქანი ძროხა და წავიდნენ ბალახის საძოვრად. მათ უკან მოჰყვა შვიდი გამხდარი და ისეთი მჭლე ძროხა რომ მთელ ჩემს სახელმწიფოში მათი მსგავსი არ მინახავს. და ამ გამხდარმა ძროხებმა მთლად დაჭამეს მსუქანი ძროხები და ამის შემდეგ მაინც ისეთი გამხდრები დარჩნენ, როგორებიც ადრე იყვნენ. აქ მე

გამომელვიძა. მერმე, ისევ რომ დავიძინე, ახალი სიზმარი ვნახე: მე მესიზმრა, ვითომ ერთი პურის ღეროზედ ამოვიდა შვიდი სრული (სავსე) თავთავი. მერმე ამათ მოჰყვა შვიდი ფშუტა (ცარიელი) თავთავი. და ამ შვიდმა ფშუტა თავთავმა ჩაყლაპა შვიდი სრული თავთავი და არაფერი კი მოიმატა.“

იოსებმა მოახსენა ფარაონს: „ორივე შენი სიზმარი ერთსა და იმავე რამეს მოასწავებს. ამ სიზმრით უფალი ატყობინებს ფარაონს მომავალს: შვიდი მსუქანი ძროხა და შვიდი სრული თავთავი ნიშნავს შვიდ მოსავლიან წელიწადს. ხოლო შვიდი გამხდარი ძროხა და შვიდი ფშუტა თავთავი მოასწავებს შვიდ შიმშილობის წელიწადს. აი, დადგება ახლა შვიდი მოსავლიანი წელიწადი და გაივსება ეგვიპტე დოვლათით, მაგრამ ამ დალოცვილ დროს მოჰყვება შვიდი საშინლად მშიერი წელიწადი. ეს რომ უთუოდ აცხადდება და არ დაიგვიანებს, იქიდან ჩანს, რომ ერთი და იგივე ფარაონს ორჯერ უნახავს. ამიტომ, — გააგრძელა იოსებმა, — ფარაონმა უნდა ინებოს ბრძენი და საზრიანი კაცის პოვნა და დაადგინოს იგი მთელი ეგვიპტის მზრუნველად. ამ მზრუნველმა შვიდი წლის განმავლობაში უნდა აკრიფოს მთელ სახელმწიფოში მეხუთდი ყოველგვარი მოსავლისა და შეინახოს დიდ ბეღლებში, რომ შემდგომ მშიერ წლებში მთელი ქვეყანა შიმშილით არ დაიღუპოს.“

ფარაონს მეტად მოეწონა სიზმრების ახსნა და ჭკუაში მოუვიდა იოსების წინადადება. ამიტომ თქვა: „სად ვპოვებთ იმისთანა გონიერ და საზრიან კაცს, როგორიც შენ ყოფილხარ? შენით ლაპარაკობს თვით უფალი, და შენვე დაგადგენ მთელი ეგვიპტის „უფროსად. ყველა შენს სიტყვას დაემორჩილება და უშენოდ არაფერი გაკეთდება ჩემს საბრძანებელში. მარტო მე ვიქნები შენი უფროსი.

ეს რომ თქვა ფარაონმა, გამოიძრო ხელიდან ბეჭედი და

გაუკეთა იოსებს, აგრეთვე კისერზედ ჩამოჰკიდა ოქროს ძეწკვი. უბრძანა, ჩაეცმიათ მისთვის ძვირფასი ტანისამოსი, ჩაესვათ მდიდრულ ეტლში, ეტარებინათ ქუჩებში და თავი დაეკრათ მისთვის.

ამის შემდეგ იოსები გახდა მეორე კაცი ეგვიპტეში და მართავდა მთელ სახელმწიფოს. ამ დროს იგი იყო ოცდაათი წლის.

როგორც იოსებმა თქვა, ყველაფერი სწორედ ისე ასრულდა. მომდევნო წლიდან მოვიდა მშვენიერი მოსავალი მთელ ეგვიპტეში და მთელი შვიდი წლის განმავლობაში ასე გაგრძელდა. ამ დროს იოსებმა დიდძალი პური და ყველანაირი ჭირნახული შეკრიბა ბეღლებში. შემდეგ დადგა მტკნარად მშიერი, სრულიად უმოსავლო დრო და მთელ შვიდ წელიწადს გასტანა.

გარშემო ქვეყნებში შიმშილობის პირველსავე წელს შემოაკლდა ხალხს პური და,რომ შეიტყვეს,ეგვიპტეში ბევრი ჭირნახული იყო შეგროვებული, იწყეს აქეთკენ დენა პურის სასყიდლად. იოსები უარს არავის ეუბნებოდა, რადგანაც ჭირნახული იმდენი ჰქონდა მოგროვებული, რომ ეყოფოდა ეგვიპტესაც და სხვა ქვეყნებსაც. ასე გადაარჩინა იოსებმა ეგვიპტე შიმშილით დაღუპვას და,მასთან გაამდიდრა ფარაონის ხაზინა დიდძალი ფულით.

/დაბ. 41,1-57/

დავალება:

1. დავწეროთ კითხვები.
2. როგორ გესმით: „დადგა მტკნარად მშიერი წელი.“

ლექსიკონი:

ეწვალებოდა – იტანჯებოდა, ეწამებოდა, გაჭირვებით ცდილობდა რამეს.
მეცნიერი – მცოდნე კაცი, მეცნიერების ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი.
მეცნიერება - ცოდნის შეძენა.
მჭლე – სიმსუქნეს მოკლებული, გამხდარი.
ჭირნახული – ვინც ჭირი, გაჭირვება ნახა.

<u>შეგონება:</u> „ვისაც უყვარს სწავლა, მასში განდიდდება სიბრძნე; ხოლო ვისაც უყვარს უქმად ყოფნა, მისთვის შეუძლებელია წარმატება.“

წმინდა ეფრემ ასური

იოსების ძმების მისვლა ეგვიპტეში

შიმშილობა მარტო ეგვიპტეში როდი დამდგარა, იგი მოედო ქანაანის ქვეყანასაც, სადაც ცხოვრობდა იაკობი თავისი შვილებით. იაკობმა რომ გაიგო, ეგვიპტეში პურს ყიდიანო, გაგზავნა შვილები პურის საყიდლად. ათი უფროსი ძმა გაუდგა გზას, მეთერთმეტე კი, სულ უმცროსი, რომელსაც სახელად ბენიამენი ერქვა, შინ, მამასთან, დარჩა.

როცა ეგვიპტეში მივიდნენ, ათივე ძმა წარსდგა იოსების, როგორც მთელი იმ ქვეყნის უფროსის წინაშე, და თავი მდაბლად დაუკრეს. ვერც ერთმა ძმამ იოსები ვერ იცნო, კარგა ხანი გასულიყო, რაც მათ იგი გაყიდეს და მას უკან იოსები პატარა ყმაწვილიდან სრულ, წარმოსადეგ კაცად ქცეულიყო. ამას გარდა, ძმები სრულიად ვერ მოიფიქრებდნენ, თუ მათი ძმა, მონად გაყიდული, ამისთანა დიდებას მიაღწევდა.

იოსებმა კი მაშინვე იცნო ისინი და მოაგონდა ის სიზმრები, რომლებიც მან პატრიარბაში ნახა, მაგრამ თავი არ გაუმჟღავნებია. მას სურდა, ჯერ გაეგო, თუ გრძნობდნენ და ნანობდნენ ისინი თავიანთ ცოდვას, ძმა რომ გაყიდეს.

ამ განზრახვით იოსები მოექცა მათ შემდეგი სახით: ძმები მან მიიღო, როგორც უცხოქვეყნელები, მისთვის სრულიად უცნობნი, და ლაპარაკიც ეგვიპტურ ენაზე დაუწყო.

„სადაურები ხართ? “– ჰკითხა იოსებმა მთარგმნელის პირით.

„ქანაანის ქვეყნიდან გახლავართ, – მიუგეს მათ, – და პურის სასყიდლად მოვსულვართ.“

„მზვერავნი ხართ თქვენ და არა ვაჭარნი, - მრისხანედ უთხრა მათ იოსებმა, - და მოსულხართ ჩვენი ქვეყნის გზების გასაგებად.

ძმებს შიშის თავზარი დაეცათ: „არა, ბატონო, - მოახსენეს

მათ - ჩვენ ალალმართალი კაცები გახლავართ. ჩვენს ვინაობას ახლავე შეგატყობინებთ: ჩვენ ვართ თორმეტი ძმანი, ერთი დედ-მამის შვილნი. სულ უმცროსი შინ დარჩა, მამასთან, და ერთი კი დიდი ხანია, აღარ არის."

იოსებმა ამ გამოკითხვიდან შეიტყო, რომ მამა და უმცროსი ძმა, რომელიც ყველაზე მომეტებულად უყვარდა, ცოცხლები იყვნენ, მაგრამ ისე აჩვენა თავი, ვითომც მათი სიტყვები არა სჯეროდა და უთხრა:

„მაშ, კარგი, მალე შევიტყობთ, მართალს ამბობთ თუ ტყუილს, ერთი თქვენგანი გაგზავნეთ თქვენს ქვეყანაში და მან მოიყვანოს თქვენი უმცროსი ძმა. სხვანი კი აქ უნდა დარჩეთ ტყვეებად, სანამ არ დაამტკიცებთ, რომ ტყუილს არ მეუბნებით."

ამის შემდეგ გაგზავნა ისინი საპყრობილეში და სამი დღე დამწყვდეული ჰყავდა. მესამე დღეს უბრძანა, რომ მეორედ მიეყვანათ მასთან ძმები და უთხრა მათ:

„მე მეშინია ღმრთისა და არავისი წყენა რა მინდა. დაე, მარტო ერთი თქვენთაგანი დარჩეს საპყრობილეში და სხვანი კი წადით და მიიტანეთ თქვენს ოჯახში პური, მაგრამ უმცროსი ძმა კი უთუოდ უნდა მომგვაროთ. თუ ამას არ იქმთ, სიკვდილი მოგელით".

მაშინ ძმებმა ერთმანეთში დაიწყეს ლაპარაკი ებრაულ ენაზე: „ვცოდეთ ჩვენ, რომ დავღუპეთ უმცროსი ძმა. არ შევისმინეთ მისი ხვეწნა და ტირილი გაყიდვის დროს და, აგერ, მისი ცოდვა გვეწია და გვსჯის".

რას მოიფიქრებდნენ, თუ მათი ლაპარაკი კარგად ესმოდა იოსებს, რომელმაც ამ დროს გული ვეღარ შეიმაგრა, გავიდა მეორე ოთახში და ატირდა.

გული რომ მოიბრუნა, იოსები დაბრუნდა უკანვე და უბრძანა, ერთი მათგანი, სახელად სვიმონი, შეეკრათ მის თვალწინ და უკანვე საპყრობილეში წაეყვანათ, სხვებისთვის კი მიაცემინა

პური და გაისტუმრა.

როცა ძმები დაბრუნდნენ შინ და უამბეს მამას თავიანთი თავგადასავალი, იაკობი ძალიან შეწუხდა და თქვა: „თქვენ გინდათ, რომ სრულიად უშვილოდ დამაგდოთ. იოსები დამელუპა, სვიმონიც არსად ჩანს და ბენიამინიც გინდათ წამართვათ. გზაზე მას ხიფათი რამე შეემთხვევა და მოხუცებულს სიმწრით ჩამიყვანთ საფლავში“.

/დაბ. 42, 1-38/

დავალება:

1. დავწეროთ კითხვები.
2. როგორ გესმით გამოთქმები:
   ა) „შიშის თავზარი დაეცათ.“
   ბ) „მისი ცოდვა გვეწვია.“

ლექსიკონი:

მზვერავი – მოთვალთვალე, ჯაშუში, მსტოვარი.

<u>შეგონება</u>: „ყოველი ბოროტების ფესვი ვერცხლის-მოყვარეობაა, რომლითაც გულშეძრული ზოგ-ზოგი შეცდა, რწმენას განუდგა და თავს დაიტეხა ურიცხვი ჭირი.“
წმინდა პავლე მოციქული

იოსების ძმების მეორედ მისვლა ეგვიპტეში

ნაყიდი პური დაიხარჯა და შიმშილობა კი ისევ გრძელდებოდა. შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ, იაკობის შვილები ხელმეორედ უნდა წასულიყვნენ ეგვიპტეში პურის საყიდლად. მოხუცებული იაკობისთვის მეტად მძიმე იყო ბენიამინის მოშორება, მაგრამ უიმისოდ მის შვილებს არ შეეძლოთ ეგვიპტის უფროსს სჩვენებოდნენ. ბოლოს, როგორც იყო, შვილებმა დაიყოლიეს მამა ბენიამინის გატანებაზე.

იაკობმა გაამზადა შვილები სამგზავროდ, დაულოცა მათ გზა, ტირილით გამოესალმა და გაისტუმრა.

იოსებმა ძმები მეორედ ძალიან ალერსიანად მიიღო. როცა მათი მისვლა მოახსენეს, მსახურთ უბრძანა, მის სახლში დაებინავებინათ ისინი, მიეყვანათ მათთან ის ძმა, რომელიც საპყრობილეში იყო და კარგად გამასპინძლებოდნენ. შემდგომ იოსებიც გამოვიდა მათთან და მეგობრულად დაუწყო გამოკითხვა: „მამათქვენი როგორ არის? მითხარით მოხუცებულიაო. ჯერ ხომ კიდევ ცოცხალია? ეს არის თქვენი პატარა ძმა? ნუ მოგაკლოს შვილო, ღმერთმა თავისი მოწყალება.“ - თქვა თუ არა ეს სიტყვები, საჩქაროდ გაბრუნდა და გავიდა მეორე ოთახში: მას ძალიან უყვარდა ბენიამენი, სიხარულისაგან გული ამოუჯდა, თავი ვეღარ შეიმაგრა და დაიწყო ტირილი. მერე, პირი რომ დაიბანა და გული გაიმაგრა, ისევ შევიდა თავის ძმებთან,მიიპატიჟა სუფრაზე და უბრძანა, საჭმელი მოერთმიათ. თვითონაც მათთან დაჯდა და სთავაზობდა საჭმელს, მეტადრე ბენიამენს.

ამასთან, ერთმა გარემოებამ ძალიან გააკვირვა იოსების ძმები: მან ისინი დასხა წლოვანების რიგზე, თითქოს იცოდა, რომელი უფროსი იყო და რომელი – უმცროსი.

სადილზე იოსების ძმები ძალიან გამხიარულდნენ, რადგანაც

სრულიად არ მოელოდნენ მეგობრულ მოქცევას და ალერსს. სადილის შემდეგ იოსებმა უბრძანა, მიეცათ მათთვის პური და ყველანი შინ გაისტუმრა.

/დაბ.43,1-34/

დავალება:

1. დავწეროთ კითხვები.
2. როგორ გესმით გამოთქმა:
   „სიხარულისგან გული ამოუჯდა.“

ლექსიკონი:

რვალი - ბრინჯაო.
წინწილი - საკრავი, ლითონის თეფში.

<u>შეგონება:</u> „კაცთა და ანგელოზთა ენებზეც რომ ვმეტყველებდე, სიყვარული თუ არ მაქვს, მხოლოდ რვალი ვარ მოჟღრიალე, მხოლოდ წკრიალა წინწილი.”
წმინდა პავლე მოციქული

იოსები უცხადებს ძმებს თავის ვინაობას

იოსები კიდევ არ გაუტყდა ძმებს იმიტომ, რომ ჯერ უნდოდა გაგეო, ჰქონდათ თუ არა მათ შური უმცროსი ძმისა, რომელიც იოსების შემდეგ მამას მომეტებულად უყვარდა. მზად იყვნენ თუ არა, გამოსარჩლებოდნენ მას და ებრალებოდათ თუ არა მოხუცებული მამა. ამ განზრახვით იოსებმა უბრძანა, ბანიამენის ტომარაში ჩუმად ჩაეტანებინათ თავისი ვერცხლის აზარფეშა.

როცა ძმები, რომელთაც ეს ამბავი ფიქრადაც არ მოუვიდოდათ, წავიდნენ თავიანთ გზაზე, იოსებმა გამოუყენა მათ უკან თავისი ეზოსმოძღვარი.

„სიკეთისათვის ბოროტი რად გვიყავით?“— დაუყვირა მათ სახლის გამგებელმა, როდესაც დაეწია და გააჩერა გზაზე.

ძმები სახტად დარჩნენ, ერთმანეთს დაუწყეს ცქერა და არ იცოდნენ, თუ რაზე იყო ლაპარაკი.

„რად მოიპარეთ აზარფეშა ჩემი ბატონისა,ის აზარფეშა, რომლითაც იგი ღვინოსა სვამს?“

„რას ბრძანებ, ბატონო?— მიუგეს შეძრწუნებულებმა და შეშინებულმა ძმებმა,— ჩვენ იმისთანა ხალხი როდი ვართ, რომ მაგისთანა საქმე ჩავიდინოთ? თუ ჩვენგანს ვისმეს ის აზარფეშა უპოვეთ, სიკვდილით დაისაჯოს და ჩვენც, ყველანი, გავხდეთ მონანი შენი ბატონისა“

„კარგი, აგრე იყოს. ვისაც ვუპოვნით აზარფეშას, ის ჩემი მონა უნდა გახდეს.“

ეს რომ თქვა ეზოსმოძღვარმა, დაუწყო გახსნა ყველა ტომარას და გაუჩხრიკა ყველას, უფროსიდან დაწყებული უმცროსამდის. აზარფეშა აღმოჩნდა ბენიამენის ტომარაში.

საშინელი თავზარი დაეცათ ძმებს: სიმწარით ტანისამოსი გაიგლიჯეს და სახედრებს უკანვე აქნევინეს პირი. როცა

იოსების წინაშე წარდგნენ, მან სასტიკი საყვედურით მიიღო ისინი.

მაშინ იუდა წინ წადგა და მოახსენა: „რაღა გვეთქმის, ბატონო, და რითიღა გავიმართლებთ თავს? ღმერთი უწინდელი შეცდომებისათვის გვსჯის ჩვენ. აი, ახლა ჩვენ, სულ ყველანი, შენს მონებად ვრჩებით."

„არა, - მიუგო იოსებმა, — მე მაგას არ ვიქმ. ჩემს მონად უნდა დარჩეს მარტო ის,ვის ტომარაშიაც აზარფეშა იპოვეს, თქვენ კი ყველას, შეგიძლიათ, მშვიდობით დაბრუნდეთ მამასთან."

მაშინ იუდამ ხვეწნა და ვედრება დაუწყო, რომ არ ექნა ეს იოსებს მათთვის: „მოხუცებულ მამაჩვენს ერთი დღის სიცოცხლეც არ შეუძლია უბენიამინოდ. თუ იგი მას დაკარგავს, უსათუოდ ჯავრით მოკვდება. როგორღა უნდა ვეჩვენო მოხუცებულ მამას, რა უნდა ვუთხრა, როგორ ვუცქირო მის საცოდაობას? არა, დამტოვე ამ ყმაწვილის მაგივრად შენს მონად და მას კი ნება მიეცი, წავიდეს შინ, თავის ძმებთან ერთად".

მაშინ კი იოსებმა ველარ შეიმაგრა თავი და ველარ დამალა თავისი ვინაობა. დაითხოვა გარეთ ყველა მსახური, და როცა ძმებთან მარტო დარჩა, მდულარე ცრემლი წასკდა და დაიძახა: „მე იოსები ვარ! ცოცხალია კიდევ მამაჩემი?"

ძმებს გონება სრულიად დაეკარგათ საშინელი განცვიფრებისაგან. მათ ერთი სიტყვაც ვერ მიუგეს, ისე შეეშინდათ. სირცხვილმა და შიშმა მოიცვა ისინი და იდგნენ ძმის წინ თავზარდაცემულნი.

მაშინ იოსებმა თქვა: „ახლო მოდით ჩემთან".

მივიდნენ, მაგრამ ხმას კიდევ ვერ იღებდნენ.

„მე იოსები ვარ, - გაუმეორა, - თქვენი ძმა, სწორედ ის, რომელიც ეგვიპტელებს მიჰყიდეთ. მაგრამ ნუ სწუხართ ჩემს გაყიდვაზე — თვით უფალმა მომიყვანა აქ თქვენი სიცოცხლის

გადასარჩენად. გაეჩქარეთ მამაჩემთან ახარეთ ჩემი დაბადება ეგვიპტეში. უთხარით ყველაფერი, რაც აქ ნახეთ და ჩქარა მომგვარეთ აქ.“

მერე გაექანა, მოეხვია ყელზე ბენიამენს, ჰკოცნიდა და ორივე ტიროდა სიხარულით. მერე თვალცრემლიანმა ყველა ძმა დაჰკოცნა. ისინიც ტიროდნენ და ერთმანეთს ერწყმოდა მათი ცრემლები. მხოლოდ ახლა აეხსნათ მათ ენა და დაუწყეს იოსებს ლაპარაკი.

ფარაონმა რომ შეიტყო თავისი საყვარელი იოსების სიხარული, თვითონაც გაიხარა და უბრძანა, რომ მის მაგივრადაც მოეწვიათ იაკობი ეგვიპტეში. იოსებმა გაისტუმრა ძმები მრავალი საჩუქრით და მდიდრული ეტლები გაატანა მამის გადმოსაყვანად.

/დაბ. 44, 1-34; 45, 1-24/

დავალება:

1. დავწეროთ კითხვები.

ლექსიკონი:

აზარფეშა – ვერცხლის სასმისი, ტარიანი.

<u>შეგონება:</u> „როგორც პურის მარცვალი, მიწაში დათესილი, მოუტანს სარგებლობას დამთესველს, ეგრეთვე პური, რომელსაც წინ დაუდებ მშიერს, შემდგომში მოიტანს ასწილ მეტ სარგებლობას.“

წმინდა ბასილი დიდი

იაკობის გადასახლება ეგვიპტეში

„იოსები ისევ ცოცხალია და უფლობს მთელს ეგვიპტეზე," - ამ სიტყვებით ახარეს იაკობს შვილებმა, როდესაც შინ დაბრუნდნენ ეგვიპტიდან და მამას ყელზე ეხვეოდნენ. მოხუცებული მამის გული ძლიერ შეჩვეული იყო მწუხარებას საყვარელი შვილის დაკარგვის გამო და ამიტომ იაკობი არ ერწმუნებოდა მათ სიტყვას, მაგრამ როცა შვილებმა იოსების ყველა სიტყვა გადასცეს, დაწვრილებით უამბეს ყველაფერი და აჩვენეს იოსებისაგან გამოგზავნილი ეტლები, იაკობი სულით გამოცოცხლდა და თქვა: „ჰოი, ბედნიერებავ! ნუთუ იოსები კიდევ ცოცხალია! წამიყვანეთ და მაღირსეთ მისი ნახვა, სანამ სიკვდილს არ უსწრია ჩემთვის". იაკობი საჩქაროდ მოემზადა ეგვიპტეში წასასვლელად, ჩააბარგა მთელი თავისი ქონება და განძეულობა და თავისი შვილებით და შვილიშვილებით გაუდგა გზას. იოსებმა რომ შეიტყო მამის მოახლოება, ჩაჯდა ეტლში და გამოეგება გზაზე. დაინახა თუ არა მამა, გაექანა, მოეხვია ყელზე და დიდხანს ტიროდა.

„ახლა კი მშვიდობით მოვკვდები, შვილო,- ეუბნებოდა მამა,- ვნახე სახე შენი და დავრწმუნდი, რომ ისევ ცოცხალი ხარ".

იოსებმა მამა ფარაონს წარუდგინა.

„რამდენი წლის ხარ?- ჰკითხა იაკობს ხელმწიფემ. „ასოცდაათი წელია, რაც მე ქვეყანაზე სტუმრად ვარ, - მიუგო იაკობმა, - მცირე და მოკლე არის ჩემი ცხოვრების დღეები და ბევრით ჩამოუვარდებიან დღეგრძელობას ჩემი მამა-პაპისა".

ფარაონმა მისცა იაკობს საცხოვრებლად ერთი ყველაზე უკეთესი კუთხე ეგვიპტისა, სადაც იაკობი დაბინავდა მთელი თავისი სახლობით.

ეგვიპტეში იაკობმა ჩვიდმეტი წელიწადი კიდევ იცოცხლა.

სიკვდილის წინ აკურთხა ჯერ იოსების ორი შვილი, შერაცხა ისინი მემკვიდრეობის უფლებით თავის შვილებში; მერე დაიბარა შვილები, დალოცა ისინი და აკურთხა. ამასთან, ერთ მათგანს, იუდას, უწინასწარმეტყველა, რომ მის შთამომავლობაში არ გამოილეოდნენ მთავარნი და მეფენი, სანამ არ მოვიდოდა ქვეყნად მაცხოვარი, რომელიც იქნებოდა მისივე შთამომავლობისა. შემდეგ იაკობმა სთხოვა შვილებს, რომ მისი ცხედარი წაეღოთ ქანაანის ქვეყანაში და დაესაფლავებინათ პაპასთან და მამასთან. ბოლოს შეავედრა თავისი სული ღმერთს და მშვიდობით მიიძინა ასორმოცდაშვიდი წლისამ.

იოსებმა და სხვა შვილებმა მამის ანდერძი აღასრულეს და დაასაფლავეს იგი აბრაამსა და ისაკთან.

როცა დასაფლავების შემდეგ ეგვიპტეში დაბრუნდნენ, იოსების ძმები შეფიქრიანდნენ, ვაი, თუ ჩვენმა ძმამ ახლა გადაგვიხადოს სამაგიერო იმ ბოროტებისათვის, რომელიც ჩვენ მას დავმართეთო. მივიდნენ ერთად იოსებთან, მდაბლად დაუკრეს თავი და მოახსენეს: „გვაპატიე ჩვენი შეცოდება შენ წინაშე. ჩვენ ახლა შენი მონანი ვართ.“

იოსებმა დაიიმედა ისინი: „ნუ გეშინიათ, რაც თქვენ მე მიყავით, ღმერთმა კეთილად გადამიქცია. მე არამც თუ ცუდი არა მსურს თქვენთვის, არამედ სიკვდილამდე თქვენი მზრუნველი და მფარველი ვიქნები.“

დამშვიდებული ძმები დაბრუნდნენ თავიანთ ბინაზე და კეთილად ცხოვრობდნენ იოსების მფარველობის ქვეშ. იოსებმა იცოცხლა ასათი წელი. როცა იოსები კვდებოდა, ძმებს ანდერძად დაუგდო: „როცა თქვენ უფალმა გაგიყვანოთ აქედან ქანაანის ქვეყანაში დასაბრუნებლად, ჩემი ძვლები ამოიღეთ საფლავიდან, წაიღეთ თან და დამარხეთ ჩემს მამა-პაპასთან.“

იოსები, რომელმაც ბევრი ტანჯვა-წამება გამოიარა, შემდეგ დიდება მოიპოვა და ძმები იხსნა შიმშილით სიკვდილისაგან,

მოასწავებდა იესო ქრისტეს, რომელიც ეწამა, განიცადა სიკვდილი და სიკვდილით სიკვდილი დასთრგუნა და ადამიანებს საუკუნო ცხოვრება მიანიჭა.

/დაბ. 45, 26-28; 46, 5-30; 47, 7-28; 49, 1-32; 50, 1-25/

დავალება:

1. დავწეროთ კითხვები.
2. როგორ გესმით გამოთქმა:
   ა) „მე ქვეყანაზე სტუმრად ვარ.“
   ბ) „ღმერთმა კეთილად გადამიქცია.“

ლექსიკონი:

შერაცხვა – აღიარება, მიჩნევა.
შერაცხა – ჩათვალა, მიიჩნია, აღიარა.

<u>შეგონება:</u> „ღმერთისა და მოყვასის სიყვარული არის ყველაზე უდიდესი მცნება. საძირკველი და წყარო ყველა სხვა მცნებისა. ჩვენი სულიერი ღირსება ღმერთისა და მოყვასის სიყვარულით განიზომება.“

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი

ისრაელთა მდგომარეობა ეგვიპტეში იოსების სიკვდილის შემდეგ

როდესაც იაკობი გადასახლადა ეგვიპტეში,ღმერთმა მისცა მას ასეთი აღთქმა: „მე წარმოვადგენ შენგან დიდ ხალხს". მართლაც გავიდა რამდენიმე ასი წელიწადი და იაკობის თორმეტი შვილის შთამომვალთაგან შედგა დიდი ისრაელის ხალხი, რომელიც განიყოფებოდა თორმეტ ტომად, თანახმად თავიანთი თორმეტი წინაპრისა.

სანამ იოსები ცოცხალი იყო, იაკობის შთამომავლობა კარგად, თავისუფლად ცხოვრობდა, მათი შევიწროება არავის შეეძლო, მაგრამ რაკი იოსები მოკვდა და ისრაელთ მოაკლდათ მძლავრი მფარველი, მათი მდგომარეობა თანდათან უფრო და უფრო გაუარესდა. ბოლოს ეგვიპტეში გამეფდნენ იმისთანა ფარაონები, რომლებსაც სრულიად არ ახსოვდათ იოსების სიკეთე და ღვაწლი. ამიტომ მათ ბოროტი თვალით დაუწყეს ისრაელს ყურება. ისინი ასე ფიქრობდნენ: „ეს ხალხი საკვირველად მრავლდება და ჩვენზე ძლიერი ხდება. რომელსამე უცხო ქვეყანასთან რომ ომი მოგვიხდეს, შეიძლება ისრაელნი ჩვენი მტრის მხარეს გადავიდნენ, დაგვამარცხონ, მტრის ხელთ მიგვცენ, თვითონ დაანებონ ჩვენს სახელმწიფოს თავი, წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში და თან წაიღონ ქონებაო." ფარაონები ასე იმიტომ ფიქრობდნენ, რადგანაც გაგებული ჰქონდათ, რომ ისრაელნი ეგვიპტეს დროებით საცხოვრებლად თვლიდნენ, თავიანთ სამშობლოდ მიაჩნდათ ქანაანის ქვეყანა და განზრახვა ჰქონდათ, მომავალში მოხერხებული შემთხვევით ესარგებლათ, გასულიყვნენ ეგვიპტიდან და გადასახლებულიყვნენ სამშობლოში.

ფარაონები ჯერ შეეცადნენ, ეგვიპტელებთან შეეერთებინათ ისრაელნი და ერთ ხალხად ექციათ. დაუწყეს დევნა მათ ენას, სარწმუნოებასა და ჩვეულებას. სურდათ რომ ისრაელთ

დაევიწყებინათ თავიანთი ენა, სარწმუნოება, ეროვნება, დაეწყოთ ლაპარაკი ეგვიპტურ ენაზე, მიეღოთ ეგვიპტელების სარწმუნოება და მათი ეროვნება შეეთვისებინათ.

მაგრამ ისრაელთ საკვირველად უყვარდათ დედა-ენა და მტკიცედ იდგნენ თავიანთ სარწმუნოებაზე. დევნამ უფრო მომეტებულად შეაყვარა მათ ერთიც და მეორეც. მართალია, მათ შორის გამოჩნდა ზოგიერთი მოღალატე, რომელიც ფულის გულისთვის და ჯამაგირიანი ადგილების მისაღებად გადაუდგნენ თავიანთ ხალხს, მაგრამ ესენი იყვნენ სულით მდაბალნი, წუწკნი არსებანი, რომელთა მოსხლეტა და განშორება ისრაელთათვის სასარგებლო იყო, როგორც გადამდები ავადმყოფობით დასნეულებული კაცის მოშორებაა კარგი ჯანმრთელთათვის. ეს მოღალატენი ეზიზღებოდათ არამც თუ ისრაელთ, არამედ თვით პატიოსან ეგვიპტელებსაც სძულდათ, რადგანაც იცოდნენ, რომ მათ მხარეს ფულის გულისათვის გადადიოდნენ და არა იმიტომ, რომ ეგვიპტელებს მოსწონდათ და უყვარდათ.

როცა ისრაელთა გაეგვიპტელება ვერასგზით მოახერხეს ფარაონებმა, მაშინ გადაწყვიტეს, რომ როგორმე დაესუსტებინათ ისინი, შეემცირებინათ და დაეუძლურებინათ. ამიტომ მათ მეტად მძიმე და აუტანელი ხარჯი დაადვეს – ისრაელთ ათხრევინებდნენ თიხას, აწვევინებდნენ აგურს, აშენებდნენ ვებერთელა შენობებს და აკეთებინებდნენ ეგვიპტელების ყოველგვარ საქმეს. ერთი სიტყვით, მთელი ხალხი მონებად, ეგვიპტელების ყურმოჭრილ ყმებად გადააქციეს.

მათ დაუყენეს ზედამხედველები, რომლებიც მუშაობის დროს ერთ წუთსაც არ ასვენებდნენ ისრაელთ, განუწყვეტლივ ამუშავებდნენ და წამდაუწუმ მათრახებით და შოლტებით თავპირს ამტვრევდნენ, რატომ უფრო ბევრს არ მუშაობთო.

ამ მდგომარეობაში ყველა სხვა ხალხი ამოწყდებოდა, მაგრამ ისრაელნი კი უფლის განგებით თანდათან საკვირველად

მატულობდნენ და მრავლდებოდნენ.

მაშინ ფარაონმა გამოსცა ერთი უდიერი ბრძანება: სადაც კი ისრაელთა ვაჟიშვილი დაიბადოს წაართვით და წყალში გადააგდეთო.

ვაჟის დაბადება ყოველთვის და ყველგან ბედნიერება იყო და სასიხარულო საქმეს წარმოადგენდა, ფარაონის ბრძანებამ კი ეს დიდ უბედურებად გადააქცია. ყოველი დედ-მამა, რომელსაც ვაჟიშვილი მიეცემოდა, მგლოვიარედ უნდა გადაქცეულიყო და ეტირა შვილის უდროოდ დაღუპვა.

ამ საშინელმა უბედურებებმა სრულიად მიაქციეს ღვთისაკენ ისრაელთა გული, სული და გონება. მარტო ერთი ღმრთის იმედიღა ჰქონდათ, მარტო მასზედ სასოებდნენ, მარტო მისგან მოელოდნენ გამოხსნას და ამიტომ მხურვალე გულით ევედრებოდა უფალს მთელი ხალხი. უფალმა შეიწყნარა მათი მწარე ტირილი, მიიღო მათი მხურვალე ვედრება და მოუვლინა გამომხსნელი.

/დაბ. 46, 2-3; გამ. 1,1-22; 5,5-19/

დავალება:

1. ვუპასუხოთ კითხვას: რატომ ფიქრობდნენ ეგვიპტელები ისრაელებზე, რომ ისინი წავიდოდნენ თავიანთ ქვეყანაში?
2. დავწეროთ კითხვები.
3. როგორ გესმით გამოთქმები:
   ა) „საკვირველად უყვარდათ.“
   ბ) „სრულად მიაქციეს ღმერთისკენ გული.“



ლექსიკონი:

უდიერი – მოურიდებელი, მოძალადე, უტიფარი.
სასოება - იმედი.
სასოებდნენ – იმედი ჰქონდათ.

შეგონება: „როგორც ზღვა არასოდეს არ შეიძლება უზვირთოდ, აგრეთვე ვერცხლისმოყვარე კაცის გული არასოდეს არ შეიძლება იყოს უმწუხაროდ, უზრუნველად, უშიშრად და უშფოთველად.“

წმინდა იოანე ოქროპორი

მოსეს დაბადება და აღზრდა

იმ დროს, როდესაც ფარაონის ბრძანებით ისრაელიანებს უხოცავდნენ ახალდაბადებულ ვაჟიშვილებს, ერთ ისრაელ დედაკაცს ეყოლა ვაჟი, რომელსაც სამი თვის განმავლობაში მალავდა. ბოლოს ცხადად დაინახა, რომ მეტი დამალვა ყმაწვილისა აღარ შეიძლებოდა – დღეს თუ ხვალ ეგვიპტელები შეიტყობდნენ, წაართმევდნენ და წყალში გადააგდებდნენ დასახრჩობად. ამიტომ დაწნა ოთხკუთხიანი ჩალის კალათა, კარგა ღონივრად გაფისა გარშემო, რომ წყალი არ შესულიყო, ჩასვა შიგ ბავშვი ძილის დროს; დილით, ადრიანად ჩაიტანა დიდი მდინარის პირას და წყალში, ნაპირზე ჩადგა. ამასთან, თავის ქალს, მარიამს, უთხრა, რომ იქვე ახლოს დამალულიყო და ჩუმად თვალი ედევნებინა, რა მოუვიდოდა ყმაწვილს.

დილით მდინარეზე საბანაოდ თვით ფარაონის ქალიშვილი ჩამოვიდა მოახლეებით. ლერწმებში მან თვალი მოჰკრა კალათას და ერთ სეფექალს უბრძანა, გამოეტანა.

როცა მოახლემ კალათა მოუტანა და ახადა, შიგ ხელმწიფის ქალმა ნახა მშვენიერი ყმაწვილი, რომელსაც ის იყო გამოღვიძებოდა და ტიროდა.

„ოჰ, ეს უთუოდ ისრაელთა ბავშვია“, - თქვა ფარაონის ქალმა შებრალებით.

მაშინ იმ ბავშვის დამ, რომელიც მოფარებით იქვე ახლოს იდგა და უთვალთვალებდა, მოირბინა, ვითომც უცხო ვინმემ, და ხელმწიფის ქალს მოახსენა: ‚ხომ არ გნებავთ, რომ მოგგვაროთ ძიძა მაგ ბავშვისათვის ისრაელთა ქალებიდან?“

„კარგი მოიყვანე“, - უთხრა ფარაონის ასულმა.

მარიამი გაიქცა და საჩქაროდ მოიყვანა დედა, რომელსაც ხელმწიფის ქალმა გასაზრდელად ჩააბარა ნაპოვნი ყმაწვილი. ასე, ღვიძლი დედა ამ ბავშვისა გახდა მისივე ძიძა.

როცა ბავშვი მოიზარდა, ფარაონის ქალმა იშვილა იგი, დაარქვა მას მოსე, რაც ნიშნავს წყლიდან ამოღებულს, და წაიყვანა მეფის სახლში გასაზრდელად. აქ მოსეს ინახავდნენ და ზრდიდნენ, როგორც ნამდვილ მეფის შვილს, და ასწავლეს მთელი სიბრძნე ეგვიპტელებისა,რომელნიც მაშინდელ დროში განათლებით ყველაზე წინ იდგნენ.

დავალება:

1. ამოვიწეროთ პირთა და გეოგრაფიულ ადგილთა სახელები.
2. დავწეროთ კითხვები.
3. დავხატოთ მოსეს პოვნის ეპიზოდი.

ლექსიკონი:

გაფისა – ფისი წაუსვა, გაჟღინთა ფისით.
ლერწამი – ტანმაღალი მცენარე მარცვლოვანთა ოჯახისა, იზრდება მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე.
სეფექალი – მეფის ან დიდებულის ქალი.

შეგონება: „პატიოსნება ისაა, როცა კაცი ყოველთვის სიმართლით და გულწრფელად ლაპარაკობს. ყოველ ალთქმასა და პირობას აუცილებლად ასრულებს. ეშინია და რცხვენია სიცრუის თქმისა, მზაკვრულად მოქცევისა.“

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი

მოსეს გაქცევა ფარაონის სახლიდან

ბედნიერ მდგომარეობაში ჩავარდა ყმაწვილი მოსე ფარაონის სასახლეში. რასაც კი გული ინატრებდა, იმის ხელთ იყო, რადგანაც ისე ჰყავდა ყველას მიჩნეული, როგორც ნამდვილი შვილი მეფისა. ამისთანა მდგომარეობაში სხვა მიეცემოდა განცხრომით ცხოვრებას, შეიქნებოდა გულგრილი და ზურგს შეაქცევდა თავის ხალხს. მაგრამ მოსე სულაც არ მოქცეულა ასე. მას დედის ძუძუსთანავე ჰქონდა ჩანერგილი გულში სიყვარული თავისი ხალხისა, მისი ტანჯვა თავის ტანჯვად მიაჩნდა, მისი გული კვდებოდა, როცა ისრაელთა ჩაგვრას ხედავდა, ან ესმოდა მათი წვალება. თავისი ხალხის გამოხსნა და განთავისუფლება იყო უმთავრესი, პირველი საგანი მოსეს ფიქრისა. მან კარგად იცოდა, რომ უსწავლელი კაცი ბევრს ვერაფერს არგებს ხალხს, თუნდაც ძალიან გულითაც უნდოდეს მისი ბედნიერება. ამიტომ მოსე ძალიან ბეჯითი იყო სწავლაში. რაც კი მაშინდილმა ეგვიპტელებმა იცოდნენ მეცნიერებიდან, ყველაფერი ისწავლა და მტკიცედ შეითვისა.იგი საფუძვლიანად ემზადებოდა მომავალი მოქმედებისათვის.

აგერ, მოსემ დაასრულა სწავლა და შეიქნა ვაჟკაცი.მის წინ იდო ორი გზა: თუ იგი ეგვიპტელებს მიემხრობოდა და უღალატებდა თანამემამულეებს, მას მოელოდა პატივი,დიდი ადგილი, სიმდიდრე, განცხრომით ცხოვრება,ერთი სიტყვით, ბედნიერება. თუკი იგი შეიქნებოდა თავისი ხალხის ერთგული, მფარველი და მოსარჩლე,მაშინ მას არ ასცდებოდა წვალება, ტანჯვა, სიღარიბე, და, იქნება,სიკვდილიც კი ეგვიპტელების ხელით.

მოსემ ეს კარგად უწყოდა, მაგრამ მას თავის ხალხთან ტანჯვა ათასჯერ ერჩია, ვიდრე ეგვიპტელებთან სიამოვნება. თავისი ხალხის გულისათვის სიკვდილს იგი ათასჯერ

ამჯობინებდა ბედნიერ სიცოცხლეს ეგვიპტელების სამსახურში. მოსე თავისი ხალხის ერთგული მოსარჩლე შეიქნა, მათ ხომ მეტად ჩაგრავდნენ ეგვიპტელები. იგი ხმარობდა ყოველ ღონისძიებას, რომ შვება მიეცა ისრაელთათვის. მალ-მალ დატოვებდა ხოლმე სასახლეს, დადიოდა ისრაელთა ქოხებში, ნუგეშსა სცემდა დაჩაგრულებს, გულს უკეთებდა დაცემულებს, ზოგს ფულით შველოდა, ზოგს – რჩევით, ყველას ამხნევებდა, უქადაგებდა, რომ ერთი პირი ჰქონოდათ, ერთმანეთისათვის ზურგი მაგრად მიეცათ, ერთმანეთისათვის ეშველათ, ჰყვარებოდათ ჭეშმარიტი ღმერთი, სძულებოდათ კერპები და ამ გზით მოემზადებინათ თავი გამოხსნისათვის, ამ დროს ბევრჯერ თავისი თვალით ხედავდა, როგორ უსჯულოდ ექცეოდნენ ეგვიპტელები ისრაელთ, როგორ უწყალოდ სცემდნენ მათ უმიზეზოდ და მიწასთან ასწორებდნენ. გული ვერ მოუთმენდა ხოლმე, მივარდებოდა ეგვიპტელებს და სამაგიეროს უხდიდა.

ბოლოს ფარაონმა შეიტყო, რომ მოსეს ძალიან უყვარდა ისრაელნი, რომელთა ამოწყვეტსაც ის ცდილობდა, ესარჩლებოდა მათ, უმართავდა ხელს, სძულდა ეგვიპტელები, როგორც მჩაგვრელნი, და ყოველთვის ისრაელთა მხარე ეჭირა ეგვიპტელების წინააღმდეგ. შეიტყო ეს და მოინდომა მოსეს დასჯა სიკვდილით.

მოსემ რომ ეს გაიგო, ადგა და გაიქცა ეგვიპტიდან უცხო ქვეყანაში. ამ დროს იგი იყო ორმოცი წლისა.

დავალება:

1. ამოვიწეროთ პირთა და გეოგრაფიულ ადგილთა სახელები.
2. დავწეროთ კითხვები.
3. როგორ გესმით გამოთქმები:

ა. „ბედნიერ მდგომარეობაში ჩავარდა“.
ბ. „უსწავლელი კაცი ბევრს ვერაფერს არგებს ხალხს.“
გ. „გულს უკეთებდა დაცემულებს.“

ლექსიკონი:

მოსარჩლე – ქომაგი, მფარველი

<u>შეგონება:</u> „სიმდაბლე ყველა სხვა სათნოებათა სამკაულია. სიმდაბლის გარეშე არავითარი წარმატება არ მიიღწევა. ვისაც სულიერი სახლის აშენება სურს, სიმდაბლის საძირკველზე უნდა აღაშენოს იგი.“

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი

მოსეს მისვლა იოთორთან

იმ უცხო ქვეყანაში, სადაც მოსე გაიქცა, აბრაამის შთამომავალნიც ცხოვრობდნენ. აქაც მისი პირველი მოქმედება გახდა სუსტთა დახსნა ღონიერთა ბრიყვობისაგან.

მოსემ ნახა ერთი ჭა და მასთან დაისვენა. ჩქარა იქ მირეკა ნახირი შვიდმა ახალგაზრდა ქალმა, რომლებიც მამის საქონელს მინდორში აძოვებდნენ. მათ უნდოდათ, წყალი დაელევინებინათ საქონელისათვის, მაგრამ ამ დროს სხვა მწყემსებმა მორეკეს საქონელი, ქალებს იქით გადაურეკეს პირუტყვი და არ ანებებდნენ წყალს. საწყალმა ქალებმა არ იცოდნენ რა ექნათ.

ამ დროს მოსე მოვიდა, ამხილა მწყემსების სიბრიყვე, შეარცხვინა ისინი, გამოესარჩლა ქალებს და უშველა მათ საქონლისათვის წყლის დალევინებაში. ქალები მეტად მადლობელნი დარჩნენ და, როცა საღამოზედ ნახირი შინ მორეკეს, თავიანთ მამას, სახელად იოთორს, უთხრეს, თუ რა შემწეობა გაუწია მათ ერთმა ზრდილმა ეგვიპტელმა.

„სად არის ის კაცი, რატომ არ მოიწვიეთ ჩვენსას?! — ჰკითხა მამამ და გაგზავნა შვილები, რომ მოსე სახლში მოეწვიათ.

მოსე მივიდა. მას მოეწონა იოთორი, როგორც კეთილმსახური კაცი, ჭეშმარიტი ღმრთის თაყვანისმცემელი. მოეწონა აგრეთვე მთელი მისი კეთილი სახლობა და ამიტომ დარჩა მათთან. შემდგომ მოსე ნათესავი შეიქნა ამ სახლობისა: იოთორის ქალი შეირთო ცოლად, გახდა მისი სიძე და, ამასთან, სიმამრის საქონლის მწყემსვა დაიწყო.

ბედი ძალიან ცუდად მოექცა მოსეს, მეფის სახლში გაზრდილი, ნაშვილები მეფის ქალისა, სწავლული კაცი, რომელიც ღირსი იყო პირველი ადგილისა სახელმწიფოში,

შეიქნა მოჯამაგირე და გახდა უბრალო მწყემსი. ამ ყოფაში ჩააგდო მოსე თავისი ხალხის სიყვარულმა, მისმა ერთგულებამ. სხვა გაიტეხდა გულს, შეაქცევდა ზურგს თავის ხალხს, დაივიწყებდა მას და სხვა გზას დაადგებოდა. მაგრამ მოსე ასეთი სულმოკლე არსება არ იყო. მის გულში ისეთი ძლიერი ცეცხლი ენთო ერის სიყვარულისა, რომ მას უხაროდა კიდეც, რომ ისრაელთა გულისთვის ეწვალებოდა და იტანჯებოდა. ახლაც მისი ფიქრი და დარდი იყო თავისი ერის გამოხსნა ეგვიპტელების ხელიდან. ხორცით იგი დასდევდა საქონელს, მაგრამ სულით კი ისრაელთან იყო. ის ნატრობდა იმ დროს, როდესაც ღმერთი აღადგენდა ისრაელთა შორის მძლავრ კაცს და იგი გამოიხსნიდა ერს ეგვიპტელების მონობისაგან. თავის თავს მოსე არა რაცხდა ღირსეულად გამომხსნელობისათვის. როგორც ყველა გონებით მძლავრი კაცი, იგი იყო თავმდაბალი. მას სურდა მხოლოდ, ყოფილიყო თანაშემწე გამომხსნელისა, მიეღო მონაწილეობა წმიდა საქმეში და თავი დაედო თავისი ხალხის ბედნიერებისათვის.

/გამ. 2, 15-21/

დავალება:

1. ამოვიწეროთ პირთა და გეოგრაფიულ ადგილთა სახელები.
2. დავწეროთ კითხვები.
3. როგორ გესმით გამოთქმა:
   „გონებით მძლავრი კაცი.“

ლექსიკონი:

თაყვანისმცემელი – ის ვინც თაყვანს სცემს.

თავმდაბალი – მოკრძალებული, მორიდებული.

სულმოკლე – მოუთმენელი, სულსწრაფი, მხდალი, ლაჩარი.

<u>შენიშვნა:</u> „ორი საღმრთო ტალანტი, რომელიც ღმერთმა ყოველ კაცს მისცა არის სინდისი და საღმრთო სჯული. ეს ბოძებული ტალანტები ადამიანმა უნდა ასარგებლოს და მბოძებელს ერთი ორად წარუდგინოს.“

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი

მოსეს მოწოდება

ერთხელ მოსე საქონელს აძოვებდა ქორების მთის ახლოს. იგი ღრმად იყო ჩაფიქრებული თავისი ერის უბედურ მდგომარეობაზე. ამ დროს, უცებ, მთაზე დაინახა გასაოცარი მოვლენა: ერთ ჩირგვს ძლიერი ცეცხლი ეკიდა, მაგრამ არ იწვოდა. გაკვირვებულმა მოსემ თქვა: „წავალ და ვნახავ, რატომ არ იწვის ჩირგვი.“ მიუახლოვდა თუ არა მაყვლის ბუჩქს, მოესმა ძახილი: „მოსე, მოსე!“

„რაო, უფალო?“ - მიუგო მან.

„ნუ მოუახლოვდები ამ ადგილს, გაიხადე ფეხსაცმელი შენი, ეს ადგილი წმინდაა, - და მერე დაუმატა, - მე ვარ ღმერთი აბრაამისა, ისაკისა და იაკობისა.“

მაშინ მოსე აივსო მოკრძალებითა და შიშით, მოიდრიკა თავი, დაიფარა პირისახე და კრძალვით დაუწყო სმენა.

უფალმა უთხრა: „მე ვხედავ ტანჯვას ჩემი ხალხისას ეგვიპტეში. მსურს, გამოვიხსნა იგი ეგვიპტელების ხელიდან და გადავიყვანო აღთქმულ ქვეყანაში. შენ ახლავე უნდა წახვიდე იქ და გამოიყვანო ეგვიპტიდან ჩემი ერი.“

მოსე უარზე იდგა, იგი ფიქრობდა, ამისთანა მძიმე და დიდი საქმის ასრულება მე როგორ შემიძლიაო, და უფალს უპასუხა: „განა მე ვინა ვარ, რომ წავიდე ფარაონთან და გამოვიყვანო ეგვიპტიდან შენი ხალხი?“

უფალმა აღუთქვა თავისი შემწეობა და, უფრო რომ დაერწმუნებინა მოსე ამაში, უთხრა: „აი, ამ მთაზე გადაიხდის სამადლობელელ წირვას ისრაელის ხალხი ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ.“

მოსემ ჰკითხა: „რომ მკითხავენ, რომელმა ღმერთმა გამოგგზავნაო, რა ვუპასუხო?“

„მე ვარ არსი. ასე უთხარი: მე გამომგზავნა არსმა (ესე

იგი იმან, ვინც ყოველთვის იყო, არის და მუდამ იქნება), ეს არის ჩემი სახელი.“

„რომ არ დამიჯერონ და მითხრან, იქნება, შენ ღმერთის გამოგზავნილი სრულიადაც არ იყოო, რა ვუთხრა მაშინ?“ - ჰკითხა უფალს მოსემ.

უფალმა აღუთქვა მოსეს, რომ იგი მოანიჭებდა მას თავის ძალას და ამ ძალით იგი იმისთანა საქმეებს მოახდენდა, რომელთა მოხდენა არა კაცს არ შეუძლია. „მაშინ, - უთხრა უფალმა, - ყველა დარწმუნდება, რომ შენ ჩემგან ხარ გაგზავნილი და ჩემის ძალით ახდენ სასწაულებსო“.

მოსე მაინც კიდევ უარზე იდგა. „უფალო, - უთხრა მან, - მჭევრმეტყველი ჩემს დღეში არა ვყოფილვარ, და, ამასთან, ენასაც ვუკიდებ.“

უფალმა მიუგო: „ვინ მიანიჭა ადამიანს ბაგენი, ვინ ხდის ადამიანს მუნჯად, ყრუდ, მხედველად და უსინათლოდ, მე განა?! მაშ წადი: მე აგიხსნი ბაგეთა შენთა და ჩაგაგონებ, რაც უნდა სთქვა. შენს ძმას, აარონსაც, წინ დაგახვედრებ და იგი ეტყვის ხალხს, რასაც შენ გადასცემ მას“.

ამის შემდეგ მოსე დაემორჩილა ღმრთის ბრძანებას, გამოესალმა თავის სახლობას და ეგვიპტისაკენ გასწია.

გზაზე მას შეხვდა უფროსი ძმა აარონი და ისინი ერთად მივიდნენ ისრაელიანებთან. აქ მათ შეყარეს უფროსნი კაცნი და გამოუცხადეს მათ ღმრთის ნება და განკარგულება. ისრაელთ დაიჯერეს მოსეს ნათქვამი და სიხარულით მადლობდნენ მოწყალე უფალს. შემდგომ მოსე და აარონი წავიდნენ ფარაონთან.

/გამ. 3,1; 4,1-31/

დავალება:

1. დავწეროთ კითხვები.
2. ამოვიწეროთ სახელები.
3. როგორ გესმით გამოთქმა: „ჩემი ერი.“

ლექსიკონი:

მჭევრმეტყველი – ნათლად, კარგად, ლამაზად მოლაპარაკე

<u>შეგონება:</u> „მარხვა ცოდვათაგან გამოღვიძების დროა. მარხვა წმიდა იქნება არა მხოლოდ საჭმლის მოკლებით, არამედ საქმისა და ყოფაქცევის გამოსწორებით.“

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი

მოსე ფარაონის წინაშე

მოსე და მისი ძმა აარონი წარდგნენ ფარაონის წინაშე და მოახსენეს: „ასე ბრძანებს უფალი ღმერთი ჩვენი: გაუშვი ერი ჩემი, რათა მან უდაბნოში გადაიხადოს წირვა და შემომწიროს მსხვერპლი“.

ფარაონმა ამაყად მიუგო: „ვინ არის ეგ თქვენი ღმერთი? მე იმას არ ვიცნობ, არც არას გავუგონებ და არც ისრაელის ერს გავუშვებ აქედან.“

მარტო ამას არ დასჯერდა ფარაონი, „ეტყობა, ისრაელის ერს საქმე ცოტა აქვს, მაგისთანა რამეებზედ რომ ფიქრობს, - თქვა ფარაონმა, - მოუმატეთ მათ სამუშაო! ამის შემდეგ აღარ მისცეთ ბზე აგურის საკეთებლად, თვითონ აგროვონ ბზეცა და ალიზიც და იმდენი აკეთონ, რამდენსაც აქამდის აკეთებდნენ.“

ხელმწიფის ბრძანების თანახმად, ზედამხედველები ხალხს აღარ აძლევდნენ ბზეს, ალიზს კი იმდენსვე ითხოვდნენ, რამდენსაც წინათ. რადგანაც ისრაელნი ვერ ასწრებდნენ ალიზის დაწესებული რიცხვის გაკეთებას, ამიტომ ზედამხედ-ველები მათ სასტიკად სცემდნენ.

აუტანელ ტანჯვაში ჩაცვივდნენ ისრაელნი და დაუწყეს ყვედრება მოსესა და აარონს: „ღმერთმა მოგკითხოთ თქვენ, რომ გახდით მიზეზი ჩვენი წვალებისაო“.

მაშინ მოსე მიიქცა უფლისადმი ლოცვით:“ უფალო, ტყუილად რად გამომგზავნე ფარაონთან? მე მას გადავეცი, რაც შენ ბრძანე, და მან უფრო უარესი გვიყო.“

უფალმა მოსეს უბრძანა, რომ აარონთან ერთად კვლავ წასულიყო ფარაონის წინაშე და მეორედ მოეთხოვა ისრაელის ერის გაშვება: „თუ ფარაონმა გითხრას, აბა, დამიმტკიცე რითიმე, რომ შენ სწორედ ღმერთმა გამოგგზავნა, უბრძანე აარონს ფარაონის წინაშე დააგდოს თავისი კვერთხი, და იგი გველად

გადაიქცევა.“

მოსე სწორედ ისე მოიქცა, როგორც უფალმა უბრძანა, მაგრამ ფარაონმა მაინც არაფერი გაუგონა იმიტომ, რომ სწავლულმა ეგვიპტელებმა თვალთმაქცობით რაღაც ამისივე მსგავსი სასწაული მოახერხეს. ამის გამო ფარაონმა არ დაიჯერა, თუ მოსე და აარონი ღმრთისაგან იყვნენ გამოგზავნილნი და მისი ძალით მოახდინეს სასწაული.

ამის შემდეგ განრისხებულმა უფალმა ეგვიპტეს მრავალი სასჯელი მიაყენა ერთმანეთის მიყოლებით. ეს სასჯელები იყო შემდეგი: წყალი მდინარეებში, ტბებში, წყაროებში, ჭებში, ყველგან სისხლად იქცა და ეგვიპტელები უწყლოდ იხოცებოდნენ; მერე გაჩნდა უთვალავი საძაგელი მიწის ბაყაყი, რომელთაც აავსეს მთელი ქვეყანა, სახლები, სადგომები და ეგვიპტელებს მოსვენება დაუკარგეს; დაეცა მთელ ეგვიპტეს უთვალავი კოღო, რომლებიც აღარავის აძლევდნენ მოსვენებას. გაჩნდა აუარებელი შხამიანი ბუზი და მოეფინა მთელს ქვეყანას; ამის შემდეგ საქონელი გახდა ავად ჭირით და მთლად გაწყდა; ადამიანებს გამოუვიდათ რაღაც მუწუკები და იხოცებოდნენ; მოვიდა საშინელი სეტყვა და გაანადგურა მთელი ეგვიპტე; სეტყვას მოჰყვა კალია, რომელმაც მოსვლიპა ყველაფერი, რაც კი გადარჩენილი იყო; სამი დღე იდგა საშინელი სიბნელე ეგვიპტეში და იყო ღამე.

ყველა სასჯელი დაიწყებოდა ხოლმე მოსეს სიტყვით და მისივე სიტყვით მთავრდებოდა. გარდა ამისა, არცერთი სასჯელი არ შეხებია ეგვიპტის იმ კუთხეს, სადაც ისრაელნი ცხოვრობდნენ. ამიტომ ფარაონი და სხვა ეგვიპტელები ცხადად გრძნობდნენ, რომ ამ სასჯელით მათ უფალი იმ ტანჯვისათვის სჯიდა, რომელიც მათ მიაყენეს ისრაელს. როცა სასჯელი ძალიან შეაწუხებდა ხოლმე ეგვიპტელებს,ფარაონი იბარებდა მოსეს და ეუბნებოდა, მოგვაშორე თავიდან ეს უბედურება და

გავუშვებ ისრაელთო. მაგრამ რაწამს უბედურება მოშორდებოდათ, ფარაონი აღთქმას აღარ ასრულებდა, ჯიქობდა, არ უშვებდა ისრაელთ და სხვადასხვა მიზეზით იმართლებდა თავს. ბოლოს მრისხანედ უთხრა მოსეს: თვალით აღარ დამენახო, თუ კიდევ მოხვალ ჩემთან, იცოდე, სიკვდილს ვერ გადაურჩები. მოსემ მიუგო: „როგორც ბრძანე, ისე იქნება. შენ მე ველარ მნახავ, თვითონ ეგვიპტელები მოვლენ ჩემთან და შემომევედრებიან,რომ გავიდე ეგვიპტიდან და გავიყვანო მთელი ისრაელი ხალხი. ვინაიდან თქვენი ჯიუტობით განრისხებული ღმერთი ისეთ საშინელ სასჯელს მოგაყენებთ, რომ მთელს ეგვიპტეში კვნესა და ტირილი ატყდება.

/გამ. 5,1-23; 6,11-13; 7;9-21; 8,2-24; 9,1-18; 10,4-29; 11,8/

დავალება:

1. ამოვიწეროთ სახელები.
2. უპასუხეთ კითხვებს:
ა) როგორ იწყებოდა და მთავრდებოდა სასჯელები?
ბ) ეგვიპტის რომელ კუთხეს ატყდებოდა ეს სასჯელები?
3. დავწეროთ კითხვები.

ლექსიკონი:

უდიერი – მოურიდებელი, მოძალადე, უტიფარი.
მოსვლიპა – სულ ერთიანად დახოცა.

<u>შეგონება:</u> „მგლოვარება ანუ მწუხარება ორგვარია: ხორციელი, ანუ ამსოფლიური და სულიერი. პირველი ისაა, როცა კაცს რომელიმე ამსოფლიური ზარალი ან უბედურება აწუხებს, სულიერი მწუხარება კი ისაა, როცა ქრისტიანი საკუთარი ცოდვებისა და უღირსების გამოა მგლოვარე და დაღონებული.“

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი

ისრაელთა გასვლა ეგვიპტიდან

ბოლოს ეგვიპტელებს მიადგათ საშინელი სასჯელი. როგორც ისინი უხოცავდნენ ისრაელთ ახალნაშობ ვაჟიშვილებს, ისე ახლა იმათ დაკარგეს უფროსი ვაჟები. ერთ ღამეს პირველი ვაჟიშვილი მოკვდა ყოველი ეგვიპტელის სახლში,ფარაონიდან დაწყებული უკანასკნელ გლახამდის.

ხოლო ისრაელთ ადრევე ჰქონდათ ღმრთისაგან მოსეს პირით ნათქვამი, რომ ამ ღამეს ისინი მომზადებულიყვნენ ეგვიპტიდან გასასვლელად, ჩაცმულნი, დახურულნი, სარტყლებშემოკრულნი და აბარგებულნი. ამასთან, უფალმა უბრძანა მათ, აღესრულებინათ შემდეგი წესი: ყოველ სახლობას უნდა დაეკლა ბატკანი, რომელიც ერთ წელზე მეტი ხნის არ უნდა ყოფილიყო, და არც რამე წუნი ჰქონოდა. მისი სისხლი კარების თავზე გარედან ჯვარედინად უნდა წაესვათ, ხორცი შეეწვათ და იმ ღამესვე შეეჭამათ მწარე მწვანილისა და ხმიადის შეტანებით. ბატკნის ძვლები არც უნდა დაეხლიჩათ და არც დაემტვრიათ, და რაც კი შეუჭმელი დარჩებოდათ, უნდა ცეცხლში დაეწვათ როგორც წმინდა რამე.

ამ წესის შესრულებას დაერქვა „პასექი უფლისა“ შემდეგი მიზეზის გამო: როცა იმ ღამეს სიკვდილის ანგელოზმა ჩამოიარა ეგვიპტელთა უფროსი ვაჟების დასახოცად, მან მშვიდად გაიარა იმ სახლების წინ, რომელთა კარებსაც ეცხო სისხლი ბატკნისა და არაფერი დაუშავა იქ მცხოვრებ ისრაელთა ოჯახებს. სიტყვა „პასექი“ ნიშნავს: გვერდით ჩაგვიარა, ანუ გამოგვიხსნა. ამიტომაც ბატკანი, რომელიც მოამზადეს ისრაელთ, და ჭამეს ღმრთისაგან ნაბრძანები წესით, წოდებული იქნა „პასექის ბატკნად.“

ისრაელთ სწორედ ისე შეასრულეს ყველაფერი, როგორც მათ უფალმა უბრძანა. იმავე ღამეს, სწორედ შუაღამისას, მთელს ეგვიპტეში ატყდა საშინელი ტირილი და ვაება -

ყველა სახლში უცებ მოკვდა უფროსი ვაჟიშვილი.

შეშინებულმა ფარაონმა იმავე ღამეს დაუძახა მოსეს და აარონს და ნება მისცა მთელს ისრაელის ერს ეგვიპტიდან გასვლისა. ეგვიპტელებიც თავის დროზე აჩქარებდნენ ისრაელთ და ეუბნებოდნენ, გაგვეცალენით ჩქარა, თორემ თქვენი გულისთვის სულ ამოვიჟლიტებითო..

ისრაელნი ცარიელები როდი გაუდგნენ გზას, მათ მიჰქონდათ ყველაფერი: თავიანთი ნივთეულობა, სარჩო და სიმდიდრე, თან მიჰყავდათ საქონელი, მათ ჩრდილოეთისაკენ გასწიეს, რადგანაც აღთქმის, ანუ ქანაანის ქვეყანა, სადაც მათი წინაპარნი ცხოვრობდნენ, ჩრდილოეთისაკენ იყო. თან წაიღეს მათ იოსების ძვლებიც, თანახმად მისი ანდერძისა. ერი ისეთი მრავალი იყო, რომ მარტო სრული ხნის ვაჟკაცების რიცხვი შეადგენდა ექვსას ათასს. მოსე წინ მიუძღოდა, ხოლო გზას უჩვენებდა თვით უფალი - მაღლა ცაში, მათ წინ, ღრუბლით მიდიოდა უფლის ანგელოზი. დღისით ეს ღრუბელი უჩრდილავდა მათ და იფარავდა სიცხისაგან, ხოლო ღამით ცეცხლის ღრუბლად იქცეოდა და გზას უნათებდა.

/გამ.12,3-37.13,18-22/

დავალება:

1. შეავსეთ ცხრილი.

რას ნიშნავს სიტყვა „პასექი“?	
რამდენი კაცი გამოვიდა ეგვიპტიდან?	
ვისი ძვლები წამოიღეს თან ისრაელიანებმა?	

2. ამოვიწეროთ როგორ უნდა მოემზადებინათ პასექი ისრაელიანებს?

3. უპასუხეთ კითხვას: რა მიუძღოდათ ისრაელიანებს ეგვიპტიდან გასვლისას?

4. შეავსეთ ცხრილი: რა სასჯელები მოუვლინა ღმერთმა ეგვიპტელებს?

1.	
2.	
3.	
4.	
5.	
6.	
7.	
8.	
9.	
10.	

<u>შეგონება:</u> „რაც კი რამ ჭეშმარიტია, რაც პატიოსანია, რაც სამართლიანია, რაც წმიდაა, რაც საყვარელია, რაც საქებელია, სათნო და ქებული, მასზე იფიქრეთ.“

წმინდა პავლე მოციქული

ლოცვის შესახებ

ლოცვა არის მიმართვა ღმერთისადმი თხოვნით, მადლობითა და დიდებით. ლოცვისას თვითონ უფალთან ვსაუბრობთ. ღმერთს ვთხოვთ რაც გვჭირდება, მადლობას ვწირავთ მოწყალებისათვის და ვადიდებთ მის კაცთმოყვარეობას.

ლოცვა საჭიროა არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ ყველასათვის - ცოცხალთა და მიცვალებულთათვის.

უნდა ვილოცოთ რწმენითა და ღმრთისადმი სასოებით, წმინდა გულით, ყურადღებითა და სიმდაბლით.

ლოცვით მივმართავთ არა მხოლოდ ღმერთს, არამედ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელს, ანგელოზებს და წმინდანებს, რომლებიც არიან ჩვენი შუამდგომელნი ღმერთის წინაშე.

მოკლე ლოცვები

***

სახელითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისაითა, ამინ.

***

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე ამინ.

***

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ.

***

დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა!

***

უფალო შეგვიწალენ, უფალო შეგვიწყალენ, უფალო შეგვიწყალენ.

ლოცვა სწავლის დაწყების წინ

ყოველსახიერო უფალო, გარდამოგვივლინენ ჩვენ მადლი სულისა წმიდისა შენისაი, მომნიჭებელი გულისხმის ყოფისა და განმაძლიერებელი ძალთა სულთა ჩვენთასა. რათა ჩვენ, ყურადმღებელნი გარდამოცემულისა ჩვენდა სწავლისა, აღვიზარდნეთ შენ, შემოქმედისა ჩვენისა სადიდებლად, მშობელთა ჩვენთა სანუგეშოდ, ეკლესიისა და მამულის სასარგებლოდ. ამინ.

ლოცვა სწავლის დამთავრების შემდეგ

გამადლობ შენ, შემოქმედო, რამეთუ ღირს მყენ ჩვენ მადლსა შენსა ყურადღებისათვის სწავლისა. აკურთხენ ჩვენნი მშობელნი და მასწავლებელნი, მიმყვანებელნი ჩვენდა ცნობად კეთილისა, და მომეც ჩვენ ძალა და სიმხნე, რათა ახლად შეუდგეთ სწავლასა ამას, ამინ.

ჯვრის შესახებ

ჯვარი არის ქრისტიანობის ნიშანი, იგია ძლევისა და გამარჯვების სიმბოლო. ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ჯვარმა სასწაულთმოქმედების ძალა შეიძინა. ამიტომ ვცემთ თაყვანს ჯვარს ქრისტიანები. მისი მადლი გვიფარავს ყოველი განსაცდელისაგან. ბოროტს ეშინია ჯვრისა და ძრწის მისი ძალის წინაშე.

ლოცვა ჯვრისადმი

„ცხოველსმყოფელო ჯვარო უფლისაო, დაგვიცვენ და
დაგვიფარენ ჩვენ."

ლექსიკონი

ა

აბეზარი – მომაბეზრებელი, შემაწუხებელი, მოთმინებიდან
გამომყვანი.
აზარფეშა – ვერცხლის სასმისი, ტარიანი.
ამპარტავანი – გადარჭაბებით ამაყი, ქედმაღალი, მედიდური.
ანგარება – მომხვეჭელობა, გამორჩენის სურვილით.
აუარებელი – ძალიან ბევრი, დიდძალი, უამრავი.
აღუთქვა – დაჰპირდა, შეჰპირდა.

ბ

ბაბილონი – (ებრ.) აღრევა.
ბიწი – ჭუჭყი, სიბინძურე.
ბიწიერი – ბინძური, (გადატ. მნიშვნელობით ავხორცი, გარყვნილი).
ბჭობა – მსჯელობა, აზრის გამოთქმა, თათბირი.

გ

გაიგულა – სხვაგან წასულად მიიჩნია.
გამოქანდაკება – ვისამე, რისამე, ქანდაკების გაკეთება.
გარყვნილება – უზნეო, უწესო ყოფაქცევა.
გასამრჯელო – გაწეული შრომის საფასური, საზღაური.
გაურიგა – შუამავლობა გაუწია.
გაფისა – ფისი წაუსვა, გაჟღინთა ფისით.
გულთამხილავი – გულში ნადების, დაფარულის მხედველი,
გამომცნობი (იგულისხმება ღმერთი).
გულისხმის-ყოფა – გაგება, მიხვედრა, შეტყობა.
გოდება – ხმამაღლა მოთქმა, ტირილი.

დ

დავლა – ომში ნაშოვნი ქონება, იარაღი და სხვა ნაძარცვი,
ნაყაჩაღარი.
დღეგრძელი – ხანგრძლივი სიცოცხლის მქონე.

ე

ედემი – სამოთხე, თვალწარმტაცი, ყველაფრით შემკობილი ადგილი.
ეწვალებოდა – იტანჯებოდა, ეწამებოდა, გაჭირვებით ცდილობდა რამეს.

ვ

ვაება – გოდება, წუხილი.

ზ

ზეთისხილი – საშუალო სიმაღლის, მარადმწვანე ხე, აქვს. სურნელოვანი თეთრი ყვავილი, ისხამს ზეთით მდიდარ კურკოვან ნაყოფს.

თ

თავმდაბალი – მოკრძალებული, მორიდებული.
თანამდებობა – მოვალეობა.
თანამდები – მოვალე.
თაყვანისმცემელი – ის ვინც თაყვანს სცემს.
თვალუწვდენელი – (ის,) რაც ძალიან დიდ ფართობზეა გადაშლილი.

ი

იალაღი – საზაფხულო საძოვარი.

კ

კერპი – წარმართული ღვთაების ქანდაკება, რომელსაც თაყვანს სცემენ კერპთმსახურნი.
კერპთაყვანისცემა – წარმართული სარწმუნოება, რომელიც კერპების მსახურებას, თაყვანისცემას მოითხოვს.

ლ

ლერწამი – ტანმაღალი მცენარე მარცვლოვანთა ოჯახისა, იზრდება მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე.

მ

მართლმსაჯული – სამართლიანი, სიმართლიანი, ის ვინც სიმართლით განსჯის, განმსჯელი.
მაცხოვარი – უფალი ჩვენი იესო ქრისტე.
მერმისი – მომავალი.
მეცნიერი – მცოდნე კაცი, მეცნიერების ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი.
მეცნიერება – ცოდნის შეძენა.
მზვერავი – მოთვალთვალე, ჯაშუში, მსტოვარი .
მოასწავებს – რაიმეს მიანიშნებს, რისამე წინასწარი ნიშანია.
მოსწავება – მინიშნება.
მოკიდება (მოეკიდა ღვინო) – დათრობა.
მოსარჩლე – ქომაგი, მფარველი.
მოსვლიპა – სულ ერთიანად დახოცა.
მოურაობა – მოურავად ყოფნა, მოურავის თანამდებობა.
მრისხანე – შიშის მომგვრელი, თავზარდამცემი, მკაცრი, სასტიკი.
მსხვერპლი – რომელიმე ღვთაებისათვის შეწირული ნივთი, ან ცოცხალ არსება.
მჭევრმეტყველი – ნათლად, კარგად, ლამაზად მოლაპარაკე.
მჭლე – სიმსუქნეს მოკლებული, გამხდარი.

ნ

ნეტარი – სანატრელი.
ნუგეში – ისეთი, რაც ადამიანს დაამშვიდებს, რისამე რწმენის, იმედს ჩაუნერგავს.

ო

ოინი – ხრიკი, ფანდი, თვალთმაქცობა.
ოსპი – დაბალი, ერთწლოვანი პარკოსანი მცენარე, იკეთებს მარცვლოვან პარკებს.

რ

რვალი - ბრინჯაო

ს

სამყარო – დედამიწის და სხვა ციური სხეულების ერთიანი სისტემა.
სარფა – სარგებლობა, გამორჩენა, ხეირი.
სარწყული – ღვინის ან მარცვლეულის საწყაო (შესანახი).
სასოება – იმედი.
სასოებდნენ – იმედი ჰქონდათ.
სასწაული – ნიშანი.
საუკუნო – სამუდამო, სამარადისო, მუდმივი.
საუნჯე – ძვირფასი ნივთები, ფასეულობა, განძი, სიმდიდრე.
სახიერი – კეთილი, მოწყალე, სათნო.
სეფექალი – მეფის ან დიდებულის ქალი.
სიცრუე – რაც სინამდვილეს განზრახ დამახინჯებულად წარმოადგენს.
სულმოკლე – მოუთმენელი, სულსწრაფი, მხდალი, ლაჩარი.

უ

უანგარო – კაცი, რომელსაც ანგარება (გამორჩენის სიყვარული, მომხვეჭელობა) არ ამოქმედებს.
უდიერი – მოურიდებელი, მოძალადე, უტიფარი.
უკუნითი–უკუნისამდე – სამუდამოდ, სამარადისოდ.
უმანკო – უბიწო, უზადო, წმინდა (ითქმის ადამიანზე).
უნუგეშო – უიმედო, საოწარკვეთილი.
უფსკრული – მეტისმეტად ღრმა, თვალუწვდენელი ხევი, ხრამი.
უცოდველი – ვისაც ცოდვა არ ჩაუდენია, უდანაშაულო, ალალმართალი.

ღ

ღვარძლი – სარეველა ბალახი, მარცვლოვანთა ოჯახისა.
ღმრთისმოყვარე – ვისაც ღმერთი უყვარს.

ყ

ყოვლისმხილველი – ყველაფრის მხილველი (იგულისხმება ღმერთი).

შ

შერაცხვა — აღიარება, მიჩნევა.
შერაცხა — ჩათვალა, მიიჩნია, აღიარა.
შეჭამანდი — სათანადოდ მომზადებული წვნიანი საჭმელი.
შური — მწუხარება სხვის კეთილდღეობის გამო.
შფოთი — ალიაქოთი, არეულობა, აურზაური.

ც

ცილი — სიცრუე.
ცოდვა — ღმრთის წინაშე ჩადენილი დანაშაული.
ცილისწამება — უმართებულოდ ვინმესათვის რაიმეს დაბრალება.

ძ

ძნა - მომკილი თავთავის კონა, ასეთი კონები ზვინად დადგმული.

წ

წაასხეს — წაიყვანეს.
წინწილი - საკრავი, ლითონის თეფში.
წყრთა - ძველებური სიგრძის საზომი ერთეული, უდრის ხელის ნაწილს იდაყვიდან შუათითის წვერამდე.

ჭ

ჭარბად — ზომაზე მეტად, მომეტებულად.
ჭეშმარიტი — მართალი, ნამდვილი, უტყუარი.
ჭირნახული — ვინც ჭირი, გაჭირვება ნახა.

ხ

ხათრი — პატივისცემა, თავაზი.
ხამად — გაუმაძღრად, მეტად ბევრის სურვილით გაკეთება.
ხარო — ღრმა ორმო.
ხმიადი — უსაფუვროდ გამომცხვარი პური.

ჯ

ჯავრი — დარდი, საფიქრალი.

წიგნში მოხსენიებულ ადამიანთა სახელების სია

აარონი
აბელი
აბრაამი
ადამი
ბათოელი
ბენიამენი
ევა
ელიაზარი
ენოქი
ესავი
თარა
იაკობი
იაფეტი
იოთორი
იოსები
ისაკი
ისრაელი
იუდა
კაენი
ლაბანი
ლოთი
მარიამი
მელქისედეკი
მოსე
ნაქორი
ნოე
პეტეფრე
რებეკა
რუბენი
სარრა
სეითი
სემი
სვიმონი
ქამი

წიგნში მოხსენიებულ გეოგრაფიულ ადგილთა სია

არარატი
ბაბილონი
გეონი
ეგვიპტე
ევფრატი
იორდანე
შუამდინარეთი
მკვდარი ზღვა
სოდომი
ტიგროსი
ფისონი
ქალდეველთა ქვეყანა
ქანაანი
ქარანი
ქებრონი
ქორების მთა

გამოყენებული ლიტერატურა

- ახალი აღთქმა და ფსალმუნები, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი 1991.
- ბიბლია-საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბ.1989.
- ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის, (შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი.) თბ. 1990.
- დეკანოზი ნესტორ ყუბანეიშვილი, ძველი აღთქმის საღმრთო ისტორია ,თბ.1990
- იაკობ გოგებაშვილი, საღმრთო ისტორია ,თბ.1990
- საბავშო ბიბლია, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი,1998
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ. 1986.
- ჟურნალი „რწმენა და ცოდნა“, 5,2001-2002
- ჟურნალი „რწმენა და ცოდნა“, 2, 2002
- ჟურნალი „რწმენა და ცოდნა“, 1,2003
- ჟურნალი „რწმენა და ცოდნა“, 1,2004
- გაზეთი „აღსავალი“ №1 ,2004.
- გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი ბავშვებისათვის“, №10, 2003

სარჩევი

წინასიტყვაობა 3
„ბიბლიის“ შესახებ 4
ღმერთის შესახებ 7
სამყაროს შექმნა 7
ქმნილებათა რიგი 7
ადამიანის შექმნა 8
სამოთხე 10
ეშმაკის შური 12
ადამისა და ევას შეცოდება 14
დასჯა ცოდვისათვის 14
კაენი და აბელი 18
კაენის დასჯა და სეითის შობა 18
კაენისა და სეითის შთამომავალნი 22
კაცთა მოდგმის გარყვნა 22
მართალი ნოე 24
წარღვნა 26
ნოეს შვილები 30
ბაბილონის გოდოლი 30
კერპთაყვანისცემა 32
აბრამის მოწოდება 32
აბრამისა და ლოტის გაყრა 36
აბრამის სარწმუნოება 36
ლოთის ტყვეობიდან დახსნა 38
უფალი ესტუმრა აბრაამს 42
სოდომის დასჯა 44
ისააკის დაბადება და მისი მსხვერპლად შეწირვა 48
სარრას სიკვდილი და ისაკის მიერ ცოლის შერთვა 50
ესავი და იაკობი 54

იაკობის მოგზაურობა 56
იაკობის დაბრუნება 60
იაკობის შვილები 62
იოსების გაყიდვა 64
იოსების მიყვანა ეგვიპტეში 68
იოსები სიზმრებს უხსნის ფარაონს 70
იოსების ძმების მისვლა ეგვიპტეში 74
იოსების ძმების მეორედ მისვლა ეგვიპტეში 78
იოსები უცხადებს ძმებს თავის ვინაობას 80
იაკობის გადასახლება ეგვიპტეში 82
ისრაელთა მდგომარეობა ეგვიპტეში იოსების სიკვდილის შემდეგ 86
მოსეს დაბადება და აღზრდა 90
მოსეს გაქცევა ფარაონის სახლიდან 92
მოსეს მისვლა იოთორთან 94
მოსეს მოწოდება 98
მოსე ფარაონის წინაშე 100
ისრაელთა გასვლა ეგვიპტიდან 104
ლოცვის შესახებ 108
მოკლე ლოცვები 109
ლოცვა სწავლის დაწყების წინ 109
ლოცვა სწავლის დამთარების შემდეგ 109
ჯვრის შესახებ 109
ლოცვა ჯვრისადმი 109
ლექსიკონი 110
საძიებელი 115
გამოყენებული ლიტერატურა 116
სარჩევი 117

ძველი აღთქმის

საღმრთო ისტორია

(ბავშვებისათვის)

ნაწილი I

იაკობ გოგებაშვილის საღმრთო ისტორიის
მიხედვით წიგნი გამოსაცემად მოამზადა
ლევან ბუკიამ

რედაქტორი **ზურაბ სანადირაძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ირმა ხუფენია
ნათია მუმლაძე